

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film  
Georgian State University

სახელმწიფო მაცნეორებათა პირანი  
№3 (44), 2010

**ART SCIENCE STUDIES**  
**№3 (44), 2010**



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი – 2010

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №3 (44), 2010

სარედაქციო საბჭო  
გიგა ცენტრული  
დათო ჯანმრთელობის  
მკა პიკაპა

ლიტერატურული  
რედაქტორი  
მარიამ იაშვილი

გარეკანის დიზაინი  
ლევან დაღიანი

დაკაბადონება  
მკატერინება  
ოქროპირიძე

გამომცემლობის  
ხელმძღვანელი  
მაპა ვასაძე

კრებულისათვის მოწოდებული მასალა  
უზრუნველყოფილი უნდა იყოს  
შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან  
უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის  
სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ  
ქართულ და ინგლისურ ენებზე,  
აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი  
რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა  
ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო  
კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვწოდეთ და  
ცნობებისათვის მოგვმართეთ:  
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის  
გამზირი №40, საქართველოს შოთა  
რუსთაველის თეატრისა და კინოს  
სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
II კორპუსი.  
ტელ/ფაქსი: +995 (32) 936 408  
მობ: +995 (95) 305 060  
+995 (77) 288 750  
E-mail: kentavri@tafu.edu.ge  
Web: www.tafu.edu.ge

Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University

Art Science Studies №3 (44), 2010

**Editorial Group**  
GIA TSKITISHVILI  
DATO JANELIDZE  
EKA KIKNADZE

**Literary Editor**  
MARIAM IASHVILI

**Cover Design**  
LEVAN DADIANI

**Book Binding**  
EKATERINE  
OKROPIRIDZE

**Head of Publishing  
House**  
MAKA VASADZE

Materials supplied for the volume  
should be provided with  
corresponding scientific appliance.  
Paperwork concerning author's  
academic qualification and summary  
of work should be attached in  
Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent  
out to various international research  
centers.

Works should be supplied under the  
following contact:  
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli  
Avenue №40  
Georgian Shota Rustaveli Theatre  
and Film State University  
Second Block

Tel/Fax: +995 (32) 936 408  
Mob: +995 (95) 305 060  
+995 (55) 288 750  
E-mail: kentavri@tafu.edu.ge  
Web: www.tafu.edu.ge

---

## შინაარსი

---

### თეატრის და გარემონტის მიზანი

#### მაპა ვასაძე

საუბრები რობერტ სტურუას  
„სათეატრო ენაზე“ ..... 9

#### თამარ ქუთათელაძე

შალვა გაწერელიას წარმატებული სპექტაკლები ..... 28

### კინოს და ტელევიზიონის მიზანი

#### ლია კალანდარიშვილი

ჯიმ ჯარმუშის „მყვარი კაცი“ - ვესტერნის დეკონსტრუქცია ..... 53

#### ირაკლი მახარაძე

სერგიო ლეონე და ამერიკული ვესტერნი ..... 62

### გედიორის მიზანი

#### გიორგი ჩართოლაძე

ტელევიზიის ახლო ნათესავები ..... 69

### ხელოვნებათ მიზანი

#### ნატო გეგიშვილი

პერსონიფიკაციები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ქანდაკებაში ..... 78

### კულტურის მეცნიერები

#### ნინო სანალიაძე

მენჯმენტი ქართულ ტრადიციულ სანახაობით კულტურაში  
სახალხო დღესასწაულების მაგალითზე ..... 89

### გუნდის მიზანი

#### მამუკა სისარულიძე

შოპენის ლირიკულ-კანტილენური ეტიუდების ..... 95

#### გვარია ლვილიძე

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წარმატებები რომანტიკულ  
ტენდენციასთან და ქართული პოეზის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში  
ინტერპრეტაციის ზოგიერთი საკითხი ..... 105

---

## უნივერსიტეტის სადოკტორო პროგრამა

---

### დრამისა და თეატრის თეორია

#### თამარ ცაგარელი

შუა საუკუნეების ეპოქის  
სათეატრო აზრის მიმოხილვა ..... 120

### მსოფლიო კინოს ისტორია

#### ლავით გუჯაბიძე

„რიგოლეტო მანტუაში“ – ახალი უანრის  
კიდევ ერთი ნიმუში ..... 129

#### მაპა ლოლიძე

რაინერ ვერნერ ფასბინდერი - სოციალური ფრესკა  
ფაშისტური მოზაიკით ..... 133

ავტორთა შესახებ ..... 139

---

---

## CONTENTS

### THEATRE STUDIES

#### **MARINE(MAKA)VASADZE**

Conversations about Robert Sturua's  
“Theatrical Language” ..... 144

#### **TAMARQUTATELADZE**

Shalva Gatserelia's successful performances ..... 146

### FILM STUDIES

#### **LIA KALANDARISHVILI**

Jim Jarmush'z “Dead Man”- such as  
deconstruction of the western ..... 147

#### **IRAKLIMAKHARADZE**

Sergio Leone and the American western ..... 148

### MEDIA STUDIES

#### **GEORGE CHARTOLANI**

Close “Relatives” of TV Broadcasters ..... 150

### ART STUDIES

#### **NATO GENGIURI**

Personification and Georgian Sculpture of the Beginning of the 20<sup>th</sup> c. ..... 153

### CULTURE MANAGEMENT

#### **NINO SANADIRADZE**

Culture management and traditional  
Georgian improvisational celebration ..... 155

### MUSIC STUDIES

#### **GVANTSAGVINJILIA**

Prerequisites of New Georgian Professional Music in Respect of  
Romantic Tendency and Georgian Poetry Versification ..... 156

#### **MAMUKASIKHARULIDZES**

Some Interpretation Issues of Chopin's  
Lyrical-Cantonal Etudes ..... 157

---

---

## UNIVERSITY ' Ph . D PROGRAM

### DRAMA AND THEATRE HISTORY

#### **TAMAR TSAGARELI**

Theatre Opinion Review Of The Mediaval Epoch ..... 159

### HISTORY OF WORLD CINEMA


#### **DAVIT GUJABIDZE**

“Rigoletto A Mantova” ..... 161

#### **MAKA DOLIDZE**

Fasbinder – Social Portal With Fascistic Colors ..... 162

# თეატრმცოდნეობა



მაკა ვასაძე

დოქტორანტურის I კურსი  
პროგრამის ხელმძღვანელი – პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი

## **საზოგადი ორგანიზაციული სტურუას „სათეატრო მეცნიერებას“**

(რობერტ სტურუას სათეატრო ენის ფორმირების საკითხისათვის;  
განვაგრძობთ საუბარს პროფესორ, ოგატრმცოდნე ლევან  
ხეთაგურთან)

(გაგრძელება, დასაწ. იხ. ჟურ. „სახელოვნებო მეცნიერებათა  
ძიებანი №2(43) 2010წ.)

რობერტ სტურუას „სათეატრო მოდელის“, „სათეატრო ენის“  
კვლევის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისტორიული  
წინაპირობები: ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული და ყოფითი გარემო,  
რომელშიც აღიზარდა და მოღვაწეობს ხელოვანი.

**პ. ვ.** ჩვენ ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ საქართველო,  
ქართული თეატრი (საბჭოთა რკინის ფარდის მუხხდავად), ჩართული  
იყო და დღესაც ჩართულია XX-XXI საუკუნის „მსოფლიო  
თეატრალურ ძიებებში“. უფრო მეტიც, ამ „ძიებებში“ XIX საუკუნიდან  
მონაწილეობს.

**ლ. ხ.** ნებისმიერი ერის მატერიალური კულტურა, ერისთვის  
დიდ ფასეულობას წარმოადგენს. დღეს, მსოფლიო კულტურის ცოდნა,  
მსოფლიო კულტურის კონტექსტში საკუთარი თავის კვლევა, ადგილის  
განსაზღვრა არის მნიშვნელოვანი.

გასული საუკუნის 1960-იანი წლების მეორე ნახევრის  
სტუდენტურმა მოძრაობამ მთლიანად შეცვალა XX საუკუნის  
კულტურა, სრულიად ახალი ფასეულობები შემოიტანა მსოფლიოში.  
ეს მოძრაობა დაიწყო დევოლის წინააღმდეგ და დევოლი წავიდა. ამ  
რევოლუციას მოჰყვა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „სექსუალურ  
რევოლუციას“ და ახალი კულტურული ღირებულებები შეიქმნა. ეს  
იყო 1967-68 წელი. აქ, მნიშვნელოვანია ორი რამ:

პირველი – ევროპამ აჩვენა თავისი პროგრესული გზა.  
ახალგაზრდა თაობამ თქვა, რომ მათ უნდა „შეცვალონ სამყარო“  
და კიდეც შეცვალეს.

მეორე – საბჭოთა კავშირმა დააფიქსირა ის, რომ 1968 წელს ევროპაში ტანკებით შევიდა. პრაქტიკულად მსოფლიო ორად გაიყო. 1968 წელს ევროპამ, კიდევ ერთხელ, დაინახა, რა იყო საბჭოთა კავშირი, გამწვდელა ცივი ომი და ა. შ. ყველა ის ხელოვანი, რომელიც მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირში, აღმოჩნდა საზოგადოებრივ სივრცეში, სადაც სულ რამდენიმე ხელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც პროტესტი, „ბრძოლა“ შეეძლო. იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სჯეროდათ ე. წ. „ოტტეპელის“ ანუ დათბობის, იმდები დაემსხვრათ.

1968 წლის მოვლენების შემდგომ, ერთი მხრივ, ევროპა „წინ წავიდა“, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი და მასში არსებული საზოგადოება ისევ „უკან წავდით“. საბჭოეთმა ტანკებით იარა და ხალხი ხოცა ევროპის შუაგულში – ბუდაპეშტში. ეს იყო მორიგი სიბოროტე, რომელიც საბჭოთა კავშირმა ჩაიდინა.

XX საუკუნის 1960-იან წლებში, რუსეთში, სათეატრო, სარეჟისორო ხელოვნებაში ჩნდება იური ლუბიმოვი. ვთვლი, რომ მეიერჰოლდის, ვახტანგოვის მერე, ასეთი სერიოზული ხელოვანი რუსეთში არ ყოფილა. მან პრინციპულად ახალი სათეატრო ენა შემოგვთავაზა. თუ ძალიან ზუსტები ვიქენებით, მან ააღმოჩნდა ის მიღწევები, რომელსაც მეიერჰოლდი ატარებდა რუსულ თეატრში.

**ბ. ვ. დაიახ,** იური ლუბიმოვი, როგორც რეჟისორი XX საუკუნის 1960-იან წლებში იწყებს მოღვაწეობას (მანამდე, ყველასთვის ცნობილია, რომ იგი ვახტანგოვის თეატრის მსახიობია, კინოშიც იღებდნენ). 1953 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ვახტანგოვის სახლობის თეატრთან არსებულ შჩუკინის სახლობის თეატრალურ სახწავლებელში. 1959 წელს დგამს პირველ სპექტაკლს ვახტანგოვის თეატრში ა. გალიჩის „ბევრი კი უნდა ადამიანს“ („Многоли человеку надо“). 1963 წელს შჩუკინში ახორციელებს ბ. ბრეხტის „სეჩუანელი კეთილი კაცი“ ა. ოროჩის სტუდენტების მონაწილეობით, სწორედ ამ სპექტაკლმა მისცა დასაბამი მოსკოვში „თეატრი ტანკეზე“ შექმნას (1964 წ., 23 აპრილი). რუსეთში ეს იყო დიდი მოვლენა ხელოვნების სფეროში. ლუბიმოვის „კეთილი კაცი სეჩუანიდან“ ერთგვარ „რევოლუციურ გადატრიალებად“ მოინათლა თეატრალურ ხელოვნებაში.

დახსრულებით ამ დროს, 1962 წელს, რუსთაველის თეატრში მოღვაწეობას იწყებს რობერტ სტურუა. თქვენს მოსაზრებას მოვიშველიებ ლუბიმოვთან მიმართებაში: ვთვლი, რომ მარჯანიშვილის და ახმეტელის მერე სტურუა, როგორც რეჟისორი, არის სერიოზული

მოვლენა საქართველოში, ქართულ სათეატრო ხელოვნებაში. მან ააღმოჩნდა და განავრძო ის ძიებები, რომელსაც მარჯანიშვილი და ახმეტელი ახორციელებდნენ თეატრში.

რობერტ სტურუას თეატრალურ ინსტიტუტში გავლილი აქვს დიმიტრი აღვესიძის, ლილი იოსელიანის და მიხეილ თუმანიშვილის „სათეატრო, სარეჟისორო სკოლა“. 1964 წელს დგამს ვ. როზოვის „ვახტობის წინ“, ხოლო 1965 წელს კი ა. მილევის „სეილების პროცესს“. ეს იყო პირველი სერიოზული რეჟისორული წარმატება მის შემოქმედებაში. აღსანიშნავა ის ფაქტიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისში რუსთაველის თეატრში რეჟისორთა ე. წ. „სერიოზული გუნდი“ მოვიდა – რ. სტურუა, თ. ჩხეიძე, ვ. ქვთარაძე.

1969 წელს თემურ ჩხეიძემ დაიწყო მუშაობა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმაზე, სხვადასხვა მიზეზის გამო ამ სპექტაკლზე მუშაობის გაგრძელება მოუხდა რობერტ სტურუას. ამ ორი, ამჟამად სრულიად „ვანსხვაცული ხელწერის“ რეჟისორის თანაარსებობად ერთ სპექტაკლში არაჩვეულებრივი შდევი გამოიღო. აქ მოხდა სინთეზი ფიქლოროგიური წვდომისა და გარდასახვის პრინციპებისა, ბრეხტისული „ვანსხვისების ეფექტის“, „წარმოდგენის, დისტანციური ჭვრეტის მეთოდთან. მსახიობებმაც შეითვისეს ამგვარი თამაშის პრინციპები და სპექტაკლმა გაიმარჯვა. ეს გამარჯვება არ ყოფილა შემთხვევით, ისევე როგორც არ ყოფილა შემთხვევითი ბრეხტისული თეატრალური სტილისტიკის მისადაგება დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთან. ბრეხტის თთქმის ყველა პირსა, ეს იქნება „სამგროშიანი ოპერა“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „კაცებასიური ცარცის წრე“ თუ სხვა, ისევე როგორც დავით კლდიაშვილის ნაწარმოებები ტრაგი-კომიკურ ფანრშია დაწერილი. შეიძლება სწორედ ამაშია მათი შეხების წერტილი. ყოველ შემთხვევაში, თემურ ჩხეიძემ და რობერტ სტურუამ იპოვეს ეს შეხების წერტილები და ბრეხტი მიუსადაგეს კლდიაშვილს.

ამ პერიოდში (მთელი XX საუკუნის განმავლობაში და დღესაც) ევროპაში, საქართველოში, რუსეთში გრძელდება ე. წ. „სარეჟისორო ძიებები“, სხვადასხვა რეჟისორთა „სათეატრო ენის“ ფორმირების პროცესი. სერიოზული კვლევები მიმდინარეობს ამ მიმართულებით. კვლევებმა მოიცავ გულტერის, ხელოვნების სხვადასხვა დარვი. რეჟისორები, მეცნიერები, ფილოსოფოსები, ლიტერატურის თეორეტიკოსები და ა. შ. იკვლევებ „სახელოვნებო ენას“ ზოგადად.

**ლ. ხ.** ლოგიკურია, რომ სტურუა იწყებდა 1964 წელს როზოვის „ვახშმობის წინ“ დადგმით. პიესა და სპექტაკლი, მაინც, ოპტიმისტური იყო, მთებედავად თავისი ბატალიებისა. 1965 წელს, ა. მილერის „სეილემის პროცესში“ თეატრალური მეტაფორით, იყენებს რა რკინის ფარდას, ის, ერთი მხრივ, პასუხს სცენს ისტორიას და, მეორე მხრივ, აფიქსირებს რეალობას.

60-იან წლებში ქართულ ხელოვნებაში ძალიან ძლიერი თაობა მოდის – რ. სტურუა, თ. ჩხეიძე, გ. ყაჩავლი, გ. მესხიშვილი, ოოსელანი, მ. კობახიძე და სხვბი. ამავე პერიოდში, მოსკოვში იწყებენ მოღვაწეების ა. ტარკოვსკი, ი. ლუბიმოვი, როგორც თეატრალური რეჟისორი და სხვები (1968 წლის სტუდენტური მოძრაობა საბჭოთა კავშირში, საქართველოში არ არსებობდა). ხელოვანები თავის მსოფლმხედველობით იწყებენ პროტესტს ხელოვნების საშუალებით. ეს არის საკანონ წერტილი, იმიტომ, რომ პრაქტიკულად სტურუა „სეილემის პროცესით“ იწყებს პოლიტიკური თეატრის დამკიდრებას. ამ პერიოდში პოლიტიკური თეატრი თანაბრად არსებობს ევროპის სხვადასხვა ქვეყნაში. 1964 წელს როდესაც სტურუა პირველ სექტაკლს დგამს...

**გ. ვ.** რას ნიშნავს „პოლიტიკური თეატრი“? თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირში და ე. ი. საქართველოშიც ე. წ. „საპროტესტო მოძრაობები“ არ იყო. არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, ვინაიდან ხალხს საქართველოში 1921 წლიდან, გასაბჭოების შემდეგ, „ბოროტების იმპერიის“ დანგრევამდე (1991 წლამდე) „თავისუფლად სუნთქვის“ საშუალებაც კი არ ჰქონდა. ადამიანებს იქტერდნენ, ასახლებდნენ, ხვრელდნენ, მუძმივი შიშის ქვეშ ამყოფებდნენ. მასობრივი პროტესტი, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკაში მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს მოხშირდა. ხელოვნურად შექმნილი „ბოროტების იმპერია“ ინგრეოდა, იმ „მანივჯი“ სახელმწიფო წელის და ეკონომიკური სიღაცეების გამო, რომელმაც დაახლოებით 70 წელი იარსება. „მანივჯა სახელმწიფო“ მაინც „მოახერხა“ და ქუჩაში ძღვომ უარსდო ადამიანთ პროტესტს ჯარის საშუალებით გაუსწორდა (გავიხსენოთ, თუნდაც, ამიერკავკასიის რევილი: თბილისა და ბაქოში მომხდარი ამბები).

რას ნიშნავს „პოლიტიკური თეატრი“? მართალია, ეს ტერმინი უკვე დამკიდრებულია, მაგრამ მე მაინც, სტურუას იმდროინდელ შემოქმედებას, სხვა მრავალთან ერთად, „პროტესტის თეატრს“ დავარქევდი. გადაკედოთ ისტორიას. მას შემდეგ, რაც კაცობრიობის

ისტორიაში გაჩნდა სახელმწიფო წევბილება, სახელმწიფო წევბილების „მანივჯი“ ფორმებიც მრავლად არსებობდა სხვადასხვა სახით. ადამიანები, ამ შემთხვევაში ხელოვანები, ასეთ დროს, პროტესტს თავის შემოქმედებაში გამოხატავდნენ. რობერტ სტურუასთან არ მისაუბრია ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ შემიძლია მოვიყვანო ი. ღუბიმოვის ციტატა მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.

კორესპონდენცია: „საბჭოუთის დროს თქვენ აშიშვლებდით „დღის ტრაგედიას“ (ანუ არსებობის, ყოფის ტრაგედიას მ. ვ.), აკეთებდით, როგორც იტევიან, „პოლიტიკურ თეატრს“.

ი. ღუბიმოვი: „საერთოდ, მე კვლილობდი „გამეშიშვლებინა ქალები“ და არა ტრაგედია. მე არ ვარ პოლიტიკოსი, მე კვლილობდი გამეცემებინა ისეთი თეატრი, როგორიც უნდა იყოს თეატრი. მე კი მომაწერეს, თითქოს მე ვაკრძელებდი პოლიტიკური თეატრის ტრადიციებს, ეს არ არის მართალი.“

რობერტ სტურუა, ავრძლებდა რა ქართული თეატრალური სკოლის ტრადიციებს (მარჯანიშვილი, ახმეტელი), თავის სპექტაკლებში სიმბოლურ, მუტაფორულ ენას იყენებდა „პროტესტის“ გამოხატავად. მიკვეთ ქრონოლოგიას: ა. მილერის „სეილების პროცესი“ (1965 წ.), ა. ცაგარელის „ხანუმა“ 1968 წ., ბ. ბრეხტის „სერუანელი კეთილი კაცი“ (1969 წ., 90იანი წლების მეორე ნახევარში იგი კვლავ დგამს ამ პიესას), დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1969 წ.), კ. იბექინის „ექიმი შტოქმანი“ (1972 წ.), პ. კაგაბაძის „ყარაყვარუ თუთაბერი“ (1974 წ.) და ა. შ.. იგი თავისი სპექტაკლებით, მეტაფორული, სიმბოლური, სათეატრო ენის გამოყენებით ამზილებდა ტირანის არაადამიანურ არსს. ყველაზე უფრო მწვავედ ეს საკითხები (იმ პერიოდის, 1960-იანი წლების ბოლო და 70-იანი წლების დასაწყისი) ამ დადგმებში გამოვლინდა.

**ლ. ხ.** თუ ჩვენ ვიტყვით, რომ სტურუა არის 1960-იანი წლების მოვლენების ტიპური წარმომადგენლი, ანუ ცნობიერად ამ პროცესების მონაწილეა, მოღვაწეობდა რა რუსთაველის თეატრში, რომელიც სახელმწიფო თეატრი იყო, ქმნიდა განსაკუთრებულ მიმართულებას, რასაც, იმ პერიოდში, შეიძლება ანდერგრაუნდიც გეწოდებინა. შეიძლება გეწოდებინა ექსპერიმენტული მიებები და ამავე დროს ამბოხი. ახალგაზრდა ხელოვნის ამბოხი იმ მოვლენების მიმართ, რომელიც არსებობდა. მიღებული დებულება იმისა, რაც შენ ახსენე წელან, რომ ქართული თეატრი სიმბოლურ-მუტაფორულ ენას იყენებდა, ეს მართალია, მაგრამ ეს, საბჭოთა კავშირში იქცა ფენომენად.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ეს მხოლოდ ქართულია, თუმცა საქართველოს მეტი საშუალება ჰქონდა ასეთი თეატრის კეთებისა. მოსკოვიდნ მოშორებით ყოფნა შეიძლება მეტ საშუალებას იძლეოდა. ვინაიდან, თუ შევადარებთ ამავე პერიოდის რუსული თეატრების მდგომარეობას, ვთქვათ, ლუბიმოვის სპექტაკლების ჩაბარების ოქმებს, ვნახავთ, რომ იქ ე.წ. „პრესი“ გაცილებით დიდია. იქ, გაცილებით ძნელი იყო რაიმე „გაეპარებინათ“ სცენაზე. თავისუფლების ხარისხი ჩვენთან „შედარებით“ მეტი იყო. მოსკოვს ნაკლებად ადარდებდა „პროვინცია“. მაგალითად, თუ გავცენიბით სტატისტიკას, რამდენი უცხოელი ჩამოდიოდა საქართველოში 70-იან წლებში, ვნახავთ, რომ საბჭოთა კავშირში შემოსული ტურისტების საერთო ნაკადიდან მხოლოდ 2-3%. თუ გავითვალისწინებთ, იმ უცხოელებიდან რამდენი იყო ეწ „კაპიტალისტური ქვეწებიდან“ და რამდენი ე.წ. „სოციალისტური ბანაკიდან“, პროცენტულად შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები გამოვიდეს. უცხოელ ტურისტთა „შემოდინება“ ძირითადად პეტერბურგსა და მოსკოვზე მოდიოდა, ვინაიდან სხვაგან არ უშვიდნენ. მოსკოვიდან, 100 კილომეტრის რადიუსზე რომ გასულიყო უცხოელი, მას სპეციალური ნებართვა უნდა აეღო უშიშროებიდან. კონტროლის მაქსიმუმი მოდიოდა მოსკოვსა და პეტერბურგზე, იქ, სადაც ბევრი იყო უცხოელი. გაცილებით ნაკლებ კონტროლს ახორციელებდნენ ე.წ. „პერიფერიებზე“. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ „სიმბოლური, მეტაფორული ენა“ გაცილებით განვითარებული აღმოჩნდა ჩვენთან და ეს თანაბრად გადანაწილდა სხვადასხვა რეჟისორზე, სხვადასხვა ჯგუფზე.

**ბ. ვ.** თქვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით ნათელი და გასაგებია. მაგრამ... სიმბოლურ-მეტაფორული ენით აზროვნება თეატრალურ ხელოვნებაში გაცილებით აღრე დაიწყო. ეს პროცესი იწყება მაშინ, როდესაც ფორმირებას იწყებს ე.წ. „სარეკისორო თეატრი“ (XIX საუკუნის ბოლო – XX საუკუნის დასაწყისი).<sup>2</sup> იმის თქმა მინდა, რომ 60-იან წლებში, „სიმბოლურ-მეტაფორული თეატრი“ – ერთგვარი „რიმეები“ იყო სახეცვლილი ფორმებით. ამას ტრადიცია უკვე არსებობდა, არა მხოლოდ ევროპასა და რუსეთში, არამედ, საქართველოშიც. მაგალითად შეიძლება მოვიყვანო დად ბრიტანეთში, ლონდონში „British Library“-ში გაკთუბული გამოფენა „მოდერნიზმი ერთობაში 1900-1937 წლები“ (გამოფენა 2007 წლის იანვარში გაიხსნა და 2008 წლის მარტამდე მიმდინარეობდა და იმდენად წარმატებული იყო, რომ შეძლევ პარიზშიც გადაიტანეს).

მასში, სხვა ევროპულ ქალაქებთან ერთად, თბილისიც ჩართული იყო. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მაქსიმალურად ყველაფერი – წიგები, ნახატები, პლაკატები, წერილები, ავტორთა ხმის ჩანაწერები, ფილმებიდან შექმნილი ვიდეოროგოლები, ფილმები, კეთდებოდა მოხსენებები, და ა. შ. საქართველოდან, სხვა ექსპონატებთან ერთად, ნაჩვენები იქნა კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“, მიხეილ კალატოზიშვილის „ჯიმ-შვანთე“. მათა ციციშვილისა და თქვენს მიერ, წაკითხული იყო მოხსენება მ პერიოდის ქართული კულტურის შესახებ. „B.L.“-ის გამოფენა გავიხსენ, რადგანც, იქ ძალიან კარგად წარმოჩნდა, რომ საქართველო და თბილისი XX საუკუნის დასაწყისში ინტელექტუალური და კულტურული სამყროს ერთგვარ თაზისად იქცა. არეკლობა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისიდანვე იწყება, ქრონოლოგიურად ამას მოჰყვა პირველი მხოლელიო ომი 1914 წელს, რის შედეგადაც რუსეთი ძალიან „დასუსტდა“ ეკონომიკური თვალსაზრისით და შეძლომ უკვე 1917 წლის რევოლუცია. იმ ხანად, საქართველოში, რუსეთიდან და ევროპიდანც ძალიან დიდი ე.წ. „ინტელექტუალური ნაკადის“ შემოღინება ხდება. საქართველო კულტურის, ხელოვნების ერთგვარ „ოაზისად“ იქცა. ყველა მიმდინარეობა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისიდან არსებობდა ევროპულ თუ რუსულ კულტურასა და ხელოვნებაში, იძენტურად ვითარდებოდა თბილისსა და საქართველოში – ნატურალიზმი, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ფუტურიზმი და ა. შ.

**ლ. ს.** დიახ, გეთახნმებით. სანამ საბჭოთა უშიშროებამ არ დაიწყო თბილისის დაბლოკვა, თბილისი იყო ისეთივე კულტურული ცენტრი, როგორც სხვა ევროპული კულტურული ცენტრები. რა თქმა უნდა, გვმართებს ზომიერების დაცვა. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ თბილისი იყო ისეთივე კულტურის ცენტრი, როგორიც პარიზი ან ლონდონი. ეს გამოფენა კარგად ახსენე, ვინაიდან, კიდევ ერთხელ გაესვა საზი იმ ფაქტს, რომ თბილისი ჩართული იყო მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესებში და, უფრო მეტიც... მაგალითად მოვიყვანოთ მმები ზდანევიჩები, რომლებიც დედით ქართველები იყვნენ და მამით პოლონელები და რატომლაც, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გვაჩვენებოდეს, მათ რუსულ კულტურას მიაწერენ, არც პოლონერსა და არც ქართულს. თბილისიდან ევროპაში წასვლის შემდეგ, მმები ზდანევიჩები განაპირობებენ ევროპულ და ზოგადად მსოფლიო კულტურაში მიმდინარე პროცესების განვითარებას, კერძო

დადაიზმს და მთელ რიგ მიმდინარეობებს... თბილისი უშუალო მონაწილე იყო იმ ეპროპული სახელოვნებო დარგების მიმართულებების განვითარებისა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. იმდონიხდელი „თბილისური ავანგარდი“ მეტ-ნაკლებად ცნობილია. 80-იან წლებში, იტალიაში, ორი კონფერენცია ჩატარდა იმ პერიოდის ავანგარდზე და სამწუხაროდ, კონფერენციის მასალები დღემდე არ არის ნათარგმნი ქართულ ენაზე.

დღეს ჩვენ ბრძოლა გვჭირდება იმისთვის, რომ თბილისმა, საქართველომ დაიბრუნოს თავისი ადგილი მსოფლიო კულტურულ რუკაზე. ახლა, კონკურენცია ძალიან დიდია. დრო სულ უფრო მეტად გაჩვენებს, რომ ბევრი მოვლენა, რომელიც საქართველოში ხდებოდა, ხდება და მოხდება, უცილებლად საჭიროებს ევროპულ, მსოფლიო კონტექსტში განხილვას. ეს არ არის ხელოვნური საკითხი, ეს არის აუცილებელი საკითხი. ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ გავხდით მსოფლიოს მოქალაქეები. ჩვენ არ ვართ კონკრეტული პოლიტიკური, სახელმწიფო წყობის გადმონაშთი (საბჭოთა კავშირს ვგულისხმობ). ის, გაქრა და ამით დამტკიცდა, რომ საბჭოეთი ატავითმი იყო, დამტკიცდა, რომ არ შეიძლება ცივილიზებულ სამყაროში არსებოდეს ასეთი „ბოროტების იმპერია“. არსებოდეს დიდხანს (დრო პირობითი ცნებაა მ. ვ.), ვინაიდან ყველა იმპერია ქრებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში და რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალი დამოუკიდებელი ქვეყნები. ვერც ერთმა იმპერიამ ვერ იარსება, ყველაზე ხანგრძლივმა ეგვიპტურიდან დაწყებული დამთავრებული საბჭოთა იმპერიით. ყველა გაქრება. ეს არის საფუძველი დასავლური ცივილიზაციის ცნობიერების განვითარებისა. ეს არის – ურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთპატივისცემაზე აგებული საზოგადოებრივი წყობა. ამ პრინციპების გათვალისწინებით, ძალიან მნიშვნელოვანი ხდება, ყველა იმ მოვლენის გადაფასება, რომლითაც ჩვენ ქართულ კულტურას თავის საკადრის ადგილს მოკუთხნით მსოფლიო თანამეგობრობაში. აი, ეს, იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სტურუას შემოქმედების განსაზღვრისათვის.

**მ. ვ.** სტურუას შემოქმედების განსაზღვრისათვის, მისი „სათავაზრო ენას“ ფორმირების საკითხის გაანალიზებისათვის, აუცილებელი და საჭიროა მოკლე ისტორიული, კულტურული, სახელოვნებო ექსკურსის გაკეთება. გავიხსენოთ პერიოდი, როდესაც კოტე მარჯანიშვილი ბრუნდება საქართველოში რუსეთიდან და

რუსთაველის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორად ინიშნება. კულისხმობ 1920-იან წლებს. ჩვენ უკვე აღვნიშვნთ, რომ ამ პერიოდში თბილისი, და საერთოდ, საქართველო სახელოვნებო, კულტურის სხვადასხვა დარღვეული მოღვაწე ადამიანთათვის ერთგვარ „რაზისად“ იქცა. ზემოთ ვთქვით, რომ იმხანად, საქართველოში, რუსეთიდან და ეპროპიდანაც ძალიან დიდი ე. წ. „ინტელექტუალური ნაკადის“ შემოდინება ხდება. უფრო ადრე, ეპროპაში და რუსეთში, კულტურაში არსებული პროცესები იძენტურად ვითარდებოდა ჩვენთანაც. 1917 წლის რუსეთის რევოლუციაზე, 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებაზე როდესაც ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ. იმხანად, ეპროპასა და რუსეთში, პირველმა მსოფლიო ომმა (1914-1918), ადამიანებს სულიერი, ფიზიკური დანაკლისის გარდა კონომიკური გაჭირვებაც მოუტანა. ხალხი გამოხატავდა პროტესტს, ზოგი ქუჩაში გამოვიდა, ხელოვანები კი ამას თავის შემოქმედებაში ასახავდნენ. ბევრი მათგანი რევოლუციას შეხვდა, როვორც მხსნელს, განმათავისუფლებელ მოვლენას. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ვერც-ულ ქვეყნებში სახელმწიფო მმართველობის ფორმები უკვე შეცვლილი იყო (მაგალითად საფრანგეთი, ნიდერლანდების გაურთიანებული სამფლო და სხვ.). რუსეთის იმპერია უკვე „ზანზარებდა“, ცვლილებები უკვე მომწიფებული იყო, ხოლო ომმა დააჩქარა ამ ცვლილებების განხორციელება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქართველო, მაშინაც, რუსეთის იმპერიის პროვინცია იყო, ე. წ. ცვლილებებს, ისევე როვორც რუსეთში, ქართულ კულტურაში მოღვაწე ცნობილი პოეტები, მწერლები, რეჟისორები და სხვები ერთგვარი „სიხარულით“ შეხვდნენ. ბევრი მათგანი მაღვევე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ზოგმა ქვეყნა დატოვა და უცხოეთში გადასახლდა, ზოგი დაიჭირეს და ზოგიც დახვრიტება... მაგალითად მოვიყან 20-იანი წლების დასაწყისის გაზეთ „კომუნისტის“ რამდენიმე ამონარიდ:

**გაცნცხადება:** ვაცხადებ ჩემდამი რწმუნებულ სახელოვნო კომიტეტში შემავალ მოელ რესპუბლიკის დაწესებულებათა და ხელოვანთა საკურადღებოდ, რომ მათი საქმეების გამო მომბარონ პირადად მე, ან სახელოვნო კომიტეტის განყოფილების გამგებს და არა სხვა რომელიმე უმაღლეს დაწესებულებათ. მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარე - ვრ. რობაქიძე, მდივანი - შ. აფხაიძე /კომუნისტი, 1921, 28 ივნისი, გვ 2;

**თეატრი და ხელოვნება:** [გაცნცხადება საქართველოს ქალაქებში სახელმწიფო დრამატული სკოლების გახსნის შესახებ] // რესპუბლიკის

სათეატრო განათლების გამგის აკაკი ფალავას განცხადების თანახმად, სათეატრო სტუდიები იხსნება თბილისში - სახელმწიფო დრამის კანტორაში; ქუთაისში - ხელოვნების მუშაკთა კავშირში; ბათუმში - “ოდისთან”; ჭიათურაში - რეჟისორ ქორელთან; კომუნისტი, 1921, 23 სექტემბერი, გვ.2

**რუსთაველის თეატრის შესახებ რევოლუციური კომიტეტის დადგენილება №101, 1921 წლის ნოემბრის 25, ტფილისის სასახლე:** სახელმწიფო დრამის თეატრს (ყოფილი საარტისტო საზოგადოება) ეწოდოს „შოთა რუსთაველის თეატრი“//კომუნისტი, 1921, 26 ნოემბრი, გვ.3;

**თათბირი ქართული თეატრის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატში:** კრების თავმჯდომარის - გრ. რობაქიძის 6 წინადაღება ქართული თეატრის კრიზისის დასაძლევად. თეატრში ლიტერატურული გამგის თანამდებობის. მოთხოვნა. სიტყვებით გამოვიდნენ კ. მარჯანიშვილი, აკაკი ფალავა, პაოლო იაშვილი და სხვ//კომუნისტი, 1922, 15 ნოემბერი, გვ.3;

**„ცხვრის წყარო“:** პრემიერა რუსთაველის თეატრში 26 ნოემბერს. რეცენზენტი (რ. გ.) ქართული თეატრის მესიას უწოდებს კოტე მარჯანიშვილს განხორციელებული დადგმისა და ქართული თეატრის გადარჩენის გამო. მონაწილეობდნენ: თამარ ჭავჭავაძე, ტასო აბაშიძე, ელენე ლონაური, აკაკი ვასაძე, უშანგი ჩხეიძე, შალვა ლამბაშიძე და სხვები//კომუნისტი, 1922, 28 ნოემბერი;

**კ. მარჯანიშვილი ქართული აკადემიური დასის მთავარი რეჟისორი:** [ინფორმაცია ხელოვნების კომიტეტის მიერ კოტე მარჯანიშვილის დანიშნის შესახებ] // კომუნისტი, 1922, 7 დეკემბერი, გვ.3.<sup>3</sup>

იგივე ხდებოდა რუსეთშიც.

**ლ. 6. 1917-18 წლებში, რევოლუციის პერიოდში, როდესაც მეირპოლდი იყო კომისარი, პირველ ნაშრომებში ძალიან ბევრს წერდა მე-20 საუკუნის სათეატრო ხელოვნებაზე. უკვე ახსენებდა მონტაჟის პრინციპებს. წერდა იმის შესახებ, რომ შეიცვალა სათეატრო დრო. ეს ის პერიოდია, როდესაც ის იწყებს ექსპერიმენტებს ღია სივრცეში.**

**მ. 3. ერთ პატარა დაზუსტებას შემოვიტან. მეირპოლდი ექსპერიმენტებს ღია ცის ქვეშ იწყებს ცოტათი უფრო ადრე, 1910 წელს. ის დგამს კალდერონის პიესას „ჯვრის თაყვანისცემა“.** დადგმა განხორციელდა პეტერბურგთან ახლოს, მწერალი ქალის

კრესტოვსკაიას მამულში „მოლოდიოუნივერსიტეტი“. აქ იყო არაჩვეულებრივი ბალი, რომელიც უერთდებოდა „ფინეთის უურეს“. პატარა სასახლიდან „ფინეთის უურედე“ ეშვებოდა უზარმაზარი კიბე, პირობითად სასცენო სივრცე. ჩანაფიქრის მიხედვით სპექტაკლი მიძინარეობდა ღამე, ჩირალინებით განათებული და მასში მონაწილეობდნენ მიმდებარე ტერიტორიებზე მაცხოვრლებლები.<sup>4</sup>

**ლ. 6. გავიხსნოთ, როდესაც ვესწრებოდით „ასერგასის“ რეპეტიციებს (რობერტ სტურუამ ეს სპექტაკლი მ. კვესელავას ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა 1984 წ. გ. 3.). მასხსოვს, „ასერგასის დღე“ იყო დაახლოებით 6 საათის მასალა. ამ 6 საათიდან სტურუამ პრაქტიკულად მასალის „ჭრა“ დაიწყო. მე სხვა რეჟისორებთან ნაკლებად შეეხვდოიგარ ამ ხერხს. ახლა, ვლაპარაკობ ისეთ რაღაცაზე, რაც პრაქტიკულად არ დამუშავებულა თეატრმცოდნებაში და ვფიქრობ არის ძალიან მნიშვნელოვანი. რობერტ სტურუა პირველ რიგში მუშაობს ტექსტზე და ტექსტიდან აკეთებს გარკვეულ კომბინაციას. არსებული ტექსტიდან ის ქმნის თავის ტექსტს. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ პირველად, ასეთი სერიოზული ხერხი გამოიყენა მეირპოლდმა. იგი კინაღამ „ანათემას გადასცეს“, როდესაც გოგოლის „რევიზორს“ და როდესაც გრიბოედოვს მიაწერა თანავტორად თავი, ანუ მეირპოლდი. მართალი იყო იმიტომ, რომ ტექსტი აიღო როგორც „მასალა“, ტექსტიდან შეემნა ახალი ვერსია და გადააქცია სპექტაკლად. სტურუა პირველ ეტაპზე აკეთებს ტექსტს, მერე ახორციელებს რა ამ ტექსტს სრულად სცენაზე, იწყებს მის მონტაჟს. პრაქტიკულად იყენებს კინო-ხერხს, კინომოწაჟის პრინციპს, როდესაც კინორეჟისორი იღებს გადაღებულ მასალას და შემდეგ ამონტაჟებს.**

**მ. 3. მაგრამ კინში ყოველთვის კეთდებოდა ღიატერატურული სცენარი, სარეჟისორო სცენარი, ტექნიკური სცენარი და ა. შ....**

თანაც ასეთ ხერხს, პიესის ან ნაწარმოების ტექსტის მონტაჟს, ჩვენთან ჯერ კიდევ იყენებდა მარჯანიშვილი, დღეს კი რეჟისორთა უმრავლესობა მიმართავს ამ ხერხს, ჩემთანც და უცხოეთშიც. გარდა იმისა, რომ ტექსტის მონტაჟს აკეთებენ, აკეთებენ ერთ თემაზე შექმნილი სხვადასხვა ავტორის ტექსტის კომპილაციას, ცვლიან მოქმედების ადგილმდებარეობასაც. მაგალითად შემიძლია დაგიხსნოთ; მათა კლიჩევსკას „ფედრა“, რომელიც ერთად ვნახეთ პოლონეთში; გამუნტას ნეკრომიუსის – „ოტელი“, „ფაუსტი“, „პამლეტი“, ოსკარას კორშუნოვანის „რომეო და ჯულიეტა“;

„პამლეტი“, ჯორჯო სტრელერის 1947 წელს დადგმული „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ (აქ პიესის სათაურში ვხვდავთ ცვლილებას, კ. გოლდონის პიესის სათაურია „ორი ბატონის მსახური“) და ა. შ.

**ლ. ხ.** რასაკვირველია... ეს პროცესი ძალიან მინიშვნელოვანია. ვინაიდან სათეატრო ნაწარმოები, სპექტაკლი არის ცოცხალი, დროში არსებული, რომელსაც დასაწყისი აქვს, დასასრული აქვს. კინო კი, რომელსაც მე ვუწოდებ, ქიმიურ, ფიზიკურ თეატრს, ვინაიდან პროცესი იქ ერთხელ ფიქსირდება. თეატრში არ ხდება პროცესის ამ სახით დაფიქსირება. მოუხდავად ამისა, ამ ცოცხალი ორგანიზმში ხდება მონტაჟის ხელოვნების შეტანა. მეიერპოლდი შემთხვევით არ ვახსენე, მეიერპოლდი უკვე ბევრს წერდა როგორც თეორეტიკოსი, მონტაჟის შესახებ. ეზენმტეინი იყო მეიერპოლდის მოსწავლე. მეიერპოლდის სტუდიაში სწავლობდა ეიზენშტეინი, იუტკევიჩი... ეიზენშტეინი ევროპულ სივრცეში, ისევე როგორც გრიფიტი ამერიკაში – მონტაჟის მქადაგბლები იყვნენ. ეიზენშტეინი მეიერპოლდის მოსწავლეა და არ არის გასაკვირი, რომ სწორედ მეიერპოლდმა, სათეატრო რეჟისორმა გადასცა ეს ცოდნა. შემდგომ ეზენშტეინი გახდა ე. წ. მონტაჟის „მამა“. რევოლუციის შემდგომ მეიერპოლდი ერთი პერიოდი აღლუმებს დგამდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. მიხეილ რომის ფილმში „ლენინი ოქტომბერში“ არის ცნობილი ეპიზოდი ზამთრის სასახლის აღებისა. ძალიან ცოტამ იცის, რომ ზამთრის სასახლის აღება კინოში გადავიდა თეატრალური დადგმიდან, რომელიც მეიერპოლდმა გააკეთა მოედანზე.

**ბ. ვ. დიახ.** 1918 წელს ეს დადგა მეიერპოლდმა რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად და გადაიღო მიხეილ რომმა. შეძლებ საბჭოთა ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ეს იყო ქრონიკა.

**ლ. ხ.** ანუ, ეს იყო ექსპერიმენტები, ახლა ეს ითვლება კინოკლასიკიად. რომის ფილმი „ზამთრის სასახლის აღება“ იქცა რევოლუციის სტერეოტიპად და შემდგომ ამას აჩვენებდნენ მსოფლიოს, როგორც რევოლუციის სტერეოტიპს. ეს იყო ნაყოფი მეიერპოლდის შემოქმედებისა. მეიერპოლდი მაშინ წერდა მონტაჟზე, ტექსტის ახალ მიდგომებზე და იმაზე, რომ სპექტაკლი უნდა ყოფილიყო 45 წუთი, მაქსიმუმ, 1 საათი. მან თანამედროვე თეატრის თვალსაზრისით გაცილებით გაუსწრო დროს. მეიერპოლდი უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში ამბობდა, რომ ცხოვრება აჩქარდა, ადამიანი არ არის მზად უფრო მეტს გაუძლოს, ანუ მიიღოს რაციონალურად სასარგებლო ინფორმაცია. მეიერპოლდი, აქედან გამომდინარე, იყო ის რეჟისორი,

რომელიც კლასიკურ ტექსტებს ამონტაჟებდა და სთავაზობდა მის მოკლე ვარიანტებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.

თუ, ჩვენ, სტურუას ტექსტის მონტაჟირების ხერხს განვიხილავთ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს მისი შემოქმედებისა (რომელიც „სამზარეულოა“ იმისა, თუ როგორ აწყობს ის ტექსტებს), შემდგომში უკვე აღმოჩნდება, რომ სტურუა თანაბრად მიჰყვება ევროპულ პროცესებს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ XX საუკუნის რეჟისურაზე, განსაკუთრებით მეორე ნახევარზე – სტრელერი, ბრუკი, გროტოვსკი, რანკონე, პიტერ შტაინი, შერო, ვიტეზი და ა. შ. რომელებიც „ამინდს ქმნიან“ სათეატრო ხელოვნებაში, ამათ რიცხვში რასაკვირველია სტურუას თავისი ადგილი უკავია. მე არ მინდა იმის თქმა, რომ სტურუამ აღმოაჩინა ახალი ხერხები. შეიძლება ვთქვათ, რომ გროტოვსკიმ აღმოაჩინა, ბრუკმა აღმოაჩინა, რანკონიმ გააკეთა მთელი რიგი აღმოჩნდები, რომლებიც ჩვენთან სამწუხაროდ არ იციან. სტრელერს სხვათაშორის ახალი ხერხები არ აღმოუჩნდა.

**ბ. ვ.** სტრელერს ხერხი არ აღმოუჩნდა? ჯორჯო სტრელერმა – ლეგენდად ქცეულმა რეჟისორმა პაოლო გრასისთან ერთად, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალი თაეტრი შექმნა იტალიაში, მიღანის „პიკოლო თეატრი, ევროპის თეატრი“. მის მიერ 1947 წელს დადგმული „არლეკინი, ორი ბატონის მსახური“ კი დღემდე ცოცხალი სპექტაკლია და ანშლავებით მიღის მხოლელი თეატრებისა და სათამაშო მოუნდების სივრცეში. (სულ ახლახანს ეს სპექტაკლი ქართველმა მაყურებელმაც იხილა თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მარჯანიშვილის თეატრში).

**ლ. ხ.** ლაპარაკი მაქვს თეატრალურ ფორმებზე, გამომსახველობითი ენის თვალსაზრისით. ანუ ახალი ფორმები, რომლითაც თეატრი განვითარდებოდა. სტრელერმა მაგალითად უზარმაზარი წვლილი შეტანა იტალიური თეატრის განვითარებაში და ამით, მან დააბრუნა იტალიური სათეატრო და სამსახიობო სკოლა „მსოფლიო თეატრში“ და ა. შ..

**ბ. ვ.** ამ საკითხში ვერ დაგეთანხმებით. ძველი ფორმების გადამუშავება, საკუთარ ის შეტანა ძველ ფორმებში, ახალი ფორმის შექმნაზე მივითოთებს.

მარჯანიშვილმაც გააკეთა აღმოჩნდები, თაიროვის „კამერული თეატრი“, ვთქვათ შექმნილი იყო მარჯანიშვილის მიერ, ეს უკვე კველამ ვიცით.

**ლ. ხ.** რა თქმა უნდა – მარჯანიშვილმა, მეიერპოლდმა, თაიროვაძა და ა. შ.. სტურუაზე ჯერ გვიჭირს ამის თქმა. აღბათ, რაც უფრო კარგად შევისწავლით მსოფლიო თეატრს, სტურუას მსოფლიო თეატრის კონტექსტში, მით უფრო კარგად გამოჩნდება სად, რა, როდის... ვფიქრობ იმ ნაკრებით ხერხებისა, რომელსაც იყენებდა სტურუა, ყოველგვარი ტექნიკური ხერხების გამოყენების გარეშე, თავის სათეატრო დადგმები, მაქსიმალურად მიუახლოვა კინოხელოვნების ენას.

**ბ. ვ.** აღბათ იმიტომ, რომ მას თავად ძალიან უნდობა ყოფილიყო კინოხელოვნებას კარგად იცნობს.

**ლ. ხ.** მაგრამ, უცნაური არის ის, რომ მან ეს გააკეთა მხოლოდ მწირი თეატრალური ხერხების გადაფასების საფუძველზე. შეგნებულად არ ვლაპარაკობ კონცეპტუალურ მიღვომებზე. ვფიქრობ რომ უფრო მნიშვნელოვანია გამომსახველობითი ენის დადგენა და მერე შეიძლება ვთქვათ კონცეფციაზე საუბარი. სტურუას დროს რომ ყოფილიყო ის მულტიმედიური საშუალებები, რომელიც დღეს არის, ვფიქრობ, რომ ჩვენ გვექნებოდა სერიოზული მულტიმედიური თეატრი სტურუასაგან. გავიხსენოთ მისი სპექტაკლები, როდესაც სათეატრო სივრცეში მიდიოდა სხვადასხვა კინოხედების გამოყენება, მაგალითად გამსხვილება, მსხვილი ხედები, საერთო ხედები.

**ბ.ვ.** კინოხერხებს, თავის სპექტაკლებში ძარჯანიშვილიც იყენებდა. გავიხსენოთ ერნესტ ტოლერის „პოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, სადაც უშუალოდ კინოპროექცია ქინდა გამოყენებული (1928 წლის 3 ნოემბერს ამ დადგმით ქუთაისში სხინის ახალ სახელმწიფო თეატრს, დღევანდველი მარჯანიშვილის თეატრი). „ურიელ აკოსტაში“ (ა. გუცევის პიესის მიხედვით) კი ე. წ. „კინოხერხებს“: მონტაჟს, ხედების გამსხვილებას, სასცენო სივრცეში ერთდროულად სხვადასხვა პლანზე მოქმედებას და ა. შ. მიმართავდა. ქართულ სცენაზე ეს სპექტაკლი სამჯერ თუ ოთხჯერ აღადგინეს და ამიტომ ჩვენ და ჩვენს შემდგომ თაობებსაც კარგად გვახსოვს.

**ლ. ხ.** კიდევ ერთ სერიოზულ რაღაცას ვახსენებ, რომელიც მთლიანად ემთხვევა ვეროპულ ძიებებს. 1967-68 წლებში, ბრიტანეთში მოღვაწეობდა პოლონელი რეჟისორი მოროვიჩი, რომლის პროდიუსერი იყო ტელმა პოლტი. ტელმა პოლტი ჩვენთან ცნობილი პიროვნებაა, ვინაიდან მან გაიყვანა სტურუა რაუნდპაუზში. არავინ არ იცოდა ის, რომ ტელმა პოლტი იყო პროდიუსერი, რომელიც პირველი აფინანსებდა იმ ტიპის ექსპერიმენტებს ბრიტანეთში, რომელიც მან

დაინახა შემდეგ საქართველოში, კერძოდ სტურუას სპექტაკლებში. მოროვიჩი იყო პირველი რეჟისორი, რომელმაც ბრიტანულ სცენაზე შექსპირის პოეტური ტექსტი გადაიტანა პროზაულ ტექსტში. მან გადათარგმნა შექსპირის პიესები ინგლისურიდან ინგლისურზე და ლექსი შეცვალა პროზად. ესეც ემთხვევა ე. წ. „სტუდენტური მოძრაობის“ პერიოდს, მათ ექსპერიმენტებს. მან ასევე პირველმა გამოიყენა შექსპირის ტექსტის დაი მონტაჟი – შეკვეცა, შემცირება, სცენების გადაადგილება. ჩვენ ეს შეიძლება დაგუავშიროთ რობერტ სტურუას „რიჩარდ III“ მთავარ პრინციპს. მთავარი პრინციპი იყო ის, რომ მოხდა ახალი თარგმანის დაკვეთა. ისევ დავუბრუნდები ვეროპულ ტრადიციებს. ვეროპული თეატრი თითქმის ყოველთვის უკვეთავდა ახალ თარგმანს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ისინი ამბობდნენ, რომ ენა იმდენად იცვლება, რომ თარგმანი უნდა იყოს ადეკვატური თანამედროვე საზოგადოებისა. თუ ამას ერთმანეთთან დავაკავშირებთ, „რიჩარდ III“ დადგმა მთლიანად ეწერება „ვეროპულ მიღვომასთან“, „ვეროპულ პროცესში“. შეიძლება დღეს ძალიან იოლია იმაზე საუბარი, რომ – ინგლისში პროზაში განახორციელებს შექსპირის დადგმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრიტანელები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან შექსპირთან დაკავშირებულ ყოველი სახის ექსპერიმენტებს. აქვე შემიძლია გავიხსენო, რომ ინგლისში 80-იანი წლები იმით გამოირჩეოდა, რომ ჰამლეტი ხან მაცივრიდან გამოდიოდა, ხან გაზეურაში შედიოდა და ა. შ.. ეს ყველაფერი ხდებოდა, აქ ამაზე არ არის ლაპარაკი.

თეატრის ისტორიაში სერიოზულ რეაქციას იწვევს ისეთი სპექტაკლები, სადაც ექსპერიმენტებთან ერთად ჩვენ ვლებულობთ მაღალმხატვრულ სპექტაკლს. ექსპერიმენტი შეიძლება ბევრგან მოვიძოთ, მაგრამ შედეგი – არა. თეატრის ისტორიას რჩება ისეთი დადგმები, სადაც ყველაფერი შერწყმულია. შეიძლება იყოს სპექტაკლები, სადაც რაღაც მიგნებები იყო, მაგრამ სპექტაკლი არ შედგა, ვერ შედგა, არ იარსება და არ იცოცხება. ამის საუკეთესო მაგალითი ანტონე არტო. მისი ყველა სპექტაკლი, რომელმაც მერე უზარმაზარი გავლენა მოახდინა სათეატრო სამყაროზე, თავის ღროზე მაყურებელმა, საზოგადოებამ არ მიიღო.

შექსპირთან დაკავშირებით ინგლისელები ძალიან ეჭვიანები არიან. ისინი არ პატიობენ არც გადაკეთებებს, არც წერტილ-მძიმეს. აღბათ, ამიტომაც მოროვიჩის ექსპერიმენტები ინგლისური თეატრის ისტორიაში ჩაწერილია და მის სახელთან არის დაკავშირებული

მრავალი ცვლილება – ახალი დადგმისა და ახალი მიღვომებისა. მოროვიჩი გავიხსენე, იმიტომ რომ, ის უშუალოდ შექსპირის ინტერპეტაციებთან იყო დაკავშირებული.

ევროპული იდეები საქართველოში მკვიდრდება. მაგალითად, თემურ ჩხეიძე არასდროს არ მაღავდა იმას, რომ შექსპირის დადგმის დროს მთლიანად ეყრდნობოდა იან კოტის მოსაზრებებს. იან კოტი პოლონელი თეორეტიკოსია, რომელმაც ძალიან დიდი გავლენა იქნია თანამედროვე თეატრმცოდნების ბეკეტის, შექსპირის ანალიზის თვალსაზრისით. ის ამერიკული უნივერსიტეტების პროფესორი, გროტონის ახლო მცირებანი და ძალიან სანტრიქსო თეორეტიკოსი იყო.

**მ. ვ. რობერტ სტურუას „სათეატრო ენის“ კვლევისას, არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ საქართველოში ბრეხტი პირველად დაიღვა 1964 წელს. რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ რუსთაველის თეატრში განახორციელა ბერტოლტ ბრეხტის პიესა „სამგროშიანი ოპერა“. თუმცა სპექტაკლს დიდი წარმატება არ ჰქონდა, მან ვერ მიაღწია იმ სრულ განზოგადებას, რომელსაც ბრეხტის თეატრალური ესთუტიკა და, კერძოდ, ეს პიესა ითხოვდა.**

60-იანი წლების დასაწყისიდან ქართულ თეატრში, კერძოდ კი რუსთაველის თეატრში იწყება რომანტიკული თეატრის პრინციპების უგულებელყოფა. იწყება ძიებები ახალი რეჟისორული სტილისტიკის დამკვიდრებისათვის. ეს პროცესი, ზოგადად და კონკრეტულად შექსპირთან მიმართებაში, საბჭოთა კავშირის თეატრალური სამყაროს მასშტაბით მიმდინარეობდა.

შექსპირის გააზრება თანამედროვე დრამის, ბრეხტის თეატრის პოზიციებიდან, სამოციანი წლების დასაწყისში, რუსთაველის თეატრში პირველად მიხეილ თუმანიშვილმა შექსპირის სამი პიესის დადგმით განხორციელა – „ზაფხულის დამის სიზმარი“ 1964 წელს, „მეუე ლირი“ 1966 წელს და „იულიუს კეისარი“ 1967 წელს. ამ სპექტაკლების გაანალიზება ცალკე მსჯელობის საგანია. ამ სამი დადგმიდან გამოყოფა „ზაფხულის დამის სიზმარი“. მ. თუმანიშვილის ეს დადგმა ე. წ. „ჩავარდნილ სპექტაკლად“ ითვლება. თავის დროზე კი იგი „კრიტიკის ქარცეცხლში“ იქნა გატარებული. მიხეილ თუმანიშვილს საყვედურობდნენ ნოვატორობას, ტრადიციისაგან განვითაროს, სხვადასხვა საშემსრულებლო მანერის ერთ სპექტაკლში აღრევას, ეკლექტიზმს, მხატვრული პოზიციის მერყეობას და ა. შ. რაც მთავარია, კიცხავდნენ მსახიობების თამაშის პირობითობას და უარყოფნენ ამგვარი თამაშის მანერას დრამატულ თეატრში.

აკრიტიკებდნენ მიხეილ თუმანიშვილის ძიებებს, ცდებს ქართულ თეატრში ბრეხტისული ესთუტიკის შემოტანისათვის. ამ გარემოებად დღეს ჩვენში შეიძლება დამტკიცოს, რადგანც ის ბრალდებები, რომლებიც მის „ჭინჭრაქასა“ (გ. ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით) და „ზაფხულის დამის სიზმარი“ დადგმებს წაუყენეს, ჩვენ ვაღიარებთ რობერტ სტურუას შემოქმედებაში და, კერძოდ, შექსპირის „რიჩარდ III“ დადგმაში. შეიძლება „ზაფხულის დამის სიზმარი“ მართლაც არ გამოუვიდა მ. თუმანიშვილს, მაგრამ სტურუას მიერ შექსპირის „რიჩარდ III“ ახლებურად წაკითხვისა და დადგმის წინამდებრები სხვასთან ერთად, შეიძლება ვეძებოთ „ზაფხულის დამის სიზმარში.“ უბრალოდ, ლოგიკურად არ შეიძლება, რომ „ჭინჭრაქასა“ და „ზაფხულის დამის სიზმარის“ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად არ ეძოქმედა რობერტ სტურუას რეჟისორული სტილისტიკის ჩამოყალიბებაზე, რადგანაც სწორედ „პრინციპული“ გალექტიზმი, რომლისთვისაც ასე კიცხავდნენ თუმანიშვილს მრავლადაა სტურუას თითქმის ყველა დადგმაში და მათ მორის „რიჩარდ III“-ში.

**ლ. ხ. ამიტომაც ყველაზე სწორი იქნება, რომ ჩვენ გავაკეთოთ ჩამონათვალი იმ სათეატრო პროცესების, მოვლენების და ფაქტებისა, რამაც განაპირობა სტურუას სათეატრო მოდელი. ჩვენ ვერ ვიტყვით, კონკრეტულად რომელი. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ლუბიმოვის სპექტაკლები, რომლებმაც საბჭოთა სინამდვილეში დააბრუნეს ის გამომსახველობითი ფორმები, რაც იყო მეიერპოლდთან და სხვებთან 20-იან წლებში. თუ მაგალითისთვის ავიდებთ ლუბიმოვის 60-იანი წლების დასაწყისში დადგმულ სპექტაკლებს, ვნანავთ ძირითად ხერხებს, რომლებსაც ჩვენ შემდგომში საუკეთესო სახით ვხედავთ სტურუას სპექტაკლებშიც. ლიუბიმოვის რესურსი არის მეიერპოლდი, ბრეხტი და ა.შ., როდესაც სცენაზე გვაქვს მრავალფუნქციური მეტაფორები, როდესაც ერთი ნივთი ან საგანი, სპექტაკლის განმავლობაში მეტაფორიზაციას განიცდის. ეს ძალიან კარგად ჩანს უკვე რუსთაველის თეატრის ბევრ სპექტაკლში. ეს არ არის მხოლოდ სტურუასთან. ეს უკვე დაწყებულია „ნტიგონეში“, „სამანიშვილში“, როდესაც რეფორმა შემოღის სათეატრო სივრცეში და სცენიდან ქრება მძიმე, მოუქნელი დეკორაციები, ჩნდება აბსტრაქტული სივრცე. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩნდება ახალი სცენოგრაფია, რომელიც ჯერ კიდევ 10-იან წლებში გვხვდება უვროპაში და დაკავშირებულია აპიასთან, კრეგის ექსპერიმენტთან. ეს ბრწყინვალე**

პქნდათ ატაცებული ოცხელს და გამრეკელს. მოხდა ძველის განახლება და თავიდან შემოტანა. ბრეხტის ეპიკური თეატრი ჩვენთან არ იყო სრული მასშტაბით. ჩვენთან იყო ხერხების გამოყენება. ამ შემთხვევაში, ლოგიკურია ვთქვათ, რომ შენ გიჩნდება განსაზღვრება – ეკლექტიზმი... ამ შემთხვევაში ეკლექტიზმი არა იმ თვალსაზრისით, რომ ხელოვნების ნაწარმოები არის დანაწევრებული. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ სათეატრო მოდელთან, როდესაც მრავალი ხერხის, სხვადასხვა, განსხვავებული ხერხის გამოყენებით ჩვენ ვდებულოთ ერთ მთლიანს. დაფუძრუნდეთ კინოხერხებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს პირველად ვნახე ლუბიმოვთან, მაგრამ საუკეთესო სახით განვითარდა სტურუჟასთან. ვგულისხმობ იმას, როდესაც მუსიკა თეატრში ისევე გამოიყენება, როგორც კინოში. მუსიკა არ არის რაღაც ცალკეული ეპიზოდებისთვის გამოყენებული, ამ შემთხვევებში ის არის ცალკე, სრული დრამატურგია. მაგალითად ლუბიმოვის „განთიადი აქ ჩუმია“-ში (A Зори здесь тихие) მთელ საექტაკლში იყო უწყვეტი ხმაური – ჩიტი, წყალი და ა.შ., ეს იყო 60 წუთი უწყვეტი ხმაური.

**მ. ვ. კიდევ ერთხელ გავიძორებ, რომ იური ლუბიმოვი და რობერტ სტურუჟა თეატრალურ ხელოვნებაში, როგორც რეჟისორები, თითქმის ერთდროულად მოდიან. თანამედროვე „სათეატრო ენის“ ძიებები, რომელიც აისახა მათ საექტაკლებში ერთდროულად იყო მომწიფებული კვროპაში, რუსეთსა და საქართველოშიც.**

რობერტ სტურუჟას „სათეატრო მოდელის“, „სათეატრო ენის“ კვლევის დროს, ჩემს ინტერესს არ წარმოადგენს იმის ძიება – ვისთან უფრო ადრე გვხვდება ესა თუ ის სარეჟისორო, სათეატრო ხერხი. ისტორიული წინაპირობების, სათეატრო ესთეტიკის, სათეატრო მოდელის, ზოგადად სახელოვნებო ძიებების ფონზე (მარჯანიშვილის, ახმეტელის, ბრეხტის, სტრელერის, ლუბიმოვის, თუმანიშვილის და სხვათა ძიებები) მინდა გამოვიკვლიოთ რობერტ სტურუჟას „სათეატრო ენა“, რამაც განსაზღვრა იმ ფეხომენის წარმოქმნა, რასაც ჩვენ დღეს რობერტ სტურუჟას თეატრს ვუწიდებთ.

1. Жур. «Театрал» 2.04.2009, <http://taganka.theatre.ru/lubimov/13317/> Ю. Любимов: «Мне пришлили «политический театр»;

2. იხ.: „საუბრები რობერტ სტურუჟას სათეატრო ენაზე“ უკრ. „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2 (43), 2010:;

3. გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 23.09; 1921 წ. 26.11; 1922 წ. 15.11; 1922 წ. 28.11; 1922 წ. 7.12;

4. ru.wikipedia.org/wiki/Мейерхольд,\_Всеволод\_Эмильевич;

- ა. ვასაძე, მოგონებები, ფიქები, წიგნი პირველი, შ რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. „კენტავრი“, 2010:;
- ე. გუშვილი, კოთე მარჯანიშვილი; M. : 1979;
- ვ. კიკნაძე, „საუბრები ქართულ თეატრზე“, 1979;
- ვ. კიკნაძე, „ქართული რეჟისურის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1982;
- ნ. გურაბანიძე, „რეჟისორი რობერტ სტურუჟა“, თბ.: 1997;
- უკრ., თეატრალური მოამზე“, დიალოგი „ყვარყვარებე“, №4, 1974;
- ნ. გურაბანიძე, „ყვარყვარე“, უკრ., საბჭოთა ხელოვნება“, 1974, , №7;
- დ. მუმლაძე, „რეჟისორის შემოქმედებითი პორტრეტი“, უკრ., საბჭოთა ხელოვნება“, 1981, №12;
- გაზ. „კვაკასიონი“, პარიზი, 1964, №9;
- გაზ. „კულტურა“ 2006, №12 (29);
- გაზ. „კულტურა“ 2008, №2 (40);
- თეატრი აბსურდი“ უკრ., H2SO4“ 1924' №1, გვ. 46;
- http://dic.academic.ru;
- Жур. «Театрал» 2.04.2009, <http://taganka.theatre.ru/lubimov/13317/> Ю. Любимов: «Мне пришлили «политический театр»;
- „საუბრები რობერტ სტურუჟას სათეატრო ენაზე“ უკრ. „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი №2 (43), 2010 წ.;
- გაზ. „კომუნისტი“, 1921 წ. 23.09; 1921 წ. 26.11; 1922 წ. 15.11; 1922 წ. 28.11; 1922 წ. 7.12;
- ru.wikipedia.org/wiki/Мейерхольд,\_Всеволод\_Эмильевич.

## შალვა გამორჩეულის ფარმატებული სამეტაპლები

ქართული თეატრის ისტორიაში შალვა გაწერელიამ გამოკვეთილი ადგილი დაიმკიდრა როგორც 70-იანი წლების რეჟისორთა თაობის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მოღვაწემ. 1958-1996 წლებში განხორციელებული მისი სპექტაკლები წარმატებული ეტაპია ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორიაში. 1976-96 წწ. იგი თეატრის ხელმძღვანელი იყო და მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. მან ახალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაზე ორიენტირებული თეატრი გარდაქმნა მკვეთრი მსოფლმხედველობის მქონე, ეკონომიკული თეატრალური ესთეტიკის თანამედროვე ახალგაზრდულ თეატრად. ამ ორიგინალური რეჟისორის მიერ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული წარმატებული სპექტაკლებით, ქართული თეატრის ისტორიაში დამკიდრდა ცნება შალვა გაწერელიასეული თეატრალური ესთეტიკის თაობაზე. მისი თეატრი უხვად იყო გაჯერებული მაღალი პოვზით, თეატრალური ფერადოვნებით, მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზით, ნატიური სილამაზით, ეროვნული პრობლემებისა თუ ადამიანურ ურთიერთობებში დამკიდრებული დისპარმონის მამხილებლური პათოსით. აგრეთვე კომუნისტური რევიზიის რევიზიის მცდელობით, უდრმესი რწმენით, რომ დიდი კულტურისა და მრავალ საუკუნოვანი წარსულის მქონე ქართველი ერი, შეძლებდა დაეძლია მის წიაღში ხელოვნურად ჩანერგილი აგრესია, ნიკილიზმი და მონური სული, რომელიც უსასტიკესი მეთოდებით ანგრევდა მარადიულ ფასეულობებს, შლიდა ეროვნულ მეხსიერებას, აფერხებდა ქვეყნის აღმშენებლობისა თუ განვითარების ბუნებრივ პროცესს. შ. გაწერელიასეულ სპექტაკლებში მკვეთრად გაცხადდა რეჟისორის ფილოსოფიური აზროვნება, მოღვაწეობის აღრეული პერიოდისათვის დამასასიათებელი ფსიქოლოგიურ-ეპიკური თეატრალური ესთეტიკა კი მოგვიანებით წარმატებით აღაპტირდა სამოედნო თეატრის სადაღმო და საშემსრულებლო ხერხებთან.

XX საუკუნის 70-იანი წლები, როდესაც თავის პირველ წარმატებულ სპექტაკლებს ქმნის შ. გაწერელია, უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული თეატრის ისტორიაში. 20-30-იანი

წლებიდან ევროპული თეატრალური ხელოვნებისაგან ხელოვნურად იზოლირებული საბჭოური თეატრი განვითარების ბუნებრივ პროცესს უკავშირდება. საზღვარგარეთულ თეატრალურ ესთეტიკასთან კვლავ დაახლოების აქტი, ეროვნული სადაღმო და საშემსრულებლო ხერხების უცხოურთან ადაპტირებით აღინიშნა. გამოიკვეთა, რომ მათ შორის მუდმივად არსებობდა ფარული, მაგრამ შთამბეჭდავი შეხების წერტილები. სამყაროში განვითარებული პროცესები არ აღმოჩნდა რადიკალურად განსხვავებული. ქართულ თეატრშიც, როგორც სინამდილის ამსახველ აბ ენერგეტიკული კოდის მატარებელ სფეროში, განვითარების ბუნებრივი, სინამდვილის აღეპვატურად ამსახველ-შემფასებელი სანახაობრივი ფორმები ღიად თუ ფარულად, ცენტურისა თუ თვითცენტურის მოუხედავად, მაინც შეუფერხებლად წარიმართა. ნახევარსაუკუნოვანი იზოლირებული მოღვაწეობის შედეგად, ქართულმა თეატრმა უსწრაფესი ტემპით განახორციელა წარმატებული ჩართვა მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარების მაგისტრალურ ტენდენციებში. ამავე დროს მან შეინარჩუნა ეროვნული მხატვრული ფორმაცა და სულისკვეთებაც.

50-იან წლების მიწურულს, როდესაც მოზარდთა თეატრში თავის პირველ სპექტაკლებს დგამდა რეჟისორი, საბჭოეთში მთავრდება „უკონფლიქტობის თეორიის“ ხანა. 1956 წელს განხორციელდა 30-იან წლებში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია. მათი შემოქმედებითი მექანიზმების ხელახლი გადააზრების შედეგად კი ახალი თეატრალური პერიოდი, სტანისლავგასისეული განცდის თეატრისაგან დისტანცირებითა და ბრეხტისეული პოლიტიკური თეატრის სადაღმო ხერხებისადმი ინტერესის გაქტიურებით წარიმართა. 1964 წელს იური ლუბიმოვის მიერ „სეჩუანელი კეთილი ადამიანის“ დადგმას და მის მიერ დაფუძნებულ „ტაგანკის თეატრს“ ისტორიული მნიშვნელობა პერიოდი. ამ ახალგაზრდული თეატრის გაბედული და წარმატებული ექსპერიმენტებით გატაცებულ-გამხნევებული რეჟისორების ახალი თაობა, თავადაც თამამად ეპყრობოდა კლასიკურ ქმნილებებს. 70-იანი წლებიდან განხორციელებულ სპექტაკლებში ახალი თაობის თეატრალური რეჟისურის წარმომადგენლები იწყებდნენ უახლოესი წარსულის რევიზიასა და აწმყოს კრიტიკულ გაზრებას. ხოლო სტანისლავგასისეული სისტემისაგან თეატრის მოღვაწეთა ერთგარი დისტანცირების ხანა, თითქმის საუკუნის მიწურულამდე გაგრძელდა. ამ მხრივ, 90-იანი წლების ბოლოსათვის, შესამჩნევია ასეურდის თეატრისა და შუასაუკუნეობრივი სამოედნო თეატრის

სადადგმო და საშემსრულებლო ხერხების შეჯერებით შექმნილი სანახაობებით გატაცება. ახალი ათასწლეული კი თეატრალური ხელოვნების 25 საუკუნოვანი მიღწევების ხელახალი გადააზრებითა და სრული პრინციპული ეკლექტიზმის ნიშნით დაფიქსირდა.

შალვა გაწერელიაც, ისევე როგორც რ. სტურუა და თ. ჩხეიძე, სწორედ მიხეილ თუმანიშვილის რეჟისორული სკოლის თანამოაზრე, დიდი მაესტროს მიერ აღდგენილი ქართული თეატრალური რეჟისურის კლასიკური ფაზის შემოქმედებითი მემკვიდრეა. მოზარდ მაყრებელთა ქართულ თეატრში განხორციელებულ წარმატებულ სპექტაკლებში შ. გაწერელიაც გაბედულად „თამაშობდა“ თეატრის დამოკიდებულებას პიესისა და რეალობისადმი, ახასიათებდა აგრესია, სინთეტიზმი და მასშტაბურობა. მისი დადგმები ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ ამბობით, ინდივიდუალიზმის გააქტიურებით, აწმყოს მხილებითა და უახლესი წარსულის მამხილებლური პათოსით აღინიშნა. ისინი გამოირჩეონ კონცეფციური აზოვნებით, თანამედროვე მსოფლიო თეატრალური რეჟისურისთვის ნიშანდობლივი თავისუფალი დამოკიდებულებით ტექსტისადმი და ნაწარმოებში ასახული მოვლენების ჩარჩოების რევენით. ქარიზმატული რეჟისორის ხელმძღვანელობით მოზარდთა თეატრში სწრაფი ტემპით წარიმართა თეატრის რეფორმირების პროცესი. 70-იანი წლებიდან განხორციელებული სპექტაკლებით შ. გაწერელია ესწრაფვოდა აღეზარდა კრიტიკულად მოზარვნე თაობა, რომელიც შეძლებდა ფარული კონფლიქტებით აღსავსე მკაცრი რეალობის გაცნობიერებას. რეჟისორ-ლიდერი საბავშვო სპექტაკლებშიც ქმნიდა თანამედროვე ეროვნული პრობლემებისა და მიმდინარე თეატრალური პროცესების ამსახველ სანახაობებს. იგი თამამად შლიდა ზღვარს საბავშვო, ახალგაზრდულ და უფროსი თაობის თეატრს შორის, რადგან მიაჩნდა, რომ ბავშვის ხანა თანამედროვე სამყაროში დასრულდა. 1992 წელს დადგმულ „წითელქუდაში“, შ. გაწერელიამ მძაფრად ასახა საქართველოს დედაქალაქში განვითარებული მოვლენები, სამოქალაქო ომითა და დისკომფორტით დაღლილი ქართველების გაუსაძლისი ყოფა. კონკებში გახვეული, კბილატკიებული, უგაზობითა და უსინათლობით გატანჯული, სიცივისაგან გონდაკარგული რევაზ თავართქილაბის მგელი, უხელვასობის გამო ვერ ახერხებდა ექიმთან წასვლას. თამარ ლოლაშვილის მელას მომხიბლელობით, მისი გამომწვევი, ვნებისი პლასტიკით მოჯადოებული მოხუცი მგელი, ცდილობდა დაუმდლურებული სული და სხეული სექსუალურ

ქალბატონთან ფლირტით, მისი მოხელთებით გაეხალისებინა... მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული შალვა გაწერელიასული სპექტაკლები, მეტორული ტონით აღარ უკითხვადა მოზარდებს მორალს და აღარც უფროსებისადმი უკონტროლო მორჩილებისკენ მოუწოდებდა. ტოტალური რეჟისურის ადეპტის საუკეთესო ათი სპექტაკლი, მძაფრად უჩვენებდა ტოტალიტარული რეჟიმის სისასტიკეს, ადამიანის უმწეო მდგომარეობას, დაკვიდრებულ აგრესიასა და ცინიზმს. მისი თეატრი საზოგადოებას შთააგონებდა, რომ შეშლილი სამყაროს გარდაქმნა აუცილებელი იყო.

ა. უაკეტისა და კ. გუდრიჩის „ანა ფრანგის დღიური“ (ავტორი ა. ჰაკეტისა და კ. გუდრიჩი, მხატვარი მ. ჭავჭავაძე, ქორეოგრაფი ი. ზარუცი, მუსიკოლური გაფორმება ე. მაჭავარიანის, პრემიერა გამართა 1972 წ. 22 სექტემბერს). შ. გაწერელიას პირველი რეჟისორული წარმატება და მოზარდთა თეატრში ინტელექტუალური დრამის პრინციპებით განხორციელებული პირველი სპექტაკლია. მასში წარმოჩნდა არსებული რეალობისაგან იზოლაციისკენ მიმსწრაფი ადამიანების არსებობის ტრაგიკული ყოფა. წარმოდგენაში მ. ჭავჭავაძის სცენოგრაფია ქმნიდა მუქი რუხის სამყარო-საპრობილეს, რომელსაც ლითონის მილები შემოხვეოდა. სცენური გარემო მოგვაგონებდა წამების კამერასაც, სადაც სიცოცხლის წყურვილით გონდაკარგული ვან დაანები და ფრანგები ესწრაფვოდნენ მომავალი საცხოვრისის მოწყობას. სპექტაკლის დასაწყისში ავანსცენაზე მყოფი მსახიობები, ნერვიულად გაპყურებდნენ კარს, რომელსაც ვიღაც ფრთხილად გაიხურავდა და ისმოდა საკეტის გადატრიალების ხმა. ნათელი ხდებოდა, რომ სცენაზე მყოფი ამიერიდან თვითნებურად კარგავდნენ გარესამყაროსთან კავშირს. ირგვლივ უწესრიგოდ მიმოფანტულიყო საოჯახო ნივთები – ავეჯი, ტორშერი, ჭურჭელი, ლოგინი, ტანსაცმელი, გრამოფონი. უეცრად აყრილი და გამოქაულები, ამ უხევ გარემოში აპირებდნენ სამყაროში გმეფუბული სისასტიკისაგან თავდაცვას, სიმშვიდის ილუზიის შექმნას. წამიერი, უცნური დუმილის შემდეგ, ისინი იმზადებდნენ გახშამს, კედლებზე ჰკიდებდნენ ფერად-ფერად კაბებს, მამაკაცის საზეიმო ფრაკებს, თეთრ, ქათქათა პერანგებს და უცერად, თვალისმომჭრელი სილამაზით „იგზმებოდა“ სცენური გარემო. სევდიანი და რუხი სამყარო მხიარულ, თეატრალურ კარადას ემსგავსებოდა. ხოლო რევაზ თავართქილაბის ოტრ ფრანგი, დემონსტრაციულად მართავდა გრამოფონს და ძალადობას განრიცებული „პატარა ადამიანები“,

ძველი ებრაული გალსის პაეროვანი მელოდიით გალადებული, ცეკვითა და სიძლერით ზეიმობდნენ სიკვდილზე გამარჯვებას. წარმოდგენაში უაღრესად ემოციური და სახიერი იყო მ. ჭავჭავაძის სცენური პალიტრა. დასაწყისში ის თითქოს თანაუგრძნობდა უმწეო „პატარა ადამიანების“ სიხარულს, მოგვიანებით კი ავისმომასწავებლად იღრუბლებოდა და ხიზნებსაც და მაყურებელსაც მოსალოდნელი კატასტროფისთვის ამზადებდა. გარესამყაროსგან იზოლაციაში გამომწყვდეული მ. თევზაძის ანა ფრანგი (ეს როლი მსახიობის წარმატებული დებიუტი იყო), თანდათანობით ხვდებოდა, რომ უფროსების თვითნებობით კარგავდა თავისუფლებას. იგი ცდილობდა არ შეგუებოდა მკაცრ რეალობას, ამაღლებულიყო დამთრგუნველ ყოფაზე და ებრძოლა ბეჭინირებისთვის. ამიტომაც თუ უფროსების თავდაპირველ სიმშვიდეს ცვლიდა ისტერიკა, ბოლოს კი აპათია, მ. თევზაძის – ანას კაპრიზულ თვითნებობას, ენაცვლებოდა შინაგანი ძალა და ამბოხის წყურვილი. ხოლო დღიურის წერისას, მასში იღვიძებდა თვითგამორკვევის, აზროვნების სურვილი, მოვლენების კრიტიკული ხედვისა და აქტივობის უნარი. ამიტომაც ა.შანშიაშვილის პიტერთან პაემანჟე წასავლელად გამოწყობილი, აღმფოთებას ვერ ფარავდა სასოწარკვეთილი უფროსი დის, ნ. ბერაძის – მარგო ფრანგის უმოქმედობით.

თავდაცვის მიზნით სასტიკი გარესამყაროსა და საზოგადოებისაგან განრიდებული ადამიანები სულ მაღლე აცნობიერებდნენ, რომ მათს შინაგან სამყაროშიც ისადგურებდა ანარქია. სხვენის კედლებში ნებაყოფლობით დამწყვდეულები, შიშისა და ურთიერთაგრესის შესხვერპლი ხდებოდნენ. ისინი ელგისებური სისწრაფით კარგავდნენ მომავლის რწმენას, ცხოვრების აზრსა და იმედს. თითოეული ყოველ წუთს მზად იყო ჩხებისა და ტირილისათვის. ხოლო რ.თავართქილაძის – ოტო ფრანგის მცდელობა, მუსიკის საშუალებით გაეშნევებინა სხვენის ხიზნები, კრახს განიცდიდა.

წარმოდგენის მუსიკალური პარტიტურა განმარტავდა მოქმედებას, მოვლენასა და აზროვნების დინამიკას. ევგენი მაჭავარიანის მუსიკალური გაფორმება, თავდაპირველად მოქმედი გმირების შინაგანი განწყობის შესატყვისად ახერხებდა შიშით დათრგუნული ადამიანების გამხნევებას, თანაუგრძნობდა მათს სიხარულსა და ზეიძს. ხოლო მოგვიანებით სულ უფრო შემაძრწუნებლად გაისმოდა პაეროვანი ვალსის მელოდია. იგი აღვივებდა თავისუფლებისადმი ნოსტალგიას, სიცოცხლის დაუთრგუნავ სიყვარულს, აქტივობის წყურვილსა და

პროტესტის გრძნობას. თავადაც შეძრწუნებულ რ.თავართქილაძის – ოტო ფრანგის სულ უფრო უჭირდა მუსიკის დახმარებით ოჯახის წევრების გამშიარებულება და ამ უცნაური ხრიკით კიდევ უფრო უმძაფრებდა გარშემოყოფთ დათრგუნული თავისუფლების, გარესამყაროსაკენ გაჭრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის დაუძლეველ სურვილს. იგი ძირს ანარცხებდა ფირფიტებს და ისტერიაში მყოფი ფეხებით ამსხვრევდა მათ. ამიერიდან რ. თავართქილაძის სცენური გმირი აცნობიერებდა, რომ კომფორტული მიქრო სამყაროს ხელოვნური შენების ნებისმიერი ცდა განწირული იყო.

სპექტაკლის ფინალში, შემოცვეთილ სამოსში გახვეული ადამიანები, მარიონეტებივთ დალასლასტბლენენ. უიმედოდ იმზირებოდნენ მათი დაღლილი, ტანჯული თვალები. ხოლო კარტოფილის მცირე ულუფის დამამცირებელი გაყოფისას, ვან დაანებიცა და ფრანგებიც ხვდებოდნენ, რომ საკუთარი უმოქმედობით თავადვე გაენადურებინათ ერთმანეთი. „მგრი ისევ ის მირჩენია, რაც მოსახლენია მაღე მოხდეს!“ აცხადებდა იმედმიმქრალი ნანა ბერაძის – მარგო ფრანგი. იზოლაციაში ცხოვრება და უგეოტესი მომავლის პასიური მოლოდინი თვითგანადგურების წინააღმინდა აღმოჩნდა. შესაბამისად თავადვე გამოჰქონდათ განაჩენი საკუთარი შეგუებლური ცხოვრებისეული წესის გამო. ისინი იცმევდნენ ტუსალის რუხი ფერის ზოლიან უნიფორმას და როგორც დამსახურებულ სასჯელს, მხსნელს დამამცირებელი ყოფისა და ურთიერთგანადგურებისგან, ისე ელოდნენ სასტიკ ფინალს. თითოეული მათგანი აცნობიერებდა, რომ გარესამყაროსგან იზოლაციაში ცხოვრება, უმოქმედობა და ნებაყოფლობითი დეგრადაცია, არაფრით სჯობდა სიკვდილს. ხოლო მანანა თევზაძის ანა ფრანგის სიტყვები: „მე მაინც მჯერა, რომ ადამიანები კეთილები არიან!“ – უღერდა როგორც სისასტიკის წინააღმდეგ გაცხადებული ცნობიერი ამბოხი, საზოგადოებაში პოზიტიური საწყისის გამარჯვების რწმენა, აზროვნების გაფხნილებისა და აქტივობის ამაღლებისათვის მოწოდება.

1973წელს განხორციელებულ ვაჟა-ფშაველას „მოკვეთოლში“ (პრემიერა გაიმართა 1973 წ. 21 სექტემბერს, – მხატვარი მ.ჭავჭავაძე, კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე, ქორეოგრაფი მ. შუბაკიშვილი). დასაბამს იღვებს შ. გაწერებულიასული თავისუფალი, კრიტიკულ-შემოქმედებითი დამოკიდებულება კლასიკისადმი, რომელსაც რეჟისორი იაზრებს, როგორც უნივერსალურ მითს თანადროული რეალობის გასააზრებლად. სპექტაკლი ახალგაზრდული მაქსიმალიზმით

ემიჯებოდა ტრადიციულ ვაჟა-ფშაველასეულ დადგმებს და წარმოაჩნდა ახალი შემოქმედებითი თაობის მსოფლგანცდას. დადგმა თანამედროვე, თამამი და აგრესიული იყო. იგი შორდებოდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრისათვის დადგენილ საზღვრებს და ეხმიანებოდა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ძიებებს, სადაც ამ დროისათვის უკვე მძაფრად გაისმოდა ამბოხი ჭირანიის წინააღმდეგ. უკვე დადგმულია რ. სტურუას „სეილემის პროცესი“ (1965 წ.), „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“ (1969 წ.), მთუმანიშვილის „ანტიგონე“ (1968 წ.), თჩხეიძის „პერნარდა ალბას სახლი“ (1973 წ.), ხოლო 1974 წელს განხორციელდება რ. სტურუას „ყვარყვარე“. სპექტაკლი, რომელმაც განსაზღვრა რუსთაველის თეატრის სამომავლო ორიენტირო.

შ. გაწერელიასეული „მოკვეთილის“ მ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილ სცენოგრაფიასა და კისტუმებში ეროვნული დროშის ფერები იქნა რეალიზტული. იმ წლებში თავად ეს ფაქტიც გარკვეულ სითამამესთან იყო დაკავშირებული. თეორ-შავ ფერში გადაწყვეტილ სცენოგრაფიულ ფონზე, შინდისფერ და თეთრ ჩოხებში შეიმოსა ორ მტრულ ბანაკად გახლებილი ქართველობა. ერი გაიყო ორ დაპირისპირებულ ძალად და ხელოვნურად გახლეჩილი საზოგადოება ურთიერთ-განადგურებისთვის ემზადებოდა. სპექტაკლი მკაფიოდ აღიბეჭდა თანამედროვე ეპოქის ნიშნითა და განწყობით. რეჟისორისა და მხატვრის მიერ შექმნილმა ფშაველთა დაკრინებულმა ყოფამ, კონტრასტულმა შავ-თეთრმა, პერსონაჟებისა და გარემოს „განპოეტურებულ“ საწყისზე მიგვითითა. „დროისა და ადგილის“ კანონიკური ჩარჩო წარმოდგენაში დაიშვარა. ფშავის ხევი მთელი სამყაროს მოდელად იქცა. გაძლიერდა აქცენტი იმ „სამართლებრივი“ ურთიერთობების ასახვაზე, რამაც წარმოშვა კონფლიქტი. შ. გაწერელის მეამბოხური სულისკვეთების წარმოდგენა, ეხმანებოდა თანამედროვეობის ძირითად პრობლემებსა და 1968 წლის ინტელექტუალური ჯანყის „შთამომავალ“ პოსტ-პოსტმოდერნული ეპოქის ფილოსოფიურ აზროვნებასაც. ისინიც ყურადღების კონცენტრირებას ახდენდნენ სწორედ პიროვნებაზე და მიმართავდნენ უსამართლობისადმი ამბოხს. წარმოდგენაში მკაფიოდ იქნა ასახული ადამიანის ხვედრი თანამედროვე სამყაროში. სპექტაკლს წარმატება არ მოჰყვა. იმუამინდელ მაყურებელს ჯერ კიდევ ახსოვდა ა.ჩხარტუმვილისეული „მოკვეთილის“ გმირულ-პატრიოტული გაზრება. შ. გაწერელიასეული არატრადიციული „მოკვეთილის“

დადგმა და მისი თავისუფალი კრიტიკულ-შემოქმედებითი დამოკიდებულება კლასიკური ნაწარმოებისადმი მიუღებელი აღმოჩნდა. საზოგადოება დაეჭვებული და მოუმზადებელი შეხვდა სპექტაკლს. დღევანდელი თვალსაწიერიდან კი აღნიშნული წარმოდგენა აღიმება, როგორც რეჟისორის პირველი ორიგინალური სპექტაკლი, თანადროულ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებსა თუ თეატრალურ პროცესებზე მკაფიო პოზიციის გაცხადების სახიერი ნიმუში.

სპექტაკლის რეჟისორული კონცეფციის საფუძვლად იქცა უსამართლობისა და დაუცველობის შეგრძნებით შეშფოთებული, საცოლეწართმეული, შეურაცხყოფილი ახალგაზრდას გაბრძოლება საკუთარი ადამიანური უფლებების დასაცავად. ხოლო პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის რღვევა, კატასტროფულად დაჩქარა თემის თავაცთა ტენდენციურმა მართლმსაჯულებამ. წარმოდგენის მიხედვით, სწორედ აქ ჩაისახა პიროვნების, საზოგადოებისა და ხელისუფლების სახითათო ურთიერთობაუცხოვების საწყისი კონტურები, მოგვიანებით მომძლავრებული ნიპილიზმის სათავეები. აღსანიშნავია, რომ თემის უძველესი ადათ-წესები სხვისი ცოლის მიმტაცებელს, როგორც საერთო გაუგებრობის პირველმიზებს, უმძიმეს სასჯელს უქადა და ფშაველები ბახასთან ერთად, ჩინთას მოკვეთასაც სამართლიანად მოითხოვდნენ. ხოლო თემის უფროსები ჩინთას მხოლოდ მოკრძალებულ შენიშვნას აკმარდნენ და დასასჯელად არ ემტებოდათ. ამიტომაც ჩვეულებრივ, რიგით ადამიანთა რეაქციებში იკვეთებოდა მართლმსაჯულებისადმი მრავალგზის გაცრუებული ღია თუ ფარული კონფლიქტების ლოგიკური შედეგები. რწმენაშერყეული საზოგადოება, ზღვარგადასული უარყოფითი ეროვნების ამოსაფრენებად შემზადებულიყო და თავის აგრესიულ განწყობას გადასცემდა საკუთარ რჩეულსაც, როგორც საზოგადოების საკრებულოდან წამით გამოყოფილ ქორეგტს, როგორც უსამართლოდ დასჯილ პიროვნებას. ასეთ დროს, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ხევისბერის ობიექტურ განაჩენს. თუმცა მოვლენების განვითარების შედეგად დასტურდებოდა, რომ ისტვარა – ვახტანგ არეშიძე, სრულებითაც არ წარმოადგენდა იმ ავტორიტეტულ მედიატორს, რომელიც ესწრაფოდა სიმშვიდის დამყარებასა და დაპირისპირებასა თუ შერიგებას. დაუცველობის შეგრძნებით შეშფოთებული, რწმენაშერყეული საზოგადოება კი ემსგავსებოდა სტიქიას.

ბახას მოკვეთის ეპიზოდში, ცხვრის ტყავებით მოფენილ თეთრ, ქათქათა სცენაზე, აღმართათ ბასრ ჯოხებზე აღმართული, შეწირული

საკლავის თავები. ხევისბერის წყევლისა და ბახას მოკვეთის რიტუალს, ფშაველთა შემზარავი ზმუილი მოსდევდა. მას უერთდებოდა საქონლის ჩეხვისა და მომაკვდავთა ბლავილის „შემაშფოთებელი ხმები. თემის მოძეველებული, ადათ-წესების თვითნებურად „გადააზრების“ შედეგად უმოწყალოდ ითრგუნებოდა თავისუფლებადაკარგული ადამიანების არა მარტო ღირსებები, არამედ სიცოცხლის უფლებაცა და რწმენაც. უფლებაყრილი საზოგადოება ვეღარ ახერხებდა ჩაეხშო სულის სიღრმიდან მომსკდარი შინაგანი ტკივილი. ხალხი ღელავდა და ბოძოქრობდა. აგონიაში მყოფი საქონლის ბლავილი, უქმაყოფილო საზოგადოების გმინვა და ირგვლივ უხვად წამომართული მსხვერპლშეწირული ცხვრის თავები, სცენაზე ქმნიდა უზარმაზარი ცხვრის ფარის ილუზიას. ისინი უსიტყვოდ, მაგრამ შექარავი ღმუილით გამოხატავდნენ შინაგან ამბოხსა და თავისუფლების წყურვილს. მრევლი უჯანყდებოდა იანვარას ტენდენციურ განაჩენს. ორ ნაწილად გახლებილი საზოგადოება, იცავდა და თანაუგრძნობდა თავის რჩეულს. ჯაგარა – ბ.ჯაფარიძე გონიერების, მიმტევებლობისაკენ მოუწოდებდა ხევისბერს: „კაცნი იმად დაუყენებისართ თავის მსახურად ღმერთსა და ხატებსა, რომ შეგვარიგოთ, გვიშუაკაცოთ, განა თქვენ უფრო უნდა გზაზეით გადაგვყაროთ?..“ – აცხადებდა იგი და საჯაროდ კიცხავდა სასჯელის სისასტიკესა და უგუნურებას. საცოლეწართმეული, შეურაცხყოფილი და თემისაგან მოკვეთილი ოთარ სეთურიძის – ბახა, მწარედ დაფიქრებული და უმწეოდ თავდახრილი იდგა. მოულოდნელად კი გარკვევით ისმოდა ო. ბაღათურიას ჩინთას ზითხითი „მოდი ნუ მოვიკვეთო და სხვა რამ სასჯელი დავდათ, იქნება ეხლა ენანქბოდეს კიდევ თავისი ჩანადინარი საქმე“. მის სიტყვებს ფშაველების ქოროში აღმფოთებული გაოცება და თავშეკავებული, მაგრამ აგრესიული გუგუნი მოსდევდა. ხალხი მრისხანედ იშმუშნებოდა და მდუმარედ, მაგრამ მბაფრად რეაგირებდა არცოუ უდანაშაულო ჩინთას უტიფარ „ხუმრობაზე“. ოთარ სეთურიძის ბახას სახეზე არადამიანური გაშმაგება ეხატებოდა. „მევე შემარცხვინებ და მევე დამცინი?“ – აღმოხდებოდა მას, ელვისებური ნახტომით მიეჭრებოდა მეტოქეს და ხანჯლის ერთი დარტყმით კლავდა. პარალელურად თავად ფშაველთა გაყოფილი ჯავუციც გამოუბოდა ერთმანეთს. ეს სცენა წამიერად და ელვისებური ისიწრავით თამაშდებოდა. ჩინთას მკვლელობის ეპიზოდსა და მის შედეგს რეჟისორი მოიაზრებდა, როგორც ტენდენციური მართლმასჯულების წიაღიძან ამოზრდილ ბოროტებას. აქ დანაშაულის

თანამონაწილე იყო ყველა. თუმცა განვითარებული, საყოველთაო ქლეტის პირველმიზეზად სწორედ თემის თავკაცთა უგუნური, უსამართლო პოლიტიკა გვევლინებოდა.

ანალოგიური აპოკალიფისური ქლეტის სცენა მიმდინარეობდა ქისტებზე ფშაველების თავდასხმისასაც, სადაც ყველა მეომარი, ქისტიცა და ფშაველიც, ზურგიდან იყო მოკლული. კვლავ თამაშდებოდა სწრაფი და უხმაურო ურთიერთელეტის პროცესი. მასში მკაფიოდ იკითხებოდა საზოგადოების არაჯანსაღი ფსიქიკური მდგომარეობა, ყოვლისდამაშხობელი აგრესია და ურთიერთსიმულვილი. სწორედ ღალატი და შურისძიების წყურვილი წარმართავდა საზოგადოების ქმედებას. ხოლო სპექტაკლის ფინალში, შემაშფოთებლად ქათქათა სცენოგრაფიის ფონზე, უხვად მიმოფანტულიყო თეორ-მინდისფერ ჩოხიანი ახალგაზრდა მეომრების უსიცოცხლო სხეულები. ასეთი გახლდათ პიროვნებისა და საზოგადოების ტოტალური ურთიერთგაუცხოების ლოგიკური შედეგი. სასტიკი, აგრესიით გაქდებოდილი, უსამართლო სამყარო კარგავდა თაობის რჩეულ ნაწილს. თვითნებურად მართულ უსამართლო სამყაროში, სიკვდილის სუსტი და შემაძრწუნებელი სიმშვიდე ისადგურებდა. ფასეულობებანაძარცული საზოგადოების აღსასრული გარდევალი და ლოგიკური ჩანდა. შალვა გაწერელის „მოკვეთილი“, საზოგადოების სტიქიად გარდაქმნის სათავედ, გამუშებულ უსამართლობას, ადამიანის ღირსებების ხელყოფას მიიჩნევდა. მოზარდთა თეატრის სპექტაკლში თანამედროვე სამყაროს მართვის მექანიზმები მოშლილი, ხალხი კი დაუცველი იყო.

ქართული „ახალი დრამის“ ფუქმდებლის, ცრემლისა და სიცილის, რეალობისა და ფანტაზიის ზღვარზე მოძრავი პოეტური გმირებისა და განპოეტურებული სამყაროს ორიგინალური შემომქმედის, დ. კლდიაშვილისეულმა ხედვამ, მძლავრი გავლენა მოახდინა შ. გაწერელიას თეატრალური ესთეტიკის ფორმირებაზე. სწორედ დ. კლდიაშვილისეული დრამატურგიის პოეტიკაში ექცევა რეჟისორი ქართულ ხასიათს და კოლორიტს, საკუთარი თეატრის შექმნის ერთ-ერთ ფუნდამენტს. ამ მხრივ შ. გაწერელიას კონცეფციური აზროვნება ენათესავება სანდრო ახმეტელისეული მოღვაწეობის მიწურულისათვის დამახასიათებელ შემოქმედებით გატაცებას. როგორც ცნობილია, დიდი ქართველი რეჟისორიც სწორედ დ. კლდიაშვილისეულ ტრაგიკომიკურ პერსონაჟებში, მათს გაორებულ ცხოვრების წესში ხედავდა ერის უმთავრეს სახეს, მისი მრავალაზროვანი და

ამბივალენტური ბუნების საფუძვლებს. დ. კლდიაშვილის დრამატურგიასვე უკავშირდება ქართული თეატრალური ხელოვნების განახლების, ეპიური თეატრის ესთეტიკასთან მისი ადაპტაციის ორიგინალური პროცესი. ამ მხრივ პირველი წარმატებული მცდელობა, 1964 წელს, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე მ. თუმანიშვილის „დარისპანის გასაჭირში“ განხორციელდა. 1974 წელს მოზარდთა სცენაზე შ. გაწერელია ქმნის დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვებას“. ნოდარ გურაბანიძის თქმით ეს წარმოდგენა „შალვა გაწერელის შემოქმედების გვირგვინი“ იყო. ხოლო 1982 წელს რუსისორმა ასეთივე დიდი დიდი დარმატებით შექმნა დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“.

„ქამუშაძის გაჭირვება“ (პრემიერა გამართა 1974 წლის 20 აპრილს, სცენოგრაფია – მ. ჭავჭავაძისა და უ. იმერლიშვილის, მუსიკალური გაფორმება – დ. გურგენიძის), განხორციელდა როგორც ფილოსოფიური დრამა. წარმოდგენაში შეიქმნა თავისუფლებადაკარგული ერის ტრაგიკული სურათი. სპექტაკლს იწყებდნენ და ამთავრებდნენ შ. გაწერელის მიერ შეთხზული სოფლის სახესიმბოლოდ ქცეული, მათხოვარ-სამუშალთა ფერწერული ფიგურები: მამა, ძე და შვილიშვილი გოგონა. ეს „სამეული“ ქართველი ერის სამიერეთობის წარსული, აწყო და მომავალი იყო. ისინი უშედეგოდ იღწვოდნენ ლუქმა-პურის მოსაპოვებლად და შემაშფოთებლად გაისმოდა ათიოდე წლის გოგონას მიერ სულის სიღრმიდან კვნესასავით მომსკდარი სიმღერა: „ჩემო კარგო ქვეყნავ, რაზედ მოგიწყენა?..“ მოტივი ჟღერდა ერთდროულად როგორც დატირება, გამწნეულება და სარჩოს მოპოვების უიშედო წყარო. თუმცა მათ ვერაფრით ეხმარებოდა თავადაც მშიერი სოფელი და მორიდებული დაპირებით ისტუმრებდნენ „სხომის იყოსო“. წარმოდგენაში დატაკი და სასოწარკვეთილი იყო ყველა. „სამეულიც“ თანაგრძობით ეკიდებოდა თანამემამულეთა გასაჭირს და თავჩაღუნულები განაგრძობდნენ უიშედო სვლას.

მ. ჭავჭავაძისუელი სცენოგრაფიის ჟნგისფრად შეღბილ ცარიელ სცენაზე, უმწეო ადამიანები გაუცნობიერებლად გაურბოდნენ მარტობას. ისინი თამაშობდნენ ნარდს, ჭაღრაქს, უკრავდნენ გრამოფონს, მღეროდნენ და ცაკვავდნენ. ასე ებრძოდნენ უაზრო და უმიზნო ყოფას, სადაც ტრადიციული სასიცოცხლო რიტუალებისგან დაშლილი, კარიყატურული ჩონჩხილა შემორჩენდათ. აქ ქორწილი, ძეობა და სატირალი თითქმის იდენტური იერითა და შინაარსით

აღბეჭდილიყო. ხოლო საზოგადოების მოჩვენებითი სილადისა და სიამაყის ნიღბიდან, სასოწარმკვეთი უიმედობა იმზირებოდა. მრავალაზროვან სასცენო მეტაფორად თამაშებოდა სცენის სიგანეზე ჩამწკრივებული, მაყურებლისაკენ ზურშექცევით მსხდარი ყანწერმართული ქართველი აზნაურების დარბაზისაკენ მიპყრობილი მრავალმნიშვნელოვანი და ტანჯული სახე-ნიღბები. მათს შეშინებულ თვალებში, მთელ პლასტიკურ ნახატში იკითხებოდა თავზარდამცემი შინაგანი ტკივილი და საყვედური. ისინი უხმოდ კიცხავდნენ საზოგადოებას, რომელსაც აქტივობას შესთხოვდნენ. სცენაზე მყოფ ამ ყანწერმართულ ქართველებს არც მაგიდა ჰქონდათ და აღარც სანოვაგე. ხოლო თავმოყრის რიტუალისას ერთდროულად იზიდავდათ და განიზიდავდათ, უყვარდათ და სტულდათ ერთმანეთი. ამზომაც შემთვრალნი უეცრად სკამებს დავლებდა ხოლმე ხელს და ისეთი გამეტებით დაეძეგებოდა ერთმანეთს, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათი გაშველება. ასეთი ურთიერთობები მათი ცხოვრების წესის ორგანული ნაწილი იყო. ხოლო გვერდებდაუეუსილი ტარიელ გორგაძის სცენური გმირი, დიდხანს ვერ ახერხებდა სკამების უზარმაზარი გროვის სიღრმიდან თავდახსნას. თუმცა, დიდი ჯაფით „განთავისუფლებული“, მშვიდად ჩამოიბერტყავდა ჩოხის კალთას და თავდადრეკილი, კოჭლობით მოუყვებოდა შინისაკენ მიმავალ გზას. თანასოფლელები აცნობიერებდნენ, რომ ეს აგრესიული ექსცესები მათი ალოგიკური ყოფის სამარცხვინო, მაგრამ ლოგიკური შედეგი იყო. დამნაშავე იყო და თითქოს არც იყო ეს გაბოროტებული, მაგრამ მაინც თვინიერი საზოგადოება, სადაც მხოლოდ თაღლითი მდიდრდებოდა ხალხის უმცრებითა და დაუცველობით გალადებული. ქართველთა ტრაგიკულ ყოფას ნათელს ჰყენდა სოფლის უკანასკნელ იმედად შერაცხული ლოყებლაუდა მერაბ ბოცვაძის პორფირი ბიაშვილი. იგი დაუფარავი ცინიზმით ხითხითებდა პროფესიონალ ადვოკატებზე, უტიფრად იწონებდა თავს საჯუთარი გაუნათლებლობით და მოხერხებულად ძარცვავდა სოფელს. ეს ავანტიურისტი „ადუკანტი“, გოული მახათაძის – სინის გათხოვებითაც სარფიანად იშორებდა უკვე მობეზრებულ ქალს. საკუთარი უმწეო მდგომარეობით გონდაკარგული თანასოფლელები განსაკუთრებული სიმბაზრით რეაგირებდნენ მათსავე ირგვლივ წარმოჩნილ განსხვავებულ ინდივიდზე. ქათქათა ქოლგებმომარჯვებული ეშხიანი ქალბატონები ფხიზლად უთვალოვალებდნენ სოფლის დუხჭირ ყოფაში მოულოდნელად ჩასახლებულ ქამუშაძეთა ქალაქელ რძალს. სინიას

ირგვლივ, გამომწვევი სიამაყით, მრავალმნიშვნელოვანი მზერითა და სხეულის კეკლუცი რჩევით იწყებდნენ მოძრაობას სოფლის ჭორიკანა ქალების გუნდი. ეს საზოგადოება განამშელდა ქალაქება და სოფელს შორის არსებულ მარადიულ ომსაც და მიანიშნებდა ზეობის მცველთა სიფხიზლისა თუ გარკვეული მუქარის თაობაზეც. ჭორიკანა ქალთა ჯგუფი, ხან ერთი კულისიდან გამოჩნდებოდა და გამოანათებდა ქოლგის სიღრმეში შეფარებულ მახვილ მზერას, ხან უეცრად მიიმაღლებოდა და სრულიად მოულოდნელად, მეორე კულისიდან მიერჩნდებოდა მიზანში ამოღებულს. ვასილ კიქაშე წერს: „რეჟისორი ქოლგებით მოფარფატე ადამიანებისგან ქმნის საინტერესო სოციალურ ფონს. ზოგჯერ თავისებურ ქოროდ იქცევა სოფელი, რომელიც ხან თანამგრძნობა გმირთა ტკიფოლის, ხან მოხითხით ჭირიკანა. სოფლის ჭორი და პროვინციული კოკეტობა, აბლაბუდასავით ახვევია ოტიას, ეკვირინებს, სონიას. სცენაზე მოხეტიალე ქორო ხშირად დუმს, მაგრამ სათქმელი ნათელია“<sup>1</sup>. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა მას აქტიურად გამოეხმაურა არა მარტო ქართველი თეატრმცოდნების რჩეული ნაწილი, არამედ სახელოვანი რუსი კოლეგებიც. „სპექტაკლი ხატოვანიც არის და მიწიერიც. პლასტიკა გვაგონებს ფერწერულ კომპოზიციას. ფიგურები, ჭორიკანათა ქორო, წარსულის ამსახველი ეპიზოდები თითქმის ცარიელ სცენაზე თამაშდება, სინათლის სხვადასხვა ეფექტებს გამოყენებით. სპექტაკლი გვარწმუნებს, რომ შალვა გაწერელიას უნარი შესწევს ყველაფრისაგან შექმნას თეატრი“<sup>2</sup>. – წერდა ტატიანა შახ-აზიზოვა.

წარმოდგენის თითოეული გმირი ორსახოვანი იყო. სცენაზე დააბიჯებდნენ ხელოვნურად წელგამართული, ულვაშაწკებილი და ელეგანტური მამაკაცები. მსახიობებს ეცვათ ხმალაყრილი ჩოხები და რეჟისორი ნახევრად მშეირი შემოღვიმის აზნაურების მკვეთრად ცეკვადი ეროვნული პლასტიკით მკაფიოდ წარმოაჩენდა მათს უუფლებლობასაც, უმწეობასაც და დაუთრგუნავ შინაგან ღირსებებსაც. „თითოეული სცენა თითქოს ფერწერული ტილოა, იმდენად გამოშესხველია უმცირესი დეტალიც კი, იმდენად ძლიდარია მსახიობთა პლასტიკა“ – წერდა ლ. ლუკანოვი.<sup>3</sup> სცენურ გმირთა განუყოფელი თანამგზავრი გამზდარიყო ნიღაბი, ქართული არისტოკრატული სიამაყისა და არტისტიზმის სიბოლო. ლ. ჯაყელის ეკვირინეს გაუსაძლისი რეალობიდან გაქცევის ერთადერთ საშუალებად სახელოვანი წინაპრების მოგონებებიდან შემორჩნოდა. სიღატაკისაგნ დათრგუნულ ამაყ ქალს, დვარად სდიოდა ცრუმლი როდესაც რძალს

უჩვენებდა მოსავლის ცარიელ სათავსოებს. იგი ოჯახის ახალი წევრისა და საკუთარი თავის გასამხნევებლად იძულებული ხდებოდა ეცრუა, თითქოს შემოდგომობით მუდამ უხვად ჰქონდათ მოსავლის მარაგი. აღსანიშნავია, რომ მსახიობმა იმდენად მკაფიოდ წარმოაჩინა ეკვირინეს სიღატაკისაგნ გაუხსნარი ღირსებები, რომ დალის ასაკრეფად მისულმა მკაცრმა ბოქაულმა, მის წინაშე მუხლებზე დავარდნილი, სასოწარგვეთისაგნ აცრემლებული ქალი ფეხზე წამოაგნენა და თავადაც ცრემლმორეული, დარცხვენილი გაცალა თავგანწირულ ქართველ დედას. მშობლიური ოჯახიდან ლამის გაძევებული და გაკოტრებული სოფლის აგრესიულ ყოფაში დატყვევებული სონია, შემფოთებული აკვირდებოდა გაბოროტებული ადამიანების გაუსაძლის ხელრის. სიცოცხლის წყურვილი აიძულებდა მას განრიდებოდა გარემოს, სადაც ადამიანი სასიკვდილოდ განწირულიყო. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენაში თავად გია მნელამის ოტიასაც გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი უმწეო მდგომარეობის სათავე. თავგანწირულად მშრომლი კაცისათვის ნათელი ხდებოდა, რომ მის ირგვლივ ყველა ღირსება დამხობილიყო.

გაღატაკებული საზოგადოება, ცრურწმენით, ჭორითა და მტრობით ცდილობდა უარყოფითი ემოციებისაგან განმუხტვას. ისინი უშედეგოდ, მაგრამ დაუინგბით ეტებდნენ მათ ირგვლივ ჩასახლებულ უხილავ „მტრის ხატს“. შიმშილისა და სიცივისაგნ წელში მოხრილი, ყბახევეული ვ. მექაბიძვილის – სერაპიონი, მუშტმოდერებული ემუქრებოდა მისი ოჯახის მარჩენალი შავი ნაგაზის შესაძლო მტრეს: „მამაჩემი, აზნაური ქაიხოსრო გორდელაძე რომ გაცოცხლდეს და რამე აწყენოს ჩემს კუსიას, იმას ჩავაბრუნებ საფლავში!“- გაჰყვირდა იგი. სცენაზე იქმნებოდა საკუთარ მწუხარებაში ჩაძირული, დათრგუნული საზოგადოების სახე. ისინი ერთდროულად თითქოს ამაყი დიდგვაროვანნიც იყვნენ და სულმდაბალი მდაბიონიც, აგრესიულიც და გულჩვილიც. მომაკვდავი ლევან ქამუშამის სარეცელთან დარცხვენით მდგარი ცრემლმორეული თანასოფლელები გულწრფელად ინანიებდნენ უნიბლიერ ჩადენილ ცოდვებს, რაც ზნეობრივი გაფხიზლების, გაჯანსაღების იმედს აღძრავდა. ხოლო სპექტაკლის ფინალში, ო. ბაღათურიას ლევან ქამუშამის მიმართა „სირცხვილია ხალხი ასე ცხოვრებაო!“ უღრდა როგორც კრიტიკული აზროვნებისა და აქტივობისთვის მოწოდება. სპექტაკლის თაობაზე ცნობილი რუსი კრიტიკოსი ვადიდ ივანოვი წერდა „შალვა გაწერელია ეროვნული პრობლემებისა და ტკივილების სიღრმისეული

გაცნობიერებით ქმნის თავის შემოქმედებას . . . მისი სპექტაკლებიდან იგრძნობა თუ რა გზა განვლო ქართულმა თეატრმა და მისმა ერმა საუკუნეების მანძილზე“.<sup>4</sup>

1977 წელს ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრის სცენაზე შალვა გაწერელია დგამს ბერტოლდ ბრეხტისა და ლიონ ფონხტვანგერის „სიმონა მაშარის სიზმრებს“. ეს იყო ქართულ თეატრში ბრეხტისეული სპექტაკლების განხორციელების ერთ-ერთი წარმატებული ნიმუში, ხოლო თავად პიესის სცენური ისტორიის პირველი ორიგინალური შედეგი. (პრემიერა გაიმართა 1977 წლის 29 დეკემბერს, მხატვარი — მ. ჭავჭავაძე, კომპოზიტორი — თ. ბაკურაძე, თარგმანი კარლო ჯორჯანელის). ბ. ბრეხტისეული ეპიკური თეატრის ესთეტიკის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით აქ შ. გაწერელიასათვის პიესა წარმოადგენდა სცენას, რომლის საფუძველაზეც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესატყვისად ვითარდებოდა დრამატურგისეული კანონიკური ტექსტი და სცენაზე იქმნებოდა მძაფრი პოლიტიკური წარმოადგენა. მ. ჭავჭავაძის მიერ შექმნილი სცენოგრაფიული ფონი, წარმოგვიდგენდა მობალაზე ცხვრის ფარას და სპექტაკლის დასაწყისიდანვე მიანიშნებდა მაყურებელს, რომ ამ სამყაროში მცხოვრები შიშმორეული საზოგადოება საყოველთაო აპათიას მოეცვა. სცენის სიღრმიდან მოისმოდა თვითმფრინავების გამაყრუებელი გუგუნი. უმოქმედო ერი გმირს ელოდა და კვარცხლებებზე აბჯარასხმული ანგელოზის ქანდაკება აღემართათ. შშიერი ხალხი ცარიელ ქვაბებზე კოვზების ნერვიული ბრახუნით გაუსაძლის ხვედრს აპროტესტებდა და ყურადღების მიკყრობას უშედეგოდ ლამობდა. უსახური ყოფით მოწყენილმა სასტუმროს მეპატრონე გია მნელაძის ანრი სუპომ, მრეცხავ გოგონას ორლეანელ ქალწულზე დაწერილი წიგნი აზუქა და გაუცნობიერებლად გამოხატა დეგრადირებულ საზოგადოებაში განსხვავებული ინდივიდის დაბალების შინაგანი მოთხოვნილება. აქტიური ადამიანის წვრთნა ცინიკურმა, ყოფითმა ადამიანმა იტვირთა. იგი დროდადრო ეროვნული ინტერესებისათვის თავდადებულ ადამიანებზე მოუთხრობდა შსახურს და ყალბი პათეტიკით მღეროდა „მარსელიოზას“. პასიური და მლიქნებული საზოგადოება დაკნინებულ გმირს შობდა. ერის სახელოვანი ადამიანების პატრიოტული სულისკვეთებით აღელვებული გ. მახათაძის — სიმონა ხალხს საბრძოლველად უხმობდა, თავად კი შეშინებული იმაღლებოდა. მომხმარებლური საზოგადოებისთვის ქვენის თავისუფლებისთვის თავგანწირვა უსარგებლო გარჯად

აღიქმებოდა. მათთვის გაცილებით არსებითი თვითგადარჩენისათვის ზრუნვა იყო და ბ. ხაფუასეული ცინიკური ქალბატონი სუპოს მიერ იძულებით გაცემულ სურსათ-სანოვაგეს დახარბებული ქეხვებჩაბლუჯული ხალხი, ეროვნულ ჰიმნს სწორედ მას უმღერდა. სიღატაკისაგან დათრგუნული, აზროვნებისა და წინააღმდეგობის უნარგამარცული, დაშლილი საზოგადოება თავადევე ქწიდა წინაპირობას თავისუფლების ხელყოფისათვის. ხოლო ოკუპირებულნი უსწრაფესად კარგავდნენ საკუთარ სახეს და ემსაგასხმოდნენ დამპყრობს. ქვეყნაში სასწრაფოდ ხსნიდნენ ეროვნულ დროშებს. მამაკაცები იცილებდნენ ულვაშე-ზენების სიმბოლოს, მარსელიოზას მოტივი კი სულ მაღლე გერმანელ ჯარისკაცთა უულგარული სიმღერის მელოდიაში ერეოდათ და სპექტაკლის მიწურულს ვეღარც იხსენებდნენ. გ. მახათაძის — სიმონა მაშარის აზნაურობას უბოძებდნენ და შემგუებლობისკენ უბიძებდნენ, მაგრამ ღალატისა და ქვეყნის ფერიცვალების მასშტაბით შეშფოთებულ მსახურში იწყებოდა „გამოღვიძების“ პროცესი. ორლეანელი ქალწულის მეამბოხური სულისკვეთებით შეცყრიბილს აღარ შეეძლო ყოფილიყო პასიური. შესაბამისად, კონფორმისტული ხელისუფლებისთვის ყოფილი მრეცხავი უკე სახითათო სოციალურ ტიპს წარმოადგენდა. ამიტომაც სასურველი „სიმშვიდის“, საყოველთაო მორჩილების დასამკიდრებლად აუცილებელი სდებოდა მისგან თავდახსნა.

შალვა გაწერელის „სიმონა მაშარის სიზმრები“ ასახავდა უბრალო მრეცხავი გოგონას „გაფხიზლებას“. მასში აზროვნებისა და აქტივობის აღმოცენების პროცესს. გ. მახათაძის სიმონა მაშარი, სწორედ ქვეყნისა და ერის კრიტიკული მდგომარეობის გაცნობიერების შედეგად ყალიბდებოდა უსამართლობის წინააღმდეგ ამბოხებულ ინდივიდად. იმუამად, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლი „ეპიკური“ თეატრალური ესთეტიკის შესატყვისად და თანადორული ისტორიული ვითარების სიღრმისეული გააზრების შედეგად ასახავდა მოვლენის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ცვლიდა პიესისულ ფინანსებისაც. სცენაზე იქმნებოდა თანამედროვე დეპეროიზებული ეპოქის ე.წ. გმირის ტრაგედია, რომლის გაბრძოლებაც სახოვალების აქტივობის ამაღლებისთვის განწირული იყო. მშიერი, ღატაკი, ცნობიერებადაშლილი და ეროვნული ინტერესებისაგან გაუცხოებული საზოგადოება არ იყო მზად დალადობისგან დაცვა საკუთარი ჯერ კიდევ უმწიფარი, ახლადგაფხიზლებული პიროვნება,

მასთან ერთად გრძოლა თავისუფლებისთვის. ამიტომაც, გმირის კვარცხლბეჭების უზნეო და თაღლითი არსება ისაკუთრებდა.

თუ პირსაში სიმონა მაშარს სულით ავადმყოფთა თავშესაფარში ამწყვდევნ, წარმოდგენის ფინალური ეპიზოდის შეცვლილი მონაკვეთი განსაკუთრებული სიმბაფრით წარმოაჩენდა რეჟისორულ კონცეფციას. აღნიშნული სცენა შენელებული რიტმით მიმდინარეობდა. სარდავებში ჩასაფრებული, აირწინაღებით შეიარაღებული დამსჯელი ჯარი, ელვისებურად ეკეთებოდა სიმონა მაშარს. შეშინებული, მლიქვნელი ბრძო ოვაციით ეგებებოდა ემისრებს და თავადვე ასრულებდა გმირის დასჯის რიტუალს. ჯოგად ქცეული ადამიანების ჯგუფი ირგვლივ მიმოფანტულ ნივთებს ავროვებდა და ანთებდა კოცონს. თითოეული მოძრაობდა მაყურებლისკენ ზურგშექცევით, რაღაც აცნობიერებდა საკუთარ დანაშაულს, მაგრამ მოქმედებდა თვითგადარჩენის ინსტინქტით. ისინი ცდილობდნენ ეროვნული მეხსიერებიდან წაეშალათ საკუთარი „სახე“, სარგებლის მოლოდინში კი აქტიურად ჩართულიყვნენ განაჩენის აღსრულების, გმირის დაწვის საერთო ფერხულში. მოზარდთა სცენაზე დანთებულ კოცონზე, სასოჭარკვეთილი იწვოდა საკუთარი გადაგვარებული თანამემამულების მსხვერპლი გიული მახათაძის სიმონა მაშარი. ხელისუფლების მსახურთა ხელშეწყობით კი გმირის კვარცხლბეჭებს შ. გაწურელიას მიერვე შეთხზული ახალი პერსონაჟი, ტერეზა — ლ. ლაზიშვილი ეპატრონებოდა. გია ძნელაძის ანრი სუპო ტერეზას პატრიოტულ დამსახურებებზე პათეტიკურ სიტყვას წარმოთქვამდა, სიმონა მაშარს გიუად აცხადებდა და დამკვიდრებული „წესრიგით“ კმაყოფილი, გაოფლილ სახეს ეროვნული დროშის ნაფხრეწით იმშრალებდა. ამიერიდან, უზნეო სამყაროში აღმართულ კვარცხლბეჭე შეშლილის მოსათვინიერებელ პერანგში გახვეული საეჭვო არსება იდგა. ასეთივე სამოსი ეცვა მოსახლეობასაც, რომელიც თავადვე ირჩევდა და ეგუებოდა საკუთარ ხვედრს. მლიქვნელი საზოგადოება ზეიმობდა თვითმარქვია გმირის დაბადებას. ტერეზა — ლ. ლაზიშვილი, სიმბოლურად გმირხატავდა ღირსებააყრილი ერის სახეს.

რეჟისორული კონცეფციისა და ბრეხტისული ეპიური თეატრის ესთეტიკის გათვალისწინებით, თანამედროვე სამყაროში გმირის დასჯისა და ანტიგმირის გმირად ჩანაცვლების ე. წ. რიტუალი თამაშდება ყველგან, საღაც ხალხი დაუშს. მხოლოდ მოაზროვნე და მებრძოლ საზოგადოებას შესწევს უნარი თავი დააღწიოს მონობას. ამგარი ლოგიკით ვითარდებოდა სპექტაკლის რეჟისორული

პარტიტურა. წარმოდგენაში ერთმანეთს ერწყმოდა ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმე და გროტესკული გამომსახველობითი ზერხები. სახიერად და მწვავედ იკითხებოდა რეჟისორის ირონიაც. შ.გაწურელიასული კონცეფციით, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მცხოვრები შიშმორული, მღვმარე, აზროვნებისა და წინააღმდეგობის უნარგანძარცვული საზოგადოება ეროვნული ინტერესებისათვის თავგანწირული გმირის მესაფლავება. ცარიელ კვარცხლბეჭებს კი პერმანენტულად ისაკუთრებენ საზოგადოების უმოქმედობით გალალებული ავანტიურისტები. წარმოდგენის თაობაზე მოსკოველი თეატრმცოდნები წერდნენ: „სიმონა მაშარის სიზმრები“, ფსიქოლოგიური სიღრმით გამორჩეული, მმაფრი სპექტაკლია. რეჟისორი ფურადღებით იკვლევს ბოროტების იმ ჯადოსნურ წრეს, სადაც ჩათრულია ყველა... განსაკუთრებული პათეტიკით მჭევრმეტყველებენ ლაჩრები, დემაგოგები და მოღალატეები“<sup>5</sup>. „სპექტაკლიდან იგრძნობა ღრმა შინაგანი ირონია. გმირის კვარცხლბეჭე აღის მეძავი ქალი, იმ ერის სიმბოლო, რომელიც თავადვე ყიდის საკუთარ თავს“<sup>6</sup>. „შალვა გაწურელიას მიაჩნია, რომ მოზარდებიც უფროსებთან ერთად თანამონაწილენი არიან ცხოვრებისული ბრძოლების და პრობლემებსაც თანაბრად იყოფნ. ბავშვობის ხანა სამყაროში დასრულდა“<sup>7</sup>.

ქართული სახელმწიფოუნივერსიტეტის დაკარგვის 60-წლისთავის საიუბილეო 1980 წლის თარიღთან დაკავშირებით განხორციელებული ბ. ლავრენევის „რღვევის“ არატრადიციულ დადგმაში (მხარვარი მ.ჭავჭავაძე, ქორეგორავი ი. ზარეკა, კომპოზიტორი დტურაბეგილი). პრემიერა გაიმართა 1980 წლის 19 სექტემბერს), რეჟისორი აანალიზებდა გმირისა და ანტიგმირის პრობლემურ სახეებს. ამ ისტორიულ ეტაპზე ქართული თეატრი ქმნის რამდენიმე მნიშვნელოვან სპექტაკლს. უკვე განხორციელებულია რ. სტურუას „რიჩარდ III“ (1979 წ.), 1981 წელს დაიდგა თ. ჩხეიძის „პატი აბბა“, მ. კუჭუნიძის „პროვინციული ამბავი“ და „შეყვარებულთა თვითმეტყველობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, 1982 წელს თ. ჩხეიძემ წარმოადგინა „ასი წლის წინათ“, 1984 წელს კი „ჯაყოს ხიზნები“. ქართული თეატრის მოღვაწენი ესწრაფიან გაიაზრონ საქართველოს აწყო და ტრაგიკული ახლო წარსული. ორი ღროვის ტანდემში კი გააცნობიერონ და მონიშნონ მომავლის შესაძლო კონტური. ამ მხრივ, შალვა გაწურელიას „რღვევაში“, XX-საუკუნის 80-იანი წლების თვალსაწირიდან შეფასდა საუკუნის დასაწყისში განვითარებული აპოკალიფსური მოვლენები. ბ. ლავრენევის „რღვევაში“ თავისი სითამამით, სიმბაფრით, სახიერებით,

რეჟიმის განმიცხავი პათოსითა და გარკვეული აგრესით რეჟისორს გრანდიოზული, ხმაურიანი წარმატება და დიდი ტეივილიც მოუტანა. სპექტაკლის განსჯისას მას ხშირად ჰყიცხავდნენ „კომუნისტური მონაპოვრის“ რევიზისა და მისი დემონტაჟის მცდელობის ბრალდებით.

მ. ჭავჭავაძის სცენოგრაფია, ღია მინიშნებებით ქმნიდა სპექტაკლის რეჟისორული კონცეფციის შესატყვის „სურათს“. რუხი კედლები შავი არშით შემოვლებული დიდგვაროვანი წინაპერების პორტრეტებით იყო მოფენილი. სცენაზე იჭრებოდა სისხლის მღვრელი ბრძოლების, კვნესის, მსხვრევისა და ნგრევის სხები. მოქმედების მსვლელობისას ყოველ გასროლას თანმიმდევრულად ახლდა კედლიდან თითო წინაპრის ფორმულურათის დამხობა, რომლის ადგილზეც შავი ღრმულები რჩებოდა. წინასაპრემიერო ჩვენებისას, სპექტაკლის ფინალში სწორედ ამ ორმოებიდან მოძვრებოდნენ სცენაზე კონკებში გახვეული, არყის ბოთლებჩაბლუჯული „ბოსიაკები“. ისინი უტიფრად მიიკვლევდნენ გზას ავანსცენისკენ. წარმოდგენის „ჩაბარებისას“, აღნიშნული სცენა მოხსნეს. ეს „ბოსიაკები“, შალვა გაწერელიას მიერ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებული ადრეული სპექტაკლის ე.წ. „მემკვიდრეები“ იყვნენ. იმჟამად, 1958 წელს, ვ. აქსიონოვის „კოლეგებში“, რეჟისორს ავანსცენაზე ბარბაცით გამოჰყავდა კომკავშირელი ახალგაზრდები. ცალ ხელში მათ არყის ბოთლები ჩაებლუჯათ, მეორეთი კი ტრანსპარანტს მოათრებდნენ წარწერით „წინ კომუნიზმისკენ“. წინასაპრემიერო ჩვენებაზე იმჟამადაც „მოხსნეს“ ეს ეპიზოდი.

ბ. ლავრენევის „რდვევა“ სანდრო ახმეტელის ერთ-ერთი წარმატებული სპექტაკლიც იყო. 1928 წელს განხორციელებული დადგმით, ეროვნული თეატრის შექმნისათვის მებრძოლი დიდი ქართველი რეჟისორი, ადეკატურად ასახავდა ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული სისხლიანი რეჟილუციური რეჟიმის პათოსს, მის ეიფორიულ მდგომარეობასა და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ფსევდოფასეულობების რომანტიკას. ამ მხრივ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში განხორციელებულ „რდვევაში“, შალვა გაწერელია ოპონირებდა ადრეულ დადგმებსაცა და თანადროული 80-იანი წლების ქართულ თეატრში უკვე წარმატებით დამკვიდრებული ეპიური თეატრის „ბრეხტიანულ“ პრინციპებს.

სპექტაკლს იწყებდა და წარმართავდა რეჟისორის მიერ შეთხზული პერსონაჟი, ვ. მექვაძიშვილის მეფარნე. იგი პიტერის ლამპიონებს ანთებდა ქუჩებში და ფუნქციაც სიმბოლური ჰქონდა. მას უნდა

გაეშუქებინა უახლოესი წარსულის სისასტიკით სახელგანთქმული ეპიზოდი. ვ. მექვაძიშვილის – მეფარნე, ბრეხტისუელი ზონგის მომღერლის ანალოგად აღიქმებოდა. ის ფეხაკრეფით, ქურდულად შემორბოდა სცენაზე და ტენტი კომენტარებით გვაცნობდა პერსონაჟებს, საკუთარ აზრს გვიმზედდა ცალკეულ მოვლენებზე. ვ. მექვაძიშვილის, როგორც „ეპიკურელი მსახიობის“, სარკასტული ღიმილი და მღელვარე ინტონაცია, ასხივებდა შიშასა და ორაზროვნებას. სახითათო წუთებში იგი ვიოლინოს აკვენებდა და ჩურჩულით აყოლებდა სათქმელს. ზოგჯერ კი მაყურებლის აზროვნების გასაფხიზლებლად, ავისმომასწავებლად ჩაბერავდა ხოლმე საყირის და თავადაც გულგახეთქილი, დაფეთებული გარბოდა კულისებისკენ. მსახიობი მთელი სპექტაკლის მანძილზე მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დაავორებდა ურიკას, რომელშიც სანაგვეზე გადასაყრელად თუ ისტორიისთვის გადასანახად, უხვად აგროვებდა დაღუპულთა მოსასამებს, სურათებს, იმ თაობის ნაშთსა და ნაფლეთებს, რომლებსაც უსასტიკესი მეოდებით აძევებდნენ ისტორიიდან.

შ. გაწერელიას ინტერპრეტაციით ბერსენევების ოჯახის თითოეული წევრისთვის რევოლუციის ქარიშხალი, ჩვეულ ცხოვრებისუელ წესთან სამარადისო გაყრის, გაურკვეველ რეალობასთან ადაპტირების მცდელობას, ცხოვრების აზრისა და მიზნის ქრობის, მრავალსაუკუნოვანი ფასეულობების დამხობის ტრაგიკულ რეალობად იქცა. პერსონაჟებს შორის წარმოდგენის დასაწყისიდანვე დარღვეული იყო ურთიერთობები. გარესამყაროში განვითარებული მოვლენების შესაბამისად, ტოტალური რღვევის პროცესი ოჯახის მყედრო გარემოშიც შეჭრილიყო და თითოეულის შინაგან სამყაროშიც მყარად ჩასახლებულიყო. შიშით დათრგუნული ადამიანების არჩევანი პარადოქსული გამხდარიყო და მიესწრაფოდნენ განრიდებოდნენ ერთმანეთის მახვილ მზერას.

ახალი რეჟიმის აგრესიული პოლიტიკით შეშფოთებული რ. თავართქილაძის კაპიტან ბერსენევისათვის რევოლუციისადმი სამსახური იძულებით უესტს წარმოადგენდა. მისი პოზიცია ოჯახის გადარჩენით იყო მოტივირებული. ამ მხრივ, ბერსენევის მეუღლე, გარდასული ეპოქის უკანასკნელი ბანოვანი ლემურა ჯაყელის სოფია პეტროვნა, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ დაეკრძალა შვილი და უკვე განცეკადა არაპროგნოზირებადი რეალობის სისასტიკე, ესწრაფოდა შეენარჩუნებინა ჩვეული სიმშვიდე, განრიდებოდა აპოკლიფურ მოვლენებს. მთელი სპექტაკლის მანძილზე მურაბის ხარშვით

დაკაგებული დედა, ამაღდ იღწვოდა დასანგრევად განწირულ სამყაროში ტრადიციული ოჯახური მყუდროებისა და კომფორტის აღსადგენად. თუმცა დროდადო ეს სტოიკური სიდარბაისლით შეჯავშნული ქალბატონიც კარგავდა წონასწორობას და გაოცებულს აღმოხდებოდა ხოლმე საყველური: „რატომ ხდება ეს ყველაფერი? რისთვის? ვისი გულისთვის?“ „ამას ვერავინ გეტყვის დედა!“ – პასუხობდა არანაკლებ შეძრწუნებული მარინა აბაშიძის ტატიანა და თვითგადარჩენისათვის მებრძოლი ქალის ინსტინქტით ისწრაფოდა ახალ სინამდვილესთან ადაპტირებისთვის, შესაბამისად კი წითელი ეპოქის რჩეული და აქტიური პიროვნების ოთარ ბაღათურიას გოდუნისაკენ. მ. აბაშიძის ტატიანაც ისევე როგორც ოთარ ბაღათურიას გოდუნი სწორედ მისი მდგომარეობისათვის საწინააღმდეგო სიციალურ კლასთან მიახლოვებით ლამობდა საკუთარი ეწ. „დანაშაულისაგან“ თავდახსნას.

როგორც ცნობილია, ბ. ბრეხტს გმირად მიაჩნდა მეამბოხე, სოციალური საპყრობილის დამანგრეველი რევოლუციონერი. ხოლო შალვა გაწერელიას სპექტაკლში ოთარ ბაღათურიას – გოდუნს არა მარტო ეჭვი შეპქონდა ძალადობაზე დაფუძნებული ახალი რეჟიმის ფასეულობებში, არამედ სკეროდა, რომ ისტორია უმკაცრესად განსჯიდა კიდეც ძალაუფლების მიმტაცებლებსა და მის გარემოცვას. ხოლო მ. აბაშიძის მარინასაკენ მის სწრაფვა მომხიბლავი ქალისადმი გარკვეულ ნაზ გრძნობებთან ერთად, თავდაცვის, მიუწვდომელ, არისტოკრატულ კასტასთან მიახლოება-ამაღლების, საკუთარი ძალაუფლების განვრცობის აქტადაც იაზრებოდა. სპექტაკლში ოთარ ბაღათურიას – გოდუნი, რევოლუციონერ-წინამძღოლის კლასიკურ სახეს წარმოადგენდა. „თუ დავმარცხდებით, ჩვენს ძვლებს საფლავებიდან ამოყრიან!“ – მრისხანებდა ძალაუფლების პყრობის უინით შეპყრობილი რევოლუციონერი. მუქარა კრთოდა მის ყოველ სიტყვასა თუ კოპებშეყრილ გამოხედვაში, არაერთხელ მოღვრებულ ენერგიულ მუშტში. იგი ირონიულად დააბოტებდა ბერსენევების ოჯახის ფილივრანულად დახვეწილ, სარკესავით კრიალა ინტერიერში, სეტყვასავით იფურთხებოდა მზესუმზირას ჩენწის და ჯიბებში ხელებჩაწყობილი, უხეში დაკითხვის ტონით საუბრობდა შემკრთალ მასპინძლებთან.

ბერსენევების ნატიფი ოჯახური იდილიის სევდიან ინტიმს, სპექტაკლში გოდუნის აგრესიული მეზღვაურების დემარშები ენაცვლებოდა. გემბანზე მათი წვრთნის პროცესი სამხედრო მანევრირებების ნაცვლად ხელოვნურად და გაუაზრებლად

დაზეპირებული სიმღერების რეპეტიციებით წარიმართა. ისინი ირონიული ქვეტექსტებით მღეროდნენ გარდასული ეპოქის სახელოვან პიმებსა და საგალობლებს „ინტერნაციონალს“, „მარსელიოზას“, „უფალო ჩემო, ჰავარვიდე მეფეს“. რეჟისორი მქაფიოდ წარმოაჩენდა, რომ ეს ენერგიული და გაბოროტებული ადამიანები უაღრესად საშიშ ძალას წარმოადგენდნენ. ხოლო გოდუნისა და მისი უმცირი თანამოაზრების, ზოგადად კი მთელი რევოლუციური მასის მიერ დაფუძნებული დიქტატურის ლოგიკური შედეგი ქვემის ძალადობრივი მჟიოდებით მართვა, ძალაუფლებითა და პიროვნული კეთილდღებით თრობა იყო. რეჟისორის მიერ კრიტიკულად იქნა გააზრებული ლეიტენანტ ფონ შტუბეს სახეც. გოჩა ცხვარიაშვილის მიერ შექმნილი დეკლასირებული, ხელმოცარული, ცოლისგან უარყოფილი მარტოსელი ესწრაფოდა უმწეო გაბრძოლებით წარმოეჩინა საკუთარი კასტის ამჯერად უკვე გაუფასურებული ღირებულებებისადმი ერთგულება და ამით მოეპოვებინა ისტორიის ფურცლებზე მსხვერპლად შეწირული გმირის, წმინდანის იმიჯი. მას ესიზმრებოდა სასურველი რიტუალი, სადაც საეკლესიო ქორალის ფონზე, თეთრი კვართით შემოსილს მუხლმოყრილი თანამებრძოლები მოწიწებით ეამბორებოდნენ ხელზე. თუმცა გოჩა ცხვარიაშვილის ფონ შტუბესათვის საკუთარ პრინციპებთან, წარსულთან და ფასეულობებთან კავშირის გაწყვეტა თავისთავად მოასწავებდა აღსასრულს. მისთვის სიკვდილზე დიდ საჯელს წარმოადგენდა ქედდადორეკილი არსებობა მისივე ხელქვეითების მიერ დაფუძნებულ, ცივილიზაციის მიღწევებისგან იზოლირებულსა და ფსევდოფასეულობებზე აგებულ სინამდვილეში. წარმოდგენაში შტუბეს გარკვეული შინაგანი თანამოაზრე ხდებოდა ბერსენევების უმცროსი ქალიშვილი, თექვსმეტი წლის ქსენია. სპექტაკლში თ. ლოლაშვილის სცენური გმირი წარმოაჩენდა ტრადიციულ ფასეულობებზე აღზრდილ-ორიენტირებული არისტოკრატული ინტელიგენციის უკანასკნელი თაობის სახეს, რომელმაც მთელი სიმწვავით გააცნობიერა, რომ ამიერიდან „ღმერთი მკვდარი“ და ყველაფერი დასაშვებია. ხოლო ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სასტიკი რეალობა, მოაზროვნე, თავისუფლებისმოყვარე ინდივიდისათვის მარადიულ საპყრობილები იჭედებოდა. წარმოდგენაში თ. ლოლაშვილის სცენური გმირი უშედეგოდ იღწვოდა შეექმნა კლასიკური ფასეულობებისაგან დისტანცირებული, უხეში ახალგაზრდა ქალის იმიჯი. „თამაშით“ დაღლილი და ისტერიის ზღვარზე მყოფი კი უეცრად იხდიდა

პარიგს და შეშფოთებული დის წინაშე წარსდგებოდა სასოწარკვეთისაგან ნაადრევად დაბერებული და გათეთრებული.

სპექტაკლის კამერტონად აღიმებოდა დ. ტურიაშვილისა და დ. გურგენიძის მუსიკალური გაფორმების საფუძველზე, იური ზარეციას მიერ შექმნილი ქორეოგრაფიული ოპერები. მოულოდნელად სცენაზე შემოჭრილი საცეკვაო მელოდია, გაშმაგებული ეპეთებოდა და უნებურად ააცეკვებდა ხოლმე დაბნეულ გმირებს. ეს იყო ახალი ეპოქის სტიქის უცარი მოვარდნა. მისი უხილავი, მაგრამ აგრესიული ტალღები ელვისებურად გაიტაცებდა ხოლმე ინტელიგენციის ფაქიზ, უთანასწორო ძალთა ჭიდილში ღონემიხდილ სხეულებს და თოჯინებივით ათამაშებდა მათ გააფორებული დროის ფერხულში. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კაუნასში გასტროლებისას, შალვა გაწერელიას „რდვევის“ თაობაზე წერდნენ „საოცარია თუ როგორ შეძლეს რეჟისორმა და მხატვარმა ამ კამერულ სივრცეში სამყაროს „რდვევის“ ჩვენება..“.<sup>5</sup>

ამრიგად, შრომაში გაანალიზდა შალვა გაწერელიას მიერ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში 1972-1980 წწ. განხორციელებული ქველაზე წარმატებული ხუთი სპექტაკლი: ა. ჰაკეტისა და კ. გუდრიჩის „ანა ფრანკის დღიური“ (1972 წ.), ვაჟა—ფშაველას „მოკვეთილი“ (1973 წ.), დ.კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“ (1974 წ.), ბ. ბრეხტის „სიმონა მაშარის სიზმრები“ (1976 წ.) და ბ. ლავრენტის „რდვევა“ (1980 წ.). 1982-1991 წწ. რეჟისორი დგამს კიდევ ხუთ მნიშვნელოვან სპექტაკლს: დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ (1982 წ.), მ.ჯაფარიძის „ჩვენებურები“ (1985 წ.), ნ.დუმბაძის „ქუკარაჩა“ (1986 წ.), ი.სამსონაძის „ბედნიერი ბილეთი“ (1989 წ.), „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ (1991 წ.). ამ დადგმებმა მას საბოლოოდ განუმტკიცა რეფორმატორული სულისკვეთებით გამორჩეული რეჟისორ-ლიდერის ავტორიტეტი და წარმატებით დაუმკვიდრა მყარი ადგილი თანამედროვე ქართული თეატრალური რეჟისურის სახელოვან დიდ ოთხეულში.

<sup>5</sup> იხ. იქევ; გაზ. „მოსკოვსკი კომსომოლეც“, 1978, 24 სექტ. (რუსულ ენაზე);

<sup>6</sup> დ. კალიში, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1978, 21 სექტ.;

<sup>7</sup> ტ. შახ-აზიზოვა, გაზ. „სოვეტსკაია კულტურა“, 1978, 15 სექტ. (რუსულ ენაზე);


<sup>8</sup> მ. ტურიაშვილი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988, 8 სექტ.

<sup>1</sup> ვ. კიკნაძე, „თეატრი და დრო“, თბ. 1984, გვ. 223;

<sup>2</sup> ტ. შახ-აზიზოვა, გაზ. „სოვეტსკაია კულტურა“, 1978, 15 სექტ. (რუსულ ენაზე);

<sup>3</sup> ლ. ლუკაძე, ურნ „ოგონიკ“, 1979, №41 (რუსულ ენაზე);

<sup>4</sup> ვ. ივანოვი, გაზ. „მოსკოვსკი კომსომოლეც“, 1978, 24 სექტემბერი (რუსულ ენაზე);



## ჯიმ ჯარმუშის „მკვდარი გაცი“ - ვესტერნის დეპონიტონი

კინოჟანრების სიმრავლე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ უანრის საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. ერთი მხრივ, ჩვენ მას ისევ ვიაზრებთ, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული თემებისა და მოტივების ერთობლიობას, სტრუქტურული კლემენტების, ხასიათებისა და მათი ფუნქციების მდგრად, პოეტურ სისტემას; მეორე მხრივ, ვაღიარებთ, რომ იგი შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი მხარეა, დინამიკური და ცვალებადი. გარდა ამისა, პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში ამ სისტემას სრულიად ახალი დანიშნულება ეძლევა, რაც არ ნიშნავს, უბრალოდ განვითარებას. უფრო გასაგები რომ გახდეს, მაგალითისთვის შეაჩერდები ყველასთვის კარგად ცნობილ, პოპულარულ, გასართობ ვესტერნის უანრზე. დღეს ვესტერნი არ განისაზღვრება მკაცრი კრიტიკიუმებით: პრაქტიკულად, თავისთავში იოლად ითავსებს სხვა უანრებსაც: კომედიას, დეტიქტივს, თრილერს, მიუწიკლს, ფანტასტიკას და ა. შ., რაც მას კიდევ უფრო მეტად ამდიდრებს სანახაობრივად. თუმცა, უანრის ასეთი თავისუფალი გაგება არ გამორიცხავს მის ძირითად ბუნებას: პოლიუანრული მრავალფეროვნება, თუ პირიქით, დამახასიათებელი მხარის შესუსტება, ან ელემენტის გადააზრება (მოძველებულ სტერეოტიპის, რომელიც გარკვეული დროის ან პირობების შემდეგ, დაბრკოლებებით იწყებს ფუნქციონირებას და გადახალისებას საჭიროებს), უანრულ პირობითობას, როგორც წესი, არ ეხება და რასაკვირველია, ამით უანრის ლოგიკა არ იცვლება. როდესაც ახალ ლოგიკაზეა საუბარი, იგულისხმება სრულიად სხვა მოვლენა, არსობრივი გადატრიალება, ჰეშმარიტებასთან დამოკიდებულების შეცვლა, როდესაც, ორჯერ ორი, უკვე აღარ უდრის ოთხს. ანუ, ლაპარაკია სტრუქტურის თამაშზე, ჩამოყალიბებული ფორმებისა და სტრუქტი პების მნიშვნელობებისგან დაცარიელებასა და მათ ახალ, სავარაუდოდ, ირონიულ კონტექსტში გააზრებაზე, პირუკუ-აგებაზე, ანუ დეკონსტრუქციაზე. დეკონსტრუირებული უანრი ფაქტობრივად უანრის საპირისპირო მოვლენაა, მაღალუფლებადაკარგული თვითგაბათილებისკენ მიმართული სისტემა.

სწორედ ასეთ ახალ ლოგიკას ეყრდნობა დამოუკიდებელი ამერიკელი კინორეჟისორის ჯიმ ჯარმუშის მიერ 1995 წელს გადაღებული „მკვდარი კაცი“ (ინგლ. *Dead Man*). ამ ფილმს თთქმის ასი წელი აშორებს პოლივუდის პირველ კოებოურ ფილმთან. ვესტერნი შეიძლება ითქვას, ყველაზე ამერიკული ქანრია, რომელსაც პოლივუდში 1898 წლიდან იღებენ, ხოლო, ჯერ კიდევ 1903 წელს გადაღებული ე. წ. პორტერის „მატარებლის დიდი ძარცვა“ დიდი ხანია უკვე ამერიკული კინოს კლასიკას წარმოადგენს. ვესტერნთან ერთად ჩამოყალიბდა ამერიკული დირექტულებები, მასშია შერწყმული ამერიკის ისტორია და კულტურა, ოცნებები და გამარჯვებები. იგი მრავალი წლის მანძილზე იყო ამერიკელთა პატრიოტიზმისა და ოპტიმიზმის უშრეტი წყარო, სამართლიანობისა და თავისუფლების ეროვნული სიამაყის მყარი ნიადაგი. სავარაუდოდ, ჯარმუშის მიერ ვესტერნის ქანრისადმი მიმართვის მიზანია საკუთარი კულტურისადმი დამოკიდებულების გამოხატვა, ისტორიის გადააზრება.

ტრადიციული ვესტერნი მოგვითხრობს პრიმიტიულისა და უსამართლოს დაპირისპირებაზე პროგრესულთან და სასიკეთოსთან; ეს მხარები სიმბოლურად გამოიხატება როგორც პერსონაჟთა ხასიათებში, ისე სიუჟეტური ხაზის განვითარებაში. ასეთი დაყოფა რომ უკიდურესად პირობითია და ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვს, მეტყველებს ის ფაქტი, რომ დროთა განმავლობაში კეთილისა და ბოროტის სიბოლოური რევერენტები ცვალებადობას განიცდიდნენ: თუ ადრეულ ვესტერნებში ინდიელი აბორიგენი წარმოდგენილი იყო, როგორც ულირსი და საშიში ბოროტმოქმედი, რომელთანაც თეთრკანიან ამერიკელს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გაჩადება უწევდა, მოგვიანებით, სამციანი წლების რევიზიონისტულ ვესტერნებში, ინდიელთა მიმართ კეთილმა გაწყობამ დაისადგურა, დაპირისპირებულ შხარებად კი იქცნებ ლირსების სახელით მებრძოლი მარტოსული კოვბობები, შერიცები და კანონის უკულებელმყიფელი ბოროტმოქმედები.

ჯომ ჯარმუში, თავის ფილმში, სრულიად ახლებურად აღიქვამს ისტორიულ პრობლემატიკას. უანრობრივად „მკვდარ კაცს“ სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ: მასზე საუბრობენ არა მხოლოდ როგორც დეკონსტრუირებულ ვესტერნზე, არამედ, როგორც ფილოსოფიურ იგავზეც, როუდ-მუვიზე, მისტიკურ ფილმზე და ა. შ.. შაბლონთა ელემენტები ფილმში საკუთარ შრეზე იშლება და გადააზრებული სტრუქტურის თამაშში ერთვება. ფილმის ფაცულა

ერთი შეხედვით მარტივია და ზღაპრის მოტივებისგან შედგება. იგი მოგვითხრობს XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის უკადურესი ველური დასავლეთის სამრეწველო დასახლებაში სამსახურის საძიებლად წასული ვინმე ახალგაზრდა უილიამ ბლეიკის ისტორიას, რომელიც თავის ქალებით, ჩონჩხებითა და ქუბოებით სავსე ბოროტების პირქუშ საუფლოში მოხვდება. ამ სიტუაციას, რეჟისორი, მეორე მხრივ, დანტეს ჯოვანისტებში ჩასვლასთან ადარებს. ეშმაკის მსგავსად, გამურული ორთქმავლის მემანქანე, სწორედ ამის შესახებ აფრთხილებს გმირს: „მაშნის იქით აღარაფერი აღარ არის, რა გაიძულებს ჯოვანისტებში ჩასვლას!“

„მკვდარი კაცი“, შეიძლება ითქვას, პოსტმოდერნისტული, ირონიული სამყაროს „მიცვალებულთა წიგნი“, რომელშიც ამერიკული კინოს ტრადიციებშია აღწერილი გარდაცვლილთა სამყაროს ცხოვრების სცენები: ერთგვარი რიტუალური სვლა „დავიწყების მდინარისკენ“, საშინელი სამსჯავრო, სამი დემონის დენა, სულიერი განწმენდისა და ზიარების ეტაპები, ვიდრე გულში დაჭრილი გმირი კანოეთი ოკეანეში არ შეცურავს. ჯონი დეპი ინდიელის კანოეში, კოლტით ხელში, – ეს, უბრალოდ მეტაფორა არ არის; ეს – კონცეპტი-ხატია, რომელიც წარმოგვიდგენს საიქოსკენ მიმავალი ამერიკელის სიკვდილის შემდგომ მოგზაურობას. ანუ, ესაა ისტორია, რომელიც განაპირობებს ამერიკელის იმქვენიურ ცხოვრებას. ჯ. ჯარმუშისთვის ეს სივრცე, ანუ „ველური დასავლეთი, ერთდროულად კონფლიქტურიცაა და აბსურდულიც. სწორედ აქ გათამაშებულ ისტორიაზე მოწმდება, როგორც უკვე ვთქვით, ამერიკული ღირებულებები, „ბედინერი დასასრული“, რაც მიუთითებს რეჟისორის ირონიაზე საერთოდ ვესტერნისადმი. რადგან აღნიშნულ ფილმში „ბედინერი დასასრული“ ნამდვილი დასასრულია – სიკვდილის სივრცე... თუმცა, ფილმის რეალიტა შეიძლება აღვიტა სხვა ასპექტებთაც: როგორც იდეებისა და სიმბოლოების სივრცე, სადაც ამქვენიურ ცხოვრებაში ჩადგინდს მარადიულობა ანიჭებს საზრის: როგორც ველური დასავლეთის ათვისების რეალობა, ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, ჩამოყალიბების პირველი ნაბიჯები; ან როგორც თანამედროვე ამერიკა, რომელიც აფასებს თავის ისტორიას; ეს არის, აგრეთვე, ორი სხვადასხვა კულტურის ურთიერთობიმართება და მათ შორის სრული გაუგებრობა და ურთიერთ შიში, მათი თანაცხოვრების ირონიული სურათი და რაც მთავარია, ეს არის მონანიება იმ ხალხისა, რომელთაც

თავად შექმნეს და თავადვე დაივიწყეს საკუთარი იდეალები, აბსურდად აქციეს და გააყალბეს საკუთარი კულტურა გააცამტვერეს მისდამი ნდობა.

ფილმის რთულ, პოსტმოდერნისტულ სტრუქტურაში უხვი სტერეოტიპულობით წარმოდგენილი უანრის ელექტრობები საპირისპირო აღქმაზეა გამიზნული, ვიდრე ვესტერნში. კაფკასეული გაუცხოებული, აბსურდული რეალობის შარში გახვეული ბუღალტერი პატარა მრგვალი სათვალით, „შოტლანდიური“ ქსოვილისგან შეკერილი თვალშისაცემი „ბაჟონური“ კოსტუმით, უურნალის კითხვით, პასიანის გაშლითა და, რაც მთავარია, იარაღის გარეშე(!) უცხოდ გამოიყერება ნაძვილი „ველური დასავლეთის“ სამყაროში: თუმცა, მის გარშემო, ჩვეულებრივ, ვესტერნის სივრცაშა: მზისგან გარუჯული აღმაინები ტრადიციულად ძველმოდური, უცვლელი სამოსით: შეკეცილფარფლიანი შლაპებით, დეზებიანი ჩექმებით, ყელზე – პატარა ყელსახვევით, აუცილებლად შეიარაღებულები – თოვებით, დამბაქებით, დანებით... ყავთ უნაგირით შეკაზმული ერთგული და ჭეკვიანი ცხენები, რომლებიც საკუთარ შვილებს ურჩევნიათ (გავიხსენით, მისტერ დიკინსონი, სწორედ ბებერი (ცხენის დასაბრუნებლად დააღვენებს ბლეიკს მდევრებს და არა შვილის მკვლელობისთვის შერის საძიებლად.)

უანრული პირობითობათა თუ კონცეპტთა დიალოგი მათი შერწყმა, ურთიერთმიმართება, მასშტაბურად აფართოებს სახეთა საზრისის საზღვრებს, წარმოქმნის ფილმის ციტატებითა და ალუზიებით დაქსელილ, მრავალაზროვანი სიმბოლოებით დატვირთულ პიპერრეალობას. ამ ფილმში უანრი, როგორც მოთამაშე სტრუქტურა, თვითონ ხდება ახალი ჭეშმარიტება და წარმოადგენს ფილმის შინაარსს, დაპირისპირებულს საკუთარ არსთან. უპირველეს ყოვლისა, ჯიმ ჯარმუშის „მკვდარი კაცი“, როგორც უკვე ვახსენეთ, არ არის „პეფი ენდით“ დამშვენებული გამარჯვებულის ისტორია, არამედ, პირიქით, გმირის – უილიამ ბლეიკის სამშვიდობოზე გაღწევა – სიკვდილის საუფლოში შესვლა, „დავიწყების მდინარეში“, – ლეტაში შესწორებაა: ვისაც არავერი ახსოვს, ცხადია მიცვალებულია. ამ ფილმით ჯიმ ჯარმუში ერთვება საერთო მსჯელობაში სიკვდილზე.

ფილმის გამოსვლამდე ორი წლით ადრე, ინგლისურ ენაზე ითარგმნა უაკ დერიდას ცნობილი „აპორია“ (1993), რომლის სახელწოდება პირველ ფრანგულ გამოცემაში უდერდა როგორც: „აპორია – სიკვდილი – ერთმანეთის მოლოდინი ჭეშმარიტების

ზღურბლთან“.<sup>1</sup> არავის შეუძლია მოკვდეს ჩემთვის, ჩემს მაგივრად, ეს მე ვარ ვინც კვდება, მხოლოდ ამ სიტუაციაში ვრჩები ჩემს თავთან პირისპირ, სამყარო მიდის, და მე ვიღებ საკუთარ თავს“, – წერს დერიდა. თითქოს, ამ სიტყვების პერიფრაზაა ფილმის შესავალ ნაწილშიც, როდესაც გამურული მემანქანე (შესაძლოა დემონი) არსობრივად განუმარტავს გმირს ცხოვრების არსე: „ვაიან საღამოს შენ წევხარ ნავში და იყურები ზემოთ. თავში კი წყალი ხმაუროს, ზუსტად ისე, როგორც ბორტს მიღმა. და შენ ფიქრობ: ეს როგორ? ნაპირები მოძრაობენ, ხომალდი, კი, გაჩერებულია? ჩვენ ოცნებებში ვატარებთ მთელ ცხოვრებას, თითქოს სიზმარში ვართ. ჩვენ ვერ ვგრძნობთ დროის დინებას. გვგორია, რომ სულ არ ვიცვლებით. მაგრამ როდესაც უკან ვიხვდებით, ვხვდებით, თუ როგორ სწრაფად მიქრის დრო. და ჩვენ ვერ გაგვიგია: რატომაა დრო მოძრაობაში, ხოლო ჩვენ არ შეეცვლილვართ?“. შეიცვალა, თუ არ შეიცვალა სამყარო წლების მანძილზე, ჯარმუში პირდაპირ არ პასუხობს. იგი წარმოადგენს დროს, რომელიც უკვე აღარ არსებობს, დრო, რომელიც მკვდარია, ხოლო სამყაროდან წასვლა არასწორად აღქმული რეალობის, შეუსრულებელი მიზნებისა და დანაშაულის გამოსწორების შანსს აღარ გვიტოვებს. სიკვდილის თემა მთლიანად გამსჭვალავს ფილმს და სრულიად სხვადასხვა კონტექსტებით ავსებს. მასში მრავალნაირი სიკვდილის სახე და შინაარსი ეხლართება ერთმანეთს. ნატურალისტური, მისტიკური, ფილოსოფიური, მითოლოგიური, პოეტური, სიმულაკრული, სიმბოლური და ა. შ. ფილმის სახელწოდება – „მკვდარი კაცი“ პირდაპირ ასოციაციას ქმნის მიშელ ფუკოსეულ „სუბიექტის სიკვდილთან“.<sup>2</sup> უილიამ ბლეიკი, როგორც სუბიექტი, ორად მყოფი პიროვნება დამაკავშირებელი რეალურსა და სიმულაკრულს შორის, ან შეიძლება ითქვას, მითოლოგიზმირებულ ინტერტექსტსა და „ნამდვილ“ ისტორიულ რეალობაში მოხვედრილ პერსონაჟს შორის. მხლია გაარკვიო, რომელია ნამდვილი და რომელი, – „ცარიელი ნიშანი“. გარდა ამისა, როგორ მოხდა, რომ უცხო ტომის ინდიელმა იცის უილიამ ბლეიკის ლექსები ზეპირად, ხოლო, უილიამ ბლეიკი ისიც კი არ იცის, რომ ლექსებს წერდა! ეს უკვე როლან ბარტის „ავტორის სიკვდილის“<sup>3</sup> ალუზიაა. სწორედ მკითხველი, სახელად არავინ, ანიჭებს ბლეიკის პოეტის სტატუსს. ირონიული და ლიმილისმომგვრელია სცენა, როდესაც ინდიელი დაბნეულ ბლეიკს არწმუნებს: „შენ ძალიან კარგი პოეტი ხარ, ვერ გამიგია, როგორ არ

გახსოვს შენი ლექსები!“. თუმცა, სწორებ ამის შედეგად, ლოგიკურად უსვამს დიაგნოზს: შენ მკვდარი ხარ.

პარადოქსულად აგებული თხრობა – ყოფნა არ ყოფნის დიფერანსული თამაში, – უანრის დეკონსტრუქციის კიდევ ერთი საბაბი და სამუალება ხდება. ინდიელი არა მხოლოდ ბლეიკის პოეზიის თაყვანისმცემელია, იგი თანამგზავრიცაა და მეგზურიც, თუმცა, მისი პიროვნულობა წამდილია, იგი „არავინ“ არის. რას ნიშნავს იყო არავინ? – მარტოსულობას უკიდევანო სივრცებში საკუთარ წინაპართა მიწაზე, როდესაც ინდიელი „არავინ“ საუბრობს თითქმის მკვდარ ენაზე, რომლისაც სულ რამდენიმე ადამიანს გაეგება დედამიწაზე და ისინი ამ ენაზე სიტყვების წარმოთქმის მომენტს არ ესრულიან, – ეს შესაძლოა ნიშნავდეს ასეურდს, არაურს, „ცარიელ ნიშანს“, ან რეალობას, რომელმაც დაკარგა საკუთარი ნამდვილი შინაარსი. რეალობა, რომელიც მოკვდა და აღარ არსებობს. ნიშანდობლივია, რომ ინდიელის მეორე სახელია: „ხმამაღლა მოლაპარაკე, რომელიც არაუერს ამბობს“. ეს სახელი საკუთარ ტომში შეარქევს, ანუ, ისინიც გაუცხოვდნენ, ნდობა დაკარგეს თეორებისათვის დაახლოებული ნათესავის მიმართ. ბლეიკს, თავისი ერთადერთი თანამგზავრის, ინდიელის არ ესმის – არც მისი უიშვათესი ენის გაეგება რამე და არც საკუთარი ლექსების, ანუ თავისი კულტურის. მას მთლიანად აქვს გაწყვეტილი კავშირი თავის წარსულ დროსთან, ნამდვილი უილიამ ბლეიკის<sup>4</sup> რეალობასთან, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა. ამიტომ საკუთარი აწყო, მისთვის, საშინელ ფანტასმაგორიად ქცეულა. მნიშვნელობა არ აქვს, ფილმის გმირი ნამდვილად პოეტია თუ არა, რადგან ინდიელი მათ მაინც ვერ ასხვავებს. მთავარია, რომ მას სკერა ბლეიკის პოეზიის და ვერ გაუგია, ამ სიტყვების დამწერი მისი მტერი როგორ შეიძლება იყოს.

ჯიმ ჯარმუში გულისტკივილით ინანიებს საკუთარ ისტორიას, უნდობლობას და ბოროტებას, რომელიც მის თანამომქმებებსა და ინდიელებს შორის საშინელი, ასეურდული და გამანადგურებელი რეალობის სახით გაჩნდა, გაპარტაზებულ სივრცეებს, ინდიელთა გადამწვარ კარვებს, ბიზონების სამარცხვინო გაულეტის ფაქტს,<sup>5</sup> ცხოველთა ძვლების დახვავებულ მთებს, რომელზეც პირდაპირ იყო დამოკიდებული ინდიელთა სიცოცხლე. ამ თემას რეჟისორი ფილმის შესავალ ნაწილში, მატარებლის ეპიზოდშივე ატარებს, როგორც მირითადსა და არსებითს.

პოეტ უილიამ ბლეიკის სახელთან ერთად, ფილმში ინტერტექსტის სახით შემოდის მისი პოეტური სამყარო, რომანტიკულად არაჩვეულებრივი და მიამიტურად გულწრფელი. ეს სამყარო ფილმში თან არსებობს, თან არ არსებობს. ერთი მხრივ, ამ რეალობამ უკვე წარსულის სახით ჩაიარა, ხოლო ახალი, მიმსგავსებული, არაცოცხალი და სიმულაკრულია. როგორც ფილმის გმირი, – დაცარიელებული სუბიექტი უილიამ ბლეიკი, განსხვავდება ოდესდაც რეალურად არსებულისგან, ისე მათი სივრცებიც, როგორც „დაცარიელებული ნიშანი“, ხდება რომანტიკოსი პოეტის პოეტური სამყაროს დეკონსტრუქციის საბაბი. თუმცა, ირონისა და სარკაზმის მიუხედავდ, შეიძლება ითქვას, რომ „მკვდარი კაცი“ უპირველეს ყოვლისა, პოეტური ქმნილება. მისი ერთგვარი აღლოგიკა არ არის შემთხვევით, ნაძალდევი, თვითმიზნური და გამომდინარეობს სწორედ პოეზიის ლოგიკიდან, რომელიც აბათილებს თხრობის პროცესში სახეთა შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობრიობას. პოეტური ინტონაციით გაჯერებული თითოეული კადრი აღიქმება როგორც ლექსის ფრაზა, შექმნილი განწყობილებით დატვირთული, რომლებიც „ჩაბნელებებით“ და მუსიკალური ბერებითაა გამოყოფილი ერთიმერისგან. ხოლო თვთოეული ამგვარი შავი პაუზა აღიქმება როგორც დასასრული, როგორც სიკვდილი. შეიძლება ითქვას, რომ „მკვდარი კაცი“ სიკვდილის პოემაა, სწორედ ამიტომ არის მასში, პირველ საფუძვლად განფენილი რომანტიზმის მსოფლმხედველობა, თუნდაც, ახლებურად დეკონსტრუირებულ-გადახაზული და ხელახლად დაფუძნებული.

რომანტიკოსი უილიამ ბლეიკის სახელით, მისი პოეტური სამყაროთი, სახეებითა და კონცეპტებით ოპერირება, ფილმში შეცვლილ ღირებულებებითან და ნამდვილ ფაქტებითან ფარდობითობაში, თვისობრივად გარდაიქმნებიან, აშკარავდებიან და ნაღვლიანად ბათილდებიან. მაგალითად, შევადაროთ ქალწულ ტელის სახე და მისი ყვავილები, რომელზეც პოეტი ბლეიკი საუბრობს „ტელის წიგნში“, როგორც სიცოცხლის მშვინირებებაზე, თუმცა, წამიერზე და წარმავლზე. მისი მარტოსული ტელი, საკუს ანარეკლივით მსუბუქი და ფაქტიზი, „ბავშვის სიზმარივით უმანკო“ და „ალიონზე შემთხვევით ანთებული ღრუბლის მსგავსი, რომელიც უკვალოდ იფანტება“, ვინც სუნთქავს მთის იალაღების ყვავილთა სურნელით და ნაღვლიანად აკვირდება ცოცხალი სამყაროს ეფექტურულ სურათებს, – მოსთქვამს და პასუხს ეძებს: რისთვის არსებობს, შიშობს, რომ მხოლოდ იმიტომ,

რომ მატლების საკვებად იქცეს. იგი ეკითხება სწრაფმდინარე წყალს, ღრუბელს, რომელიც არ წუხს, რომ ქრება, საფლავის ჭიას, გათოშილ უსუსურ ბავშვს და როდესაც პასუხს ვერ იღებს, თავად ჩადის ქესენელში. თუმცა, ნანახი იმდენად შემაძრწუნებელია, რომ საკუთარი საფლავიდანაც კი გულგახეთქილი გამორბის. უილიამ ბლეიკის ასეთი „ტელი“ ფილოსოფიურ-პოეტურ სამყაროსთან ერთად, ატარებს რომანტიზმის სინორჩეს, გულუბრყვილობას, მერძნობიარობას, რაც ჯიმ ჯარმუშის ერთგარი ნისტალგიური ორონის საბაბი ხდება.

ჯარმუშის ტელის „ცოცხალი“ რეალობა კიდევ უფრო მკვდარი და პირქუშია, ვიდრე ბლეიკის საფლავებისა, რომელმაც მისი უმანკო ასული დააფრთხო. მშვენიერი ტელის ატრიბუტიკა აქაც ყვავილებია, თუმცა, ამჯერად, მათ ქალალის სუნი ასლით, რადგან ღარიბი ქალიშვილი, ვარდებს სწორედ ნახმარი, გადაგდებული ქალალდისგან აკეთებს. სუნამოც არ აქვს, რომ მათ ფურცლებს დააპკუროს. გარდა ამისა, ცოცხალი ყვავილი მას, სავარაუდოდ, არც არასდროს უნახავს. იგი უკიდურესი დასავლეთის დასახლების, მაშინის ბინბური ქუჩების მკვიდრია, უხეში, სულმდაბალი, გადაგვარებული ადამიანებით გარშემორტყმული. ეს ტელი, თავისი პოეტური ორუელის მსგავსად, ღრუბლებში არ დაფრინავს. მას, ფილმის გმირი ტლაპოდან წამოყენებისას გაიცნობს, მისი ქალალის ყვავილებიც ტალახშია ამოსვრილი. რეჟისორის აღუზია ცინიზმით არის გაუღენთილი. რომანტიკისა მწერლის ამაღლებული, თუმცა, მიამიტური სამყარო და ფილმის დაცემული ტელის რეალური ცხოვრება შეუთავსებელ, ურთიერთგამომრიცხავ ღირებულებებათა უკიდურესობებს ქმნიან. ჯარმუშის ტელი ბლეიკის გაცოცხლებული ტელისგან განსხვავებით, კვდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უ. ბლეიკისთვის სახელი ტელი შემთხვევითი არ არის, იგი თავისთავში ატარებს ბერძნ. სიტყვა telos-ის სემანტიკას, რაც დასასრულს ნიშავს. ჯარმუშთან კი ტელი აღუზია „Tell Quel — ისა“, ანუ გამოთქმის, „ისეთი, როგორიცაა“, სიმბოლური მნიშვნელობის გარდა, მხედველობაშია უურნალი „Tell Quel“, რომელშიც მოღვაწეობდნენ ფრანგი სტრუქტურალისტები, მათ შორის, რ. ბარტი, ჟ. დერიდა, მ. ფუკო და სხვები.

ფილმის მსვლელობის განმავლობაში, დრო და დრო ჩნდება ეჭვი, რომ სასიკვდილოდ გულში დაჭრილი გმირი მოკვდა, თუმცა, იგი ფილმის ბოლომდე მაიცც განაგრძობს გზას „დასავლეთისკენ“ და ინენეშიც შეცურავს. ინდიელ „არავინს“ კი ბლეიკის მდგვრები

სწორედ ამ მომენტში ესვრიან და კლავენ. ამ არაჩვეულებრივი გესტერნის ისტორია ამით სრულდება. ამ დროს კი მაყურებელს შეიძლება ისევ გაახსენდეს ფილმის დასაწყისში ანრი მიშოს ეპიგრაფი: „ჯობს არ იმოგზაუროთ მკვდართან ერთად“.

1. შენიშვნა: შემდეგ გამოცემებში აღნიშნული ქვესათაური ამოღლებულია;
2. შენიშვნა: „სუბიექტის სიკვდილი“ - მ. ფუკოსეული მეთოდოლოგიური პოზიციაა, გნიზილავს სიცონ-კულტურულ სივრცეს, როგორც პიპერტექსტის და დეკარტისეული სუბიექტის, როგორც საკუთარი ეპოქის პროდუქტის „სიკვდილს“;
3. როლან ბარტი, „ავტორის სიკვდილი“, მ., 1968;
4. William Blake (1757 — 1827);
5. 1800 წლიდან 1900-მდე 30-40 მილიონიდან დარჩა ათაზე ნაკლები. ამერიკელი გენერალი ფილდიპ შერიდა: „ბიზონებზე მონადირებმა უკანასკნელ ორ წელიწადში უფრო მეტი გააკეთეს ინდიელების მწვავე პრობლემის გადასწყვეტად, ვიდრე მთელმა რეგულარულმა არმაზ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე. ისინი ანადგურებენ ინდიელების მატერიალურ ბაზას. გაუგზავნეთ მათ ტყვია-წამალი და მიეცით საშუალება დახოცონ, გაატყაონ და გაყიდონ, ვიდრე მთლიანად არ გაანადგურებენ ბიზონებს“. შერიდანი აშშ კონგრესზე ითხოვდა სპეციალური მედლის დაწესებას მონადირეთათვის, ხაზს უსვამდა, რა ბიზონების განადგურების მნიშვნელობას“ იხ.: Moyet F. Конец бизоньев траппы. Вокруг света, № 7 (2574), июль 1988..

## სერჯიო ლეონე და ამერიკული ვესთერნი

ცნობილი ამერიკული მსახიობი პენრი ფონდა ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრება“ წერდა: „ფილმში „ერთხელ დასავლეთში“ მე ვთამაშობდი ყველაზე უარყოფით გმირს, რომელიც კი თქვენ ოდესმე ეკრანზე გინახავთ. სცენარი არ მომეწონა და უარი განვატხადე... ერთხელ ლანჩის დროს, ჩემს მეგობრებს ვუთხარი, რომ ვიღაც იტალიელს ჩემი გადაღება სურდა.

- ვის? - შემეკითხნენ მეგობრები.
- ვიღაც სერჯიოს.
- სერჯიო ლეონეს?

მე დავუდასტურე და ისინი ლამის სკამებიდან გადმოვარდნენ... აღმოჩნდა, რომ ქლინთ ისთვედისთვის, მამამისის გარდა, არავის იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც სერჯიო ლეონეს<sup>1</sup>.

ამ საუბარს ადგილი პენრი დაახლოებით 1967 წელს. იქამდე რამდენიმე წლით ადრე კი ყველასთვის უცნობი იტალიელი რეჟისორი სერჯიო ლეონე არწმუნებდა პროდიუსერებს, მიეცათ მისთვის ფული ვესთერნის გადასაღებად...

ევროპელები კინემატოგრაფის გაჩენის პირველივე დღებიდანვე ჭაპანწყვეტით ცდილობებ შეექმნათ ვესთერნის ზუსტი ასლი, რის უშედეგობასა და უსუსურობაში ადვილად გვარწმუნებდნენ გერმანულ-რუმინულ-იუგოსლავიური ვესთერნები გოიკო მიტიჩებითა, ჩინგჩიგუებითა და ვინეტუებით.

სულ სხვათი დაიხატა იტალიაში, როცა 1964 წლიდან მოყოლებული ქვეწის ეკრანზე გამოჩნდა სერჯიო ლეონეს სპავეტი ვესთერნები. ეს ტერმინი პირველად ხმარებაში შემოიტანა იაპონელმა კრიტიკოსმა და ის ასე უღერდა – მაკარონი ვესთერნი.<sup>2</sup> გამოსვლისთანავე სერჯიო ლეონეს ფილმებმა სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ამ უანრის ამერიკულ პროდუქციას და იტალიური ვესთერნების საფირმო ნიშნად სწორედ სერჯიო ლეონეს ფილმები იქცა. სერჯიო ლეონემ ვესთერნების გადაღება მოწიფელ ასაკში დაიწყო, თუმცა იგი კნოში დიდი ხანი მოღვაწეობდა და 50-მდე იტალიური და ამერიკული ფილმის შექმნაში პენრი 60-მონაწილეობა მიღებული, მათ შორისაა ცნობილი „ბენ კური“.

იანი წლების დასაწყისში იტალიური კინო კრიზისს განიცდიდა, მაშინ შესთავაზა ლეონემ რამდენიმე კინოკომპანიას მიემართათ ხრიკისათვის – გაეკეთებინათ არა მარტო ვესთერნის ასლი, არამედ გაესაღებინათ ფილმი ამერიკულად. სულ მაღლე გამოჩნდა ფილმი „ერთი მუჭა დოლარი“, რომლის სიუჟეტი ნასესხები იყო აკირა კუროსავას სამურაული ფილმიდან „იოჯიმბო“ - „მცველი“, მაგრამ რეჟისორს დაავიწყდა სავტორო უფლებათა შესყიდვა კუროსავასაგან, რაც შემდგომში დავის საგნად იქცა. თავიდან ლეონე თითქოს არაფერს იმჩნევდა, მიუხედავად იმისა რომ კუროსავამ იგი პლაგიატში დაადანაშაულა, თანაც მართებულად. ლეონე მოეთათბირა იურისტებს და კუროსავას იქით დასდო ბრალი – ვითომდა მან ისესხა სიუჟეტი კარლი გოლდონის პიესებიდან („ორი ბატონის მსახური“, არლეკინის თემა). ბოლოს და ბოლოს კუროსავა და ლეონეს მხარეები შეთანხმდნენ: ფილმის დისტრიბუცია იაპონიაში, ტაივანზე და სამხრეთ კორეაში ეძღვოდა იაპონურ მხარეს, ასევე მსოფლიო გაქირავებიდან შემოსავლის 15 პროცენტი. კუროსავამ ამ საქმიდან ბევრად უფრო მეტი ფული იშოვა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა მისმა ფილმმა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ როგორც ამბობენ, ორივე ფილმიდან რაღაც პროცენტი კარლო გოლდონის შთამომავლებსაც ერგოთ.<sup>3</sup> ზოგიერთმა ამერიკელმა კრიტიკოსმა იოჯიმბო შედევრად აღიარა, ხოლო ლეონეს ფილმს კა პოპ ვესთერნი შეარქვა.<sup>4</sup>

ფილმის ტიტრებში არც ერთი იტალიური გვარი არ იყო, თვითონ რეჟისორი ბობ რობერტსონის ფსევდონიმის ქვეშ დაიმალა, ფილმის კომპოზიტორი, ლეონეს კლასელი ენიო მორიკონე კი დენ სავიო გახდა. უდავოა, რომ მის ემოციონალურად დაჭირებულ და გულშიჩამწვდომ მუსიკას ფილმის წარმატება ბევრად უნდა უმაღლოდეს. ფილმის ბიუჯეტი სულ 200 ათასს დოლარს შეადგნდა და ამიტომ მთავარ როლებზე მიწვეულნი იყვნენ ნაკლებად ცნობილი მსახიობები – მომავალი სუპერვარსკვლავი ამერიკლი ქლინთ ისთვუდი და იტალიელი ჯან მარია კოლონტე.

ფილმმა გამოსვლისთანავე დიდი აღიარება და დიდი შემოსავალი მოიპოვა და ლეონემ მაშინვე გადაინაცვლა იტალიური კნოს ელიტაში. „ერთი მუჭა დოლარს“ მოპყვა „რამოდენიმე დოლარით მეტი“ და „კარგი, ცუდი და ბოროტი“. ამ ფილმებს დოლარის ტრილოგია შეარქვეს.

ლეონეს ვესთერნებში თითქოს ახალი არაფერი მომზდარა. მოქმედება ისევ „ველური“ დასავლეთის ტიპურ პატარა ქალაქებში ხდებოდა, მთავარი პერსონაჟებიც შესატყვისად ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ, მაგრამ კლიშედ ქცეულ ტრადიციულ გარემოში მყოფი გმირების მოქმედება ცდებოდა ვესთერნის დაკანონებულ ჩარჩოებს. ლეონეს მიერ წაჩვენები დასავლეთი არ იყო ის დასავლეთი, რომელზეც გაიზარდა ამერიკელთა რამდენიმე თაობა – ეს იყო ზედმეტად სასტიკი სამყარო, ერთდროულად რეალური და სიურეალისტური თავისი გაბოლილი სალონებით, ჭუჭყაინი ქუჩებითა და არც თუ ისე სიმპათიური მცხოვრებლებით. აღსანიშნავია, რომ ტრილოგიის მეორე ნაწილში ჯან მარია ვოლონტეს მიერ განსახიერებული ინდიო კინოს ისტორიაში პირველი უარყოფითი გმირი იყო, რომელიც მარისუანას ეწეოდა. კლასიკური ვესთერნის გმირებისაგან განსხვავებით ლეონეს გმირებს ხშირად გაუგებარ მიზეზთა გამო გაწყვეტილი აქვთ კავშირი საზოგადოებასთან და თუ ვინმესთან კონტაქტში შედიან ისიც მხოლოდ ანგარებით და თავისი პირადი საქმის სასარგებლოდ. სერჯიო ლეონემ უგულებელყო ვესთერნის ძირითადი კანონი, როცა მთავარი გმირი აუცილებლად სიმართლისათვის თავგამოდებული მებრძოლია და ის აუცილებლად იმარჯვებს. კუროსავას „მცველში“ და შესაბამისად ლეონეს რიმეიქში ტრადიციული ვესთერნისაგან განსხვავებით დადებითი გმირი არ არსებობს, იქ მხოლოდ ანტიგმირები მოქმედებენ. ნორმალური გმირები ეს მხოლოდ მსხვერპლია მაგალითად მოტაცებული ქალის სახით.

გრძელი პლანები, ავის მომასწავებელი ლანდშაფტები და იმ დროისათვის მოულოდნელი ძალადობა ლეონეს სავიზიტო ბარათად იქცა და შემდგომში მეტ-ნაკლები წარმატებით ტირაჟირებულ იქნა მთელ მსოფლიოში. სერჯიო ლეონემ თავის ფილმებში ერთი ორად გაზარდა მკვლელობათა რიცხვი, მკვლელობა იქ საშუალოდ ყოველ ათ წუთში ხდებოდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ ლეონე არ იყო დამოკიდებული არანაირ აკრძალვებზე. ეს ყველასათვის უცნობი იტალიელი აკეთებდა იმას, რასაც ბევრ ამტრიკელ რეჟისორს, პეისის კოდექსის ანუ ცენზურული შეზღუდვების გამო, ეშინოდა გაეკეთებინა ვესთერნში. ლეონემ დაამკვიდრა პერსონაჟების ძალზე მსხვილი ხედები. ეს არ იყო ტრადიციული მსხვილი ხედი, რომელიც რაიმე რეაქციას გადმოსცემდა, არამედ ეს იყო სერია პორტრეტებისა: ანდალუზიელი ბოშების სახეები, ნაიარევსახიანი იტალიელი მსახიობები,

რომლებიც თითქმის არ გამოხატავდნენ ემოციებს, მაგრამ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდნენ აუდიტორიაზე. მას აგრეთვე უყვარდა თვალების მსხვილი ხედი, რითაც იგი ცდილობდა აეხსნა პერსონაჟის საიდუმლოება. ეს მსხვილი ხედები უფრო ეზენშტეინის გავლენა იყო (სახეები, როგორც ტიპაჟები), ვიდრე პოლივუდისა. ისთვუდი ამბობდა: „ლეონეს ისევე როგორც ფელინის და სხვა იტალიელ რეჟისორებს სჯეროდა, რომ ადამიანის სახე ნიშნავს ყველაფერს. ბევრ შემთხვევაში სჯობს გყავდეს პერსონაჟი, რომელსაც მეტყველი სახე აქვს, ვიდრე კარგი მსახიობი.“<sup>4</sup> თვალებით მანიპულირება განსაკუთრებით შთამბეჭდვავია „კარგი, ცუდი, ბოროტის“ ფინალურ დუელში: ტუკოს ვირთხის თვალები აქვს, მოუსვენარი და ამავე დროს ფრთხილი. ბლობიდის, საკუთარ ძალებში დარწმუნებული, გაწონასწორებული ადამიანის, სენტენცას ცივი და ეჭვიანი თვალები აქვს.

ამერიკელმა კრიტიკოსებმა მაშინათვე გაილაშქრეს ლეონეს წინააღმდევ იმ საფუძველზე რომ თითქოს, მისი ვესთერნები სიმართლეს არ შეესატყვისება, რომ ეს ყალბია, მართლაც ამერიკელი ვესთერნი საზრდოობდა ნამდვილი ისტორიებით, ხალხური ფოლკლორითა და ადამიანური მებსიერებით, რომელიც შემდეგ მითად გარდაიქმნა. იტალიაში, სადაც არ იყო ველური დასავლეთი, არ იყვნენ ქაუბოები და ინდიელები, სპაგეტი-ვესთერნები წარმოიშვა ამ პოლივუდური მითისგან, რომელიც თვითონვე ლეგენდებს ყერდობა. მაგრამ აღმოჩნდა რომ იტალიელმა სერჯიო ლეონემ უფრო მეტი იცოდა ველური დასავლეთის, ვესთერნისა და საერთოდ, ამერიკის ისტორიის შესახებ, ვიდრე ბევრმა მისმა ამერიკელმა კოლეგამ. „რეალური დასავლეთი, – ამბობდა რეჟისორი, – იყო ძალადობის, შიშისა და ველური ინსტინქტების სამყარო... თუ ვინმე ცდილობდა ყოფილიყო კეთილშობილი, რისიც მე არ მჯერა, იგი მაშინვე სასაფლაოზე ამოჰკიდებული თავს იქამდე, სანამ რაიმე გმირულ საქციელს ჩაიდენდა.“<sup>6</sup>

დოლარების ე. წ. ტრილოგიამ გამოიწვია ნამდვილი ბუმი ასეთი ტიპის ფილმებზე მთელს მსოფლიოში: 1965 წლიდან 1975 წლამდე ევროპაში გადაიღეს დაახლოებით 600 ვესთერნი. უმეტესწილად ეს იყო ნიპოლისტური და სისხლიანი ფილმები. თუ კუროსავას „მცველმა“ დასაბამი დაუდო სისხლიან სცენებს სამურაულ ფილმებში, სერჯიო ლეონეს ფილმებმა მოამზადეს საფუძველი, რათა ამერიკულ კინოეკრანებზე სულ სხვაგვარი – სისხლითა და ძალადობით ფილმები

გამოჩენილიყო, განსაკუთრებით ეს ეხება ცნობილი ამერიკული რეჟისორის სემ ფექინფას, იგივე „სისხლიანი სემის“ ვესოერნებს.

მსახიობი ჩარლოთონ ჰესონი ამბობდა: „ლეონეს ფილმები კარგია, მაგრამ არა მგონია ქლინთ ისთვუდისა და სხვა იმ ბიჭების გარეშე რაიმე კარგი გამოსულიყო (იმ ბიჭებში კი იგულისხმება ამერიკულები: ლი ვან ქლიფი, ჯეისონ რობარდსი, ჩარლზ ბრონსონი, ვუდი სტროუდი, ილაი უოლაქი, ჰენრი ფონდა და ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი). მაგრამ ჰესონმა რომელმაც სემ ფექინფას „მაიორ დანდიშ“ ითამაშა, ასევე აღნიშნა რომ ლეონებ შექმნა ის კლიმატი, რომელმაც შესაძლებელი გახადა 60-იან წლებში რეჟისორ სემ ფექინფას ფილმები გამოჩენილიყო.<sup>7</sup> საინტერესოა, რომ როდესაც ფექინფა იღებდა თავის შედეგრს „ველურ ბანდას“ პროდიუსერმა მას სტოვა გაეთვალისწინებინა ცენზორების მოთხოვნები, რათა ეკრანზე ყოფილიყო ნაკლები სისხლისღვრა და ძალადობა. მან შესთავაზა იმ ჰერიონის ფილმების ნახვა და პირველ რიგში სერჯიო ლეონეს დოლარის ტრილოგია. მომავალში უკვე სემ ფექინფას ფილმებმა, მისმა განუმეორებელმა სტილისტიკამ უბიძგა, რათა გახსნილიყო „სისხლიანი კარიბჭე“, რომლიდანაც სისხლდენა დღემდე არ შეჩერებულა“.<sup>8</sup>

მოგვიანებით ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ლეონეს ფილმები, – ეს არის ყველა აქამდე გაკეთებული ვესოერნის ანთოლოგია დამატებებითა და შესწორებებით. ტრილოგიის მესამე ნაწილის გმირის, ტუკო ბენედიქტო პასიფიქი ხუნ მარია რამირესის მსგავსად, სხვადასხვა რევოლვერის ნაწილებიდან რომ ააწყო იდეალური იარაღი, ასევე ლეონემაც თითქმის ყველა ცნობილი ამერიკული ვესოერნიდან ისესხა, ან თუ გნებავთ, მოიპარა ეპიზოდი თუ მოტივი, თავისებურად გადახარშა ის და ახლებური სახით მიაწოდა მაყურებელს. ეს ყველაფერი მოხდა ქვენტინ ტარნტინომდე ბეკრად უფრო ადრე და უნდა ითქვას, ბევრად უფრო ნიჭიერად. 60-იანი წლების ბოლოს მილანის კინოფესტივალზე ყოფინისას ლეონე პირველად შეხვდა ვესოერნების განთქმულ რეჟისორს ბად ბეთიქერს, შენიშნა თუ არა ბეთიქერი, ლეონე მისკენ ყვირილით გაემართა: „ბად! ბად! მე შენგან ყველაფერი მოვიპარე!“<sup>9</sup>

1968 წლს ლეონემ შექმნა კრიტიკოსებისა და თაყვანისმცემლების მიერ ყველა დროის ყველაზე ცნობილ ვესოერნად შერაცხული „ერთხელ დასავლეთში“. ფილმის დასაწყისში ლეონეს ჩაფიქრებული

ჰქონდა დოლარის ტრილოგიის ყველა მთავარი გმირის მოკვლა ჩარლზ ბრონსონის ხელით, ილაი უოლაქი და ლი ვან კლიფი დათანხმდნენ, მაგრამ ქლინთ ისთვუდმა უარი განაცხადა და ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. ფილმს უზარმაზარი წარმატება ჰქონდა, პარიზის ერთ კინოთეატრში ის ოთხი წლის განმავლობაში გადიოდა, მაგრამ ამერიკაში ფილმი ჩაკარდა და ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ ამერიკულმა აუდიტორიამ ვერ მიიღო ნაციონალური გმირი ჰენრი ფონდა სასტიკი მკვლელის როლში. მხოლოდ რამოდენიმე წლის შემდეგ იქცა „ერთხელ დასავლეთში“ საკულტო ფილმად, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორებისთვის კი შთაგონების წყაროდ: ცუი პარკის „ერთხელ ჩინუთში“, რობერთ როდრიგესის „ერთხელ მექსიკაში“... ლეონეს ფილმის ციტატები მრავალჯერ იქნა გამოყენებული სხვადასხვა ფილმებში, განსკუთრებით კი შემდეგი გამონათქვამები: „თუ ისვრი, ისროლე, ნუ ლაყბობ!“ ან „მსოფლიოში ორი სხვადასხვა ტიპის ხალხია არსებობს, ჩემი მეტობარო, ვისაც დატენილი იარაღი აქვს და ვინც მიწას თხრის. შენ თხრი!“

სერჯიო ლეონემ თავისი რამოდენიმე ფილმით უმდიდრესი მეტკვიდრეობა დატოვა. მისი კინოგმირები ისევე ადვილად საცნობები არიან როგორც ჯანეთ ლი „ფსიქოდა“, ან მარჩელო მასტროიანი და ანიტა ეპბერგი „ტებილი ცხოვრებიდან“ ან კიდევ თონი ქერტისი და ჯეკ ლემონი ფილმიდან „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“, ასეთი რამის შექმნა კი მხოლოდ გენიოსებს შეუძლიათ.

<sup>1</sup>Henry Fonda, My Life (Dutton Adult, 1981) p.328;

<sup>2</sup><http://www.rioleo.org/spaghetti-and-macaroni-westerns.php>;

<sup>3</sup>Christopher Frayling, Sergio Leone Something to Do With Death (Faber & Faber, 2000), pp.148-149;

<sup>4</sup>Minty Clinch, Clint Eastwood a Biography (Hodder&Stoughton, 1994), p. 50;


<sup>5</sup>Christopher Frayling, Sergio Leone Something to Do With Death (Faber & Faber, 2000), p.127;

<sup>6</sup>Ibid, p.306;

<sup>7</sup>Ibid, p.75;

<sup>8</sup>Stephen Prince, Savage Cinema Sam Peckinpah and the Rise of Ultraviolent Movies (University of Texas Press, 1998), p.229;

<sup>9</sup>Christopher Frayling, Sergio Leone Something to Do With Death (Faber & Faber, 2000), p.328.



## ტელევიზიის ახლო ნათესავები

ტელევიზია, ეს სიტყვა ალბათ ყველაზე ხშირად გვხვდება სალაპარაკო მეტყველებაში. ძნელია, თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი დღის გამოყოფა, როდესაც მან ერთხელ მაინც არ ახსენა სიტყვა ტელევიზია, ან ტელევიზორი. ამ მართკუთხა ფორმის აპარატმა ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიმკიდრა და, ვთქმული, სამუდამოდაც. რამ განაპირობა ადამიანების ასეთი სიყვარული და „ერთგულება“ ტელევიზორის მიმართ?

მარტივი განმარტებით, ტელევიზია არის მასობრივი კომუნიკაციის საშუალება, მედიის ერთ-ერთი ნაწილი, ინფორმაციის გადაცემისა და მიღების საშუალება, სადაც მირითადად მოღვაწეობენ ჟურნალისტები და საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს სხვადასხვა გადაცემისა თუ პროგრამის საშუალებით, აუდიო, ვიზუალური ტექნიკის გამოყენებით აწვდიან მაყურებელს. მაგრამ ტელევიზია მხოლოდ ეს არ არის. ინფორმაცია მოსახლეობას მედიის სხვა საშუალებებითაც მიეწოდება: პრესა, რადიო, ინტერნეტი. ტელევიზია ადამიანებისთვის ცხოვრების მასწავლებლად, მათი ცხოვრების თანამგზავრად იქცა. ტელევიზორის წინ ადამიანები ტირიან, იცინიან, განიცდიან, ერთობიან, სწავლობენ. ტელევიზორს ადამიანები ესაუბრებიან, ეჩხუბებიან. ტელევიზორში გამოჩენილი ადამიანები უყვარდებათ, თაყვანს სცემენ ან პირიქით. სახლიდან გაუსვლელად ადამიანები იგებენ რა ხდება მის ქვეყანაშიც და მთელს მსოფლიოშიც, უფრო მეტიც, მთელს დედამიწაზე და კოსმოსშიც კი.

ტელევიზორმა ადამიანებს შეუმსუბუქა ყველაზე დიდი სენი – მარტობა და ამით გამოწვეული დეპრესია. ეს ის არასრული ჩამონათვალია, რატომაც ადამიანებს უყვართ ტელევიზორი, რატომაც ის იქცა ადამიანების ოჯახების წევრად, თუმცა არის მეორე, მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც ამ ურთიერთკავშირის ნეგატიურ მხარეებს შეეხება - ტელევიზორი იქცა ადამიანთა ცხოვრების ერთგარ მანიპულატორად. მან ადამიანები დააშორა ერთმანეთს, ლიტერატურას, თეატრს, საგამოფენო და საკონცერტო დარბაზებს. ტელევიზორმა გადააჩვია ისინი ცხოვრების უშუალოდ შეგრძნების უნარს და მიაჩვია სამყაროსთან ვირტუალურ ურთიერთობებს.

ტელევიზორმა მონუსხა და მოაჯადოვა საზოგადოება, დაუმკვიდრა ახალი იდეალები, უარი ათქმევინა საუკუნეებით აღიარებულ ფასეულობებზე. ტელევიზორმა შეაგუა საზოგადოება ძალადობას, სისხლს, მრუშობას, თაღლითობასაც კი. ტელევიზორმა დარაზმა და წარმართა საზოგადოება ომებისკენ, რევოლუციებისკენ და ა. შ. ასე რომ, ტელევიზორი ის ყუთია, რომელშიც ერთად ცხოვრობს კეთილიც და ბოროტიც, ჯანმრთელიც და ავადმყოფიც, მშვენიერიც და მახინჯიც და ჩვენს არჩევანზე დამოკიდებული, რომელი ძალა იქნება ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი, ჩვენი გაცნობიერებული და გაუაზრებელი არჩევანი.

ტელევიზია კინოს უფროსი შვილია. ისიც მასობრივი აუდიტორიისთვისა განკუთხნილი, ისიც ეკრანისთვის დამსხასათებელი ენით საუბრობს. ეს არის მოძრავი გამოსახულებების ენა, რომელსაც ერწყმის სიტყვა, მუსიკა, ხმა.

ტელევიზიამ კინოსგან შეიძინა და შემდეგ განავითარა რეალობაში მიმდინარე ამბების ეკრანზე გადატანის ტექნიკური საშუალებებიც. ტელევიზიაც, ისევე, როგორც კინემატოგრაფი, ორგანზომილებიან ეკრანს იყენებს საკუთარი პროდუქციის დემონსტრირებისთვის. სატელევიზიო ეკრანის არსებობა, ისე, როგორც კინოეკრანისა, შესაძლებლობას აძლევს ამ ტიპის პროდუქციის შემქმნელებს განსაზღვრონ სივრცე, რომლის ჩვენებასაც ისინი აპირებენ.

გამოსახულების ფიქსაციისთვის ანდა გადაცემისთვის ტელევიზიაც, ისევე როგორც კინო, იყენებს კამერას. ერთ შემთხვევაში ეს არის კინოკამერა, მეორე შემთხვევაში კი ტელეკამერა ან ვიდეოკამერა. სატელევიზიო კამერაც და კინოკამერაც გამოსახულების ფიქსაციის პრინციპით, საწყისს ფოტოგრაფიისგან იღებენ. ასე რომ, ტელევიზიის არც თუ შორეული ნათესავი ფოტოგრაფიაცაა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ კინოსა და ტელევიზიის გამოსახულებებიც, ერთგარად, გარკვეული სიჩქარით ამოძრავებული ფიქსირებული ფოტოგრადრებია. კინემატოგრაფი ფიქსაციისთვის იყენებს კინოფირს, ხოლო ტელევიზია ვიდეოფირს. ამ ორ ფირს მორის არის განსხვავება, მაგრამ მათზე ფიქსაციის პროცესი თავისი არსით ერთმანეთის მსგავსია. ფოტოგრაფიასთან ნათესაობა ტელევიზიას უფრო დაეტყო, ვიდრე კინემატოგრაფის. რადგან ტელევიზია ხშირად იყენებს ე.წ. სტოპ-კადრს, ანუ უმოძრაო, ფიქსირებულ გამოსახულებას, რომელიც ძალიან წააგავს ფოტოსურათს. ამგვარი სატელევიზიო

სურათებით ანუ სტოპ-კადრებით ხშირად არის დატვირთული სხვადასხვა სახის სატელევიზიო გადაცემები და ისინი მათი ავტორების მხატვრულ-შემოქმედებითი ნააზრევის გადმოცემას ემსახურებიან.

კინო განსხვავებულ უანრებს მოიცავს, მხატვრულს, დოკუმენტურს, ანიმაციურს და ა. შ., მაგრამ, ნებისმიერი უანრი, ბუნებრივია, მხატვრული შემოქმედების კანონებს ემორჩილება, სადაც უმთავრესია არსებული ან ლიტერატორის მიერ შეთხზული რეალობის კინემატოგრაფიული გაზრება, ახალი რეალობის შექმნა. ეს ყოველივე კი, უპირველეს ყოვლისა, მონტაჟის საშუალებით მიღწევა. დაუმონტაჟებელი, ქრონიკალური კინო ძალიან ახლოს დგას ტელევიზიის საინფორმაციო უანრის ნაწარმოებებთან, რადგან ის ყოველგვარი ჩარევის გარეშე აფიქსირებს არსებულ რეალობას. მხატვრულ და დოკუმენტურ კინოში კი მისი ავტორი, რეჟისორი, თავად არჩევს მოვლენათა რიგს, თავად თხზავს ამ მოვლენების საფუძველზე ახალ მხატვრულ ნაწარმოებს, რასაც კინომოწაჟში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მონტაჟი არის ის ტექნიკური და მხატვრულ-შემოქმედებითი არსენალი, რაც ტელევიზიას კინემატოგრაფიან კიდევ ერთხელ ამსგავსებს. მონტაჟის ხელოვნებას იყენებს ტელევიზიაც. მონტაჟი გამოიყენება ყველა სახის სატელევიზიო უანრის გადაცემაში. მონტაჟი ანიჭებს ტელევიზიასაც შემოქმედებით თვისებებს, რადგან სწორედ მონტაჟის დროს, ტელენაწარმოების ავტორიც საკუთარ, სუბიექტურ პრიზმაში გარდატენს მოვლენათა რიგს და ისე ქმნის ახალ ნაწარმოებს, რომლის დემოსტრირებასაც ახდენს მაყურებლის წინაშე. მონტაჟს განსაკუთრებული და განსხვავებული სახე გააჩნია სხვადასხვა სახის სატელევიზიო პროდუქციაში. საინფორმაციო რეპორტაჟის ან სიუჟეტის მონტაჟი განსხვავდება სატელევიზიო გადაცემის ან ფილმის მონტაჟისგან, მაგრამ ორივე შემთხვევაში ის ავტორის ინდივიდუალობას წარმოაჩენს, მის შემოქმედებით ბუნებას აჩვენებს მაყურებელს.

კინოხელოვნებისგან განსხვავებით ტელევიზია არა მხოლოდ აფიქსირებს გამოსახულებას, არამედ მას შეუძლია ყოველგვარი ფიქსაციის გარეშე, პირდაპირ ეთერში გადასცეს მოვლენა მისი მიმდინარეობის პარალელურად. ანუ, ისარგებლოს ცოცხალი, იგივე ღია ეთერის პრინციპით. ამგვარი რამ არ შეუძლია არც კინოს და არც ფოტოგრაფიას. მაყურებლის მოქმედებაზე უშუალო დაკვირვების

პრინციპი ტელევიზიას ხელოვნების სხვა დარგთან, თეატრთან ანათესავებს.

თეატრი უნიკალური ხელოვნებაა, ის გარკვეულ დროში და გარკვეულ სივრცეში არსებობს და მისი ცხოვრებაც დროითაა განსაზღვრული. რაც უნდა ხანგრძლივი იყოს სათეატრო ნაწარმოების სცენური ცხოვრება, ის ადრე თუ გვიან მაინც დასრულდება. განსხვავებით ხელოვნების სხვა დარგებისგან, რომლებიც ფიქსირებულ ხელოვნებას წარმოადგენ და არსებობენ საუკუნეების მანძილზეც კი. სწორედ ეს უნიკალური თვისება აახლოებს თეატრს ტელევიზიასთან. ტელევიზიაშიც, ისე როგორც თეატრში, პირდაპირი ეთერის მიმდინარეობის დროს გადაცემული გამოსახულება არსებობს გარკვეულ დროში და თუ არ მოხდა მისი გადეოფირზე ჩაწერა, ქრება წარმოშობისთანავე. უფრო მეტიც, ტელევიზიაში პირდაპირ ეთერში გადაცემული ესა თუ ის მოვლენა, ჩაწერის და გარკვეული დროს მერე მისი დემონსტრირების შემდეგ, კარგავს იმ მნიშვნელოვან ემოციურ მუხტს, რომელიც ახლავს პირდაპირ ტრანსლირებას. ასევე ჩანაწერის შემდეგ ხშირად იკარგება მოვლენის აქტუალობაც და მისი ფუნქციონალური მნიშვნელობაც.

სათეატრო ხელოვნებასთან ტელევიზიას ანათესავებს არა მხოლოდ მოვლენის მიმდინარეობისადმი მაყურებლის პარალელურ რეჟიმში დაკვირვების შესაძლებლობა. ამ ორ დარგს ერთმანეთთან სხვა მნიშვნელოვანი მომენტებიც აახლოებს. პირველ ყოვლისა, ეს არის ის უმთავრესი პრინციპი, რასაც ეფუძნება თეატრიც და ტელევიზიაც – დიალოგი და მონოლოგი. თეატრში მაყურებელი უყურებს დიალოგებით და მონოლოგებით წარმოდგენილ ქმედებას. შესახიობები სცენაზე ან ერთმანეთს ესაუბრებიან, ან მაყურებელს. უპირველესად, ამ საუბარშია გადმოცემული სპექტაკლის მთავარი აზრი და სათქმელი. დრომატურგიც მირითადად შხოლოდ დიალოგებს და მონოლოგებს წერს სცენისთვის და სულაც რომ არ იყოს დრამატურგიულ ტექსტში რეჟისორის აქტიური ჩარევა, სხვადასხვა სახის დინამიკური ქმედება, სათეატრო ხელოვნება მაინც იარსებებს. ასეთი სახის სპექტაკლები მრავლად გვხვდება თანამედროვე თეატრშიც კი.

ასეა ტელევიზიაშიც. ეკრანზე ძირითადად მაყურებელი ხედავს ან ერთი უურნალისტის, წამყვანის მონოლოგს, მიმართულს მაყურებლისადმი, ან გადაცემებში მონაწილე სხვადასხვა ადამიანებს შორის დიალოგს. ეს მონოლოგიც და დიალოგიც დრამატურგიის

კანონებს ექვემდებარება და ტელედრამატურგიის განსაკუთრებულ ჟანრს წარმოადგენს.

დიალოგი, იგივე ინტერვიუ, საუბარი და მონოლოგი კადრში, რომელსაც წამყვანი ან რეპორტიორი აწარმოებს, აახლოებს თეატრს და ტელევიზიას ერთმანეთთან. მაგრამ არის კიდევ მნიშვნელოვანი საკითხი: დიალოგის და მონოლოგის წარმოთქმის ხასიათი. ისევე, როგორც თეატრში, ტელეეკრანზეც ადამიანები, რომლებიც მონოლოგებსა და დიალოგებს წარმოთქმავნ განსაკუთრებული თვისებით უნდა იყვნენ დაჯილდოებულნი. თეატრში ამას სჭირდება ნიჭიერი შესახიობები, ეკრანზე – ნიჭიერი უურნალისტები. ისე როგორც თეატრში, ტელევიზიაშიც ადამიანები, რომლებიც უძლვებიან ინტერვიუებს, ან მუშაობენ ეკრანზე დამოუკიდებლად, წარმოთქმავნ ტექსტებს, განსაკუთრებული არტისტული თვისებებით უნდა ხასიათდებოდნენ. მათ უნდა შეძლონ მაყურებლის ყურადღების დაპყრობა, უნდა გამოცყონ ტექსტიდან მნიშვნელოვანი მომენტები, უნდა გააკეთონ სწორი აქცენტები, ემოციურად უნდა დამუხტონ მაყურებელი, იმოქმედონ მის გონიერასა და გრძნობაზე. ტექსტის გააზრებულად, ემოციურად სწორად წარმოთქმა, სადაც აქცენტები კეთდება მისი შინაარსის განსაკუთრებულ მომენტებზე, აახლოებს ტელევიზიის კადრში მომუშავე უურნალისტებისა და თეატრის შესახიობების პროფესიულ თვისებებს ერთმანეთთან.

თეატრისადმი ტელევიზიის მსგავსება კიდევ ერთ ასპექტში კლინდება – ეს არის სცენის განუყოფელი ატრიბუტიკა: კოსტიუმი, გრიმი, დეკორაცია. ტელევიზიაშიც საჭიროა გამომსვლელთათვის სპეციალური გრიმის, სპეციალური კოსტიუმების შერჩევა და, რაც მთავარია, სტუდიური პავილიონების საეცავალური დეკორაციით გაწყობა. ეს თვისებები ჯერ კინემატოგრაფმა შეიძინა თეატრისგან, ხოლო შემდგომ, ტელევიზიამ. მაგრამ, ყველაზე მთავარი, რაც ტელევიზიას თეატრთან აახლოებს მაყურებელია, რომელიც, იმავდროულად, მათ ერთმანეთისგანაც განასხვავებს. მსგავსება ტელეგამურებელსა და თეატრის მაყურებელს შორის ის არის, რომ ისინი რეალურ დროში უყურებენ მიმდინარე ქმედებას. ასევე ქმედების პარალელურად იგებენ მოვლენების არსეს, რეაგირებენ მასზე უშუალოდ მიმდინარეობის პროცესშიც და, რაც მთავარია, შეუძლიათ მოვლენებთან უკუკაშირიც. მაგალითად, სათეატრო წარმოდგენის მიმდინარეობის დროს, მაყურებელი საკუთარ დამოკიდებულებას გამოსატავს ტაშით,

შეძახილით, ოვაციით. ანუ, სცენაზე მყოფნი ხვდებიან, თუ რამდენად მისაღები ან მიუღებელია მაყურებლისთვის ის, რასაც ისინი წარმოადგენენ. ტელევიზიაში არსებობს ეკრანთან ინტერაქციის საშუალება. ანუ მაყურებელს დღეს უკვე შეუძლია პირდაპირი ეთერის მიმდინარეობის დროს, დაუკავშირდეს სტუდიას, გადაცემის წამყვანს ან სტუმრებს და გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები, საკუთარი შეხედულებები.

სათეატრო მაყურებელი კიდევ ერთ რამეში ჰგავს ტელემაყურებელს – თეატრის მაყურებელი თავად ირჩევს წარმოდგენას. მრავალი თეატრის განსხვავებული შინაარსის მქონე რეპერტუარისგან, ის თავად ირჩევს რომელს ეწვიოს და რა ნახოს. ტელემაყურებელიც თავად ირჩევს იმ გადაცემას, რომლის ხილვაც სურს. მაგრამ აქვეა ამ ორი ტიპის მაყურებლის მთავარი განმასხვავებელი ნიშნებიც. თეატრის მაყურებელს არ აქვს საშუალება, იმ შემთხვევაში თუ მას არ მოსწონს წარმოდგენა, უცებ გადაერთოს სხვა თეატრის წარმოდგენაზე. ყველაზე მეტი რაც მას შეუძლია, შეწყვიტოს წარმოდგენის ყურება და დატოვოს დარბაზი. ტელემაყურებელს კი, იმ შემთხვევაში, თუ არ მოსწონს გადაცემა, „ჯაღისნური“ პულტის საშუალებით, მყისიერად შეუძლია გადართოს სხვა არხზე და განაგრძოს ტელევიზორთან ურთიერთობა.

ამას გარდა, არის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი, განმასხვავებელი ნიშანი ტელემაყურებელსა და სათეატრო მაყურებელს შორის – ეს არის ის გარემო, სივრცე, სადაც ადამიანები აკვირდებიან მოვლენებს. თეატრში ხდება მოვლენის კოლექტიური ყურება. მაყურებელთა დარბაზი ბევრ ადამიანს იტევს, აქ ადამიანები სპეციალურად მიდიან, გამორჩეულად იმოსებიან. ტელემაყურებელი კი არის სახლში – ან ზის, ან წევს, ან დგას, ან გადაადგილდება და ისე უყურებს მოქმედებას. ოჯახური გარემო მას არ ავალდებულებს განსაკუთრებულად მოემზადოს მოქმედების საყურებლად. ის საკუთარ სახლშია და საკუთარ „ოჯახის“ წევრთან – ტელევიზორთან ურთიერთობას.

თეატრისა და ტელევიზიის განსხვავდება არა მხოლოდ მისი ყურების თავისებურებაშია, არამედ სახილველ ობიექტზე დაკვირვების რაკურსშიც. სათეატრო დარბაზში მსხდომი მაყურებელი უყურებს სცენას, სადაც მიმდინარეობს ქმედება, ის უყურებს სცენას ერთი კონკრეტული რაკურსით და თავად ირჩევს სცენის რომელ ნაწილს, ქმედებაში მონაწილე რომელ ადამიანს ადევნოს თვალი. შესაძლოა,

მას სურდეს უმზიროს არა იმ ადამიანს, ვინც საუბრობს, არამედ იმას, ვინც უსმენს.

სათეატრო ნაწარმოების, სპექტაკლის ავტორი, რეჟისორი მხოლოდ მიანიშნებს მაყურებელს, აწვდის ორიენტირს, განსაკუთრებული მიზანსცენებით წარმართავს მის მხედველობას ამა თუ იმ ქმედებისკენ, მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც მაყურებელზეა, რომელიც თავად წყვეტს რას უყუროს. ტელემაყურებელს ასეთი „ფუფუნება“ არ გააჩნია. მას არ აქვს არჩევანის ასეთი თავისუფლება, ის უყურებს ტელეეკრანზე იმას, რასაც კადრში სთავაზობს ოპერატორი და ტელეერეუსისორი. ამ შემთხვევაში, ტელემაყურებელი ემორჩილება იმ ადამიანების არჩევანს, ვინც ახორციელებს მოვლენის ტელეტრანსლირებას. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როდესაც მაყურებელი განაწყინებულა იმის გამო, რომ მოვლენები სრულად არ იყო ნაჩერები გადაცემაში. მაგრამ ტელემაყურებელს აქვს ერთი უპირატესობაც სათეატრო მაყურებელთან შედარებით, მას შეუძლია მოვლენა სხვადასხვა რაკურსში იხილოს. მაგალითად, თუ სცენაზე მსახიობების საუბარს მაყურებელი მხოლოდ ერთი რაკურსით ხედავს და მას არ შეუძლია ცალ-ცალკე, სხვადასხვა ხედით იხილოს მოსაუბრები, ტელეეკრანზე საუბარში მონაწილე ადამიანების ხილვა მას შეუძლია პირდაპირი, გვერდითი რაკურსებითაც, ზემოდანაც და ქვემოდანაც. ანუ ყოველი მხრიდან. ტელეგამოსახულების მრავალგამერიანი გადაცემის სტრუქტურა აძლევს მაყურებელს ამის შესაძლებლობას.

ასე რომ, როგორც ვხედავთ, ტელევიზია ბევრ რამეში ემსგავსება კინოსა და თეატრს, მაგრამ არის არსობრივი განმასხვავებელიც: ეს არის განსხვავებული საზოგადოებრივი ფუნქცია. ტელევიზიას უმთავრესად ახასიათებს სოციალური ფუნქცია, რომელიც უყრნალისტიკის საშუალებით ხორციელდება. თეატრი და კინო კი წმინდა ხელოვნებაა და უპირველესად საზოგადოებაზე ესთეტიკური ზემოქმედებითვისა გამიზნული. სწორედ სოციალური ფუნქცია და უყრნალისტური საფუძველი ანათესავებს ტელევიზიას რადიოსთან. ამდენად, ტელევიზიას მრავალი ახლო ნაოესავი ჰყავს – კინო, თეატრი და რადიო. დიალოგი, მონოლოგი, დეკლამაცია, აუდიტორიაზე პირდაპირი ზემოქმედების უნარი, როგორც უკვე ითქვა, ტელევიზიამ თეატრისგან შეიძინა. კადრირების პრინციპი, მონტაჟი, ოპერატორის მუშაობის სპეციფიკა და მთელი რიგი პროფესიები, მან კინოსგან

მიღლო. ადამიანების ოჯახებში შეღწევის უნარი, საყოველთაობა და ერთდროულობა კი რადიოსგან ისახსოვრა. ხოლო ბეჭდურმა მედიამ, ისე როგორც ელექტრონული მედიის ყველა სხვა საშუალებას, მასაც საზოგადოებრივი და სოციალური ფუნქცია შესძინა. სწორედ ტელევიზიამ დაუქვემდებარა ეკრანული ხელოვნება უურნალისტიკის კანონებს და შედეგად სრულიად ახალი, ორიგინალური სახე შესძინა. ამიტომ ტელევიზია ერთის მხრივ შემოქმედებაა, მეორეს მხრივ კი უურნალისტიკა, პუბლიცისტიკა. დღეს მნელია ზუსტად დადგენა ტელევიზიაში სად გადის ზღვარი ხელოვნებასა და უურნალისტიკას შორის, ამიტომ ტელევიზიის ფენომენს სწავლობენ როგორც ხელოვნების თეორეტიკოსები, ასევე სოციალური სფეროს მკვლევრები. უურნალისტი, რეჟისორი და ოპერატორი, — ეს ის ძირითადი პროფესიებია, რომლებიც ქმნიან ნებისმიერი სახის ტელენაწარმოებს. ტელერეჟისორისა და ტელეოპერატორის მიერ შემოქმედებითად გააზრებული უურნალისტური ტექსტი წარმოადგენს ტელეხელოვნების საფუძველს. მართალია, ტელევიზიაში კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი პროფესიაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე ტელევიზიის გაანალიზება, მაგრამ ეს ის სამკუთხედია, რომელსაც ეფუძნება ყველა სახის სატელევიზიო პროდუქცია.

1. МИХАЛКОВИЧ В. И. - О СУЩНОСТИ ТЕЛЕВИДЕНИЯ -

WWW.BIBLIOTEKA.TEATR-OBRAZ.RU;


2. А.М. РОХЛИН - ТАК РОЖДАЛОСЬ ДАЛЬНОВИДЕНИЕ -

WWW.TV.SUT.RU;

3. Н.А. ГОЛЯДКИН-КРАТКИЙ ОЧЕРК : СТАНОВЛЕНИЯ И РАЗВИТИЯ ОТЕЧЕСТВЕННОГО И ЗАРУБЕЖНОГО ТЕЛЕВИДЕНИЯ -

WWW.BIBLIOTEKA.TEATR-OBRAZ.RU.

## ხელოვნებათმცოდნეობა



## ნატო გენგიური

### პერსონიზიაციის XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ძალაპებაში

XIX საუკუნე ის პერიოდია, როცა ქართულ სინამდვილეში ევროპული ხელოვნების ფორმები შემოიყრა და სიახლისათვის თავადაც გახსნილმა საქართველომ ახალი კულტურული ნაკადის გათავისება-გადამუშავება დაიწყო. ის ინტენსიურად დაეწაფა ევროპიდან მომდინარე მხატვრულ ხერხებს და საკუთარი სათქმელის გამოსახატავად გამოიყენა. ამ პროცესის მაჩვენებელია XX საუკუნის პირველი ათეული წლების ქანდაკებები, რომელიც მხატვრულ-სტილისტური ფორმითაც და შინაარსის გადმოცემის ხერხებითაც ევროპულ ხელოვნებასთან ახლოს დგას. ჩვენ ამჯერად შევჩერდებით სათქმელის ვიზუალიზების ფორმაზე პერსონიფიკაციის მეშვეობით, რომელიც XX საუკუნის პირველი ათეული წლების ქანდაკებისთვის ნიშანდობლივი გახდა. აღნიშნული პერიოდის ქანდაკების ეს თვისება საგანგებოდ გამოკვლეული არ ყოფილა და ეს საკითხი წინამდებარე გამოკვლევის მთავარი თემა.

1901 წელს, კავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საიუბილეო გამოფენაზე, ერთ-ერთი უადრესი პერსონიფიცირებული ქანდაკების გამოჩნდა. ეს იყო მმები ნიბელების ამხანაგობის პავილიონი, რომელიც ი. ნიკოლაძემ ქანდაკებით გააფორმა. პავილიონის შესასვლელს ამშვენებდა ქალის ორი ფიგურა, რომლებიც მრეწველობისა და ვაჭრობის პერსონიფიცირებულ გამოსახულებებს წარმოადგენდნენ\*. პერსონიფიკაციები შესაბამისი ატრიბუტებით იყვნენ წარმოდგნილნი: მრეწველობა – ჩირალდნით ხელში, ხოლო ვაჭრობა – კალუცეუსით, პერმესის კვერთხით.

ამის შემდგომ რელიეფები პერსონიფიცირებული გამოსახულებებით სვადასხვა შენობის მორთულობაში გვხვდება. ამ ფონზე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიგნიჭით ისეთ ნაწარმოებებს, რომელიც წარმოგვიდგენენ საქართველოს პერსონიფიკაციას. მათი ისტორიული მნიშვნელობა სხვა ფაქტორებთან ერთად, განისაზღვრება იმითაც, რომ საქართველოს როგორც ქვეყნის პერსონიფიკაციის სახით გადმოცემა, ახალი მოვლენა იყო ქართულ ხელოვნებაში და

\*ეს ნამუშევრები არ შემორჩენილა, ცნობილია მხოლოდ ფოტოებით.

იქამდე მსგავსი მაგალითი არ გვქონია. საქართველოს პერსონიფიკაციები გვხვდება 1900-იანი წლების ქმნილებებში. ერთი მათგანია მარჯანიშვილის თეატრის საფასაღო რელიეფი და ბეორე - მონუმენტი ილია ჭავჭავაძის საფლავზე.

ცნობილია, რომ დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი აშენდა ზუბალაშვილებს დაკვთითა და დაფინანსებით 1902-1907 წლებში, როგორც „სახალხო სახლი“<sup>1</sup>. ის ჩაფიქრებული იყო საგამანათლებლო და კულტურულ-სახელოვნებო ცენტრიად. მის დამკეთებს შენობის სალისითვის გადაცემა პქნონდათ განზრახული, რაც შემდგომ განახორციელეს კიდევ. შენობის ფუნქციასთან კავშირშია მისი რელიეფი, რომელიც მთავარ ფასადს აგვირგვინებს. რელიეფში - „ევროპა და საქართველო“ ექვსი ქალის ფიგურა წარმოგვიდგება<sup>2</sup>. სამი მათგანი საქართველოს პერსონიფიკაციაა, სამი კი ევროპას განასახიერებს.

ილია ჭავჭავაძის საფლავის მემორიალი „მწუხარე საქართველო“ (მოქანდაკე - იაკობ ნიკოლაძე, არქიტექტურა – პეტრე მამრაძე) კიდევ ერთი ნიმუშია, სადაც საქართველო პერსონიფიკაციის სახით წარმოგვიდგება. ძეგლის დამკეთები იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც მონუმენტის დადგმა ეროვნული თანხებით განიზრახა. ცნობილია, რომ სხვადასხვა ქართულმა საზოგადოებებმა და კერძო პირებმა გაიღეს თანხა ამ საქმისათვის.<sup>3</sup> ი. ნიკოლაძის მოდელი 1908 წელს დამტკიცდა, ძეგლი დასრულდა რამდენიმე წელში და 1913 წლის მაისში ეკურთხა. საქართველო აქ ქალის სახეს ატარებს და არქიტექტურულ ფონზე წარმოგვიდგება.

მონუმენტის სახეს განსაზღვრავს ქანდაკებისა და არქიტექტურული ელემენტების მხატვრული ერთიანობა. აქ არა გვაქვს საქმე „ნამდვილ“ ნაგებობასთან, მისი რელიეფური გამოსახულებაა მოცემული. არქიტექტურა შუა საუკუნეების ეპლუსიათა ცალკეული ფორმებითა და დეტალებითაა ნასაზრდოები და სახასიათო სილუეტის კარიბჭეს განასახიერებს. კარში დგას მოსასამში გაზეული ქალი, ხელში დაფნის რტოთ. არქიტექტურული დეტალები, ჩუქურომები, დაფნის რტო – ყოველივე მოაზრებულია ქალის ფიგურის ატრიბუტებად. ატრიბუტი კი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში ცნობილი პერსონიფიცირებული გამოსახულებებისთვის საყოველთაოდ სახასიათო ელემენტია.

ქართული ნიმუშების შეფასებისა და მისი თავისებურებების განსაზღვრაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ევროპის ხელოვნებაში არსებულ ნიმუშებს და ქართულის მათთან მიმართების საკითხს.

## პერსონიფიკაციის ცნება და მისი ისტორია

საუკუნეების განმავლობაში ერთობულ ხელოვნებაში ჩამოყალიბდა ზოგადი ცნების პერსონიფიკაციით ვაზუალიზების როტული სისტემა. ხელოვნების ეს მხარე კარგად არის კიდევ შესწავლილი უცხოელი მეცნიერების მიერ.<sup>4</sup> პერსონიფიკაციის ცნებაც და მისი სხვადასხვა სახეები სათანადოდაა კლასიფიცირებული. იკონოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, „პერსონიფიკაცია არის ბუნებაში არსებული საგნების, ბუნების მოვლენების ან ძალების, ადამიანის მიერ შექმნილი საგნების, ასევე აპსტრაქტული იდეებისა და ცნებების ადამიანის, უფრო იშვიათად ცხოველების სხით წარმოდგენა.“<sup>5</sup> აქედან ცხოველები და მცენარეები უფრო სიბმბლოთა სფეროს განეცუთვნება და ხშირად მათი თვისტებიდან გამომდინარე, ახდენენ გარკვეული ცნებების პერსონიფიცირებას. მაგალითად, კურდღელი სწრაფად გამრავლების უნარის გამო, ნაყოფიერებას განასახიერებდა, ხოლო თვალგახელილი ძილის უნარის გამო – სიფხიზლეს. ლომი – ძლიერებას და მუჟებას და ა. შ.

ნამდვილ პერსონიფიკაციად კონვენციონალური ანუ ალეგორიული პერსონიფიკაცია ითვლება. ეს არის გარკვეული ატრიბუტებით ანუ პირობითი ნიშნებით გამოსაცნობი ადამიანის ფიგურა. ხელოვნებათმცოდნეობის სისტემაში, ღვთისმეტყველებისაგან განსხვავებით, პერსონიფიკაცია ალეგორიის ნაწილს წარმოადგენს.

არსებობს ე. წ. ისტორიული პერსონიფიკაციის ცნებაც. ის მოძინარეობს იმ წმინდანთა და ისტორიულ პირთაგან, რომელიც გარკვეულ რელიგიურ-ეთიკურ ცნებებს და საინიერებს უკავშირდებან. მაგალითად, წმ. პეტრე სინანულს და მონანიებას განასახიერებს; წმ. გიორგი – ქრისტიანულ რაინდობას, სიქველეს; ანტიკური ხანის, ე. ი. წარმართობის დროინდელ ცნობილ პიროვნებებს უკავშირებენ განსაკუთრებით ხელოვნების დარგებსა და მეცნიერებებს, სიქველეებსა და ცოდვებს. მაგალითად, ალექსანდრე მაკელონელი დადგებითი ნიშნით, როგორც ერთ-ერთი ცხრა კეთილ გმირთაგანი, უკავშირდება რაინდულ სიქველეს, უარყოფითით კი – როგორც უზენაესის წინააღმდეგ გალაშქრებული – განასახიერებს სიამაყეს, ერთ-ერთს, შვიდი მომაკვდინებელი ცოდვიდან. იმ რელიგიურ მოძღვრებათა დამაარსებლები და გამავრცელებელი, ქრისტიანულ სარწმუნოებას რომ ეწინააღმდეგებიან, როგორც სიქველის მტერნი, ერესს უკავშირდებიან.

პერსონიფიკაცია ლიტერატურაში აღრიდანვე გვხვდება: მაგალითად, პომეროსთან (მაგ. ვედრება, ძილი, სიკვდილი და ა. შ.), პინდარესთან და პესიოდესთან (წელიწადის ღროების პერსონიფიკაცია, ვეგეტაციის ღვთაებების სახით). პერსონიფიკაციის შემდგომი განვითარების მაგალითს მორალის მქონე მოთხრობებში აქვს ადგილი და დიდ როლს თამაშობს ქრისტიანული იკონოგრაფიისათვის (სიქელე და ცოდვა). ბიბლიაში აღმოსავლური ტრადიციების შეესაბამისია ღმერთის ზოგიერთი თვისების პერსონიფიკაცია, განსაკუთრებით „სუნთქვა, ქარი“-ს ანალოგიაში.

პერსონიფიკაცია წრამართულ-რომაული სახელმწიფო სიმბოლიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ქრისტიანული ლიტერატურა კი IV ს-ის შუა სანიდან იყენებს მას უკვე არა რიგორც მითოლოგიურ, არამედ როგორც მეტაფორულ აპარატს (მაგ. პიმნები). პერსონიფიკაციის იკონოგრაფიაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს პრუდის ფსიქომაზიამ და მარტიანუს კაპელამ, ასევე ბოეტიუსმა. მარტიანუს კაპელას მითოლოგიურ-ალეგორიული ნაწარმოები, გასცდა რა თავის მითოლოგიურ ჩარჩოებს, მხატვრულად ჩამოაყალიბა შეიძი თავისუფალი ხელოვნების ცნება. ანტიკური მითოლოგიისადმი ინტერესი უმაღლეს მწვერვალს რენესანსის ჰუმანიზმში აღწევს და XVIII ს-ის ბოლომდე განმსაზღვრულად რჩება. XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის კლასიციზმმა ცვლილებები მოიტანა, რაც კარგად ჩანს ვნებლმანის მცდელობაში, მოეხდინა ალეგორიული პერსონიფიკაციის სისტემური რეფორმირება.

XVII-XVIII ს-ის სახვითი ხელოვნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რიპას „იკონოლოგია“-ს. ეს იყო ალეგორიულ პერსონიფიკაციათა კრებული, რომელთა აგებულება რიპამ ცალ-ცალები ახსნა; ეს კრებული შეიძლება ჩაითვალოს პერსონიფიკაციის შექმნის სახელმძღვანელოდ. ანბანის მიზედვით განლაგებული რიპასეული პერსონიფიკაცია ეყრდნობა შუა საუკუნეების ენციკლოპედიურ მასალებს. აგრეთვე რიპა იყენებს მითოლოგიურ-ალეგორიულ ლიტერატურას, ბოკჩისა და კონტის. რიპა „ალეგორიას“ წარმოქმნას ფილოსოფიურ განამრტებას ადარებს. მასთანაც აქცენტირებულია, რომ პერსონიფიკაციის ძირითად თვისებას წარმოადგენს სიბმბლობი, დამატებითი საგნები, იგივე ატრიბუტები, რომელიც მათი და პერსონიფიკაციის ობიექტის მსგავსების საფუძველზე უნდა შეირჩეს.

ამდენად, ბერძნულ-რომაულ ხელოვნებაში პერსონიფიკაციამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. მოგვიანებით მან გავლენა მოახდინა ქრისტიანულ ხელოვნებაზეც. ბუნებრივი საგნები და ბუნების ძალები იყო პერსონიფიკაციის სახეობა, რაც ქრისტიანულმა ხელოვნებამ ანტიკურიდან გადმოიღო (მაგ., დედამიწა, ცა, მზე, მთვარე და ა. შ.). ეკროპაში პერსონიფიკაციათა როტული სისტემა არათუ ხელოვნებაში თამაშობს მნიშვნელოვან როლს, არამედ თეორეტიკოსები მას სპეციალურ ნაშრომებს უძღვნიან, რომელიც არა მხოლოდ მისი თეორიული ახსნისათვის, არამედ ერთგვარ სახელმძღვანელოდ გამოსაყენებლადაც იქმნება (მაგ. რიპა).

### **პერსონიფიკაციის სახეები შეიძლება შემდეგ კლასებად დავაჯერებოთ:**

- ა) ბუნებაში არსებული საგნები და მოვლენები; მაგალითად, მიწა, ცა, მზე და ა. შ.
- ბ) „კოლექტური გაერთიანებები“. მაგალითად, ქალაქები, ქვეყნები;
- გ) ასტრაქტული იდეები და ცნებები. მაგალითად, შიში, სასჯელი, სამართლიანობა.

პერსონიფიკაციათა ამ ჯგუფებიდან ჩვენი თემისათვის „კოლექტური გაერთიანებების“ პერსონიფიკაციათა რაგვარობის გარკვევა გვესაჭიროება: ქართული ქანდაკებები, რომელიც ჩვენი კვლევის საგანია, სწორედ კოლექტურ ორგანიზაციას, გაერთიანებას (საქართველო, ქვეყანა) განასახიერებს.

### **ქალაქების, ქვეყნების პერსონიფიკაციები**

ევროპულ ხელოვნებაში ცნობილია ქალაქების და გეოგრაფიული ადგილების პერსონიფიკაციები. მსგავსი შინაარსის პერსონიფირებული გამოსახულებების თვალის გადვნება ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებებზე შეგვიძლია. უპირველესად უნდა დავასახლოთ რომის პერსონიფიკაცია, რომელიც, საგარაუდოდ, პირველი შეიქმნა. შემდეგ გავრცელდა სხვა სარეზიდენციო ქალაქების – კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ტრირის პერსონიფიკაციები ასევე რომის იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ქვექნების და დიდი რეგიონების პერსონიფიკაციები. სხვადასხვა არტიბუტებით გამოსახება ევვიპტე, აფრიკა, ალექსანდრია და ა. შ. მათი გამოსახულებებიც შემორჩენილ რომაულ მონეტებზე შეიძლება ვიზილოთ.

რომის პერსონიფიკაცია სახელმწიფოებრივი ძლიერების გამოშატველი იყო. სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობის რომის გამოსახულებები გვხვდება რომაულ მონეტებზე. მაგალითად, რომაულ სახელმწიფო სიმბოლიკაში ხშირია სიუხვის ე. წ. აბუნდანტიას პერსონიფიკაცია, რომელიც გვიანრომაულ მონეტებზე ხშირად იყო წარმოდგენილი. ეს იყო ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ხელში სიუხვის რქა ეპრა. ხშირ შემთხვევაში მას თავზე ყვავილების გვირგვინი ედგა. აბუნდანტია ბერძნული დემეტრას იდეალით შეიქმნა რომაულ ხელოვნებაში და შემდგომ ბაროკოს ეპოქის ეკროპულ ხელოვნებაშიც გვხვდება (მაგ. რუბენსის სურათი „აბუნდანტია“).

ადრექრისტიანული ხანის საინტერესო ნიმუშია, თეოდოსიუსის ვერცხლის ფარი (389-392 წწ.), რომელიც მაღრიდში ინახება. აქ წარმოდგენილია გენიები, როგორც ხუთი ესპანური პროვინციის პერსონიფიკაცია. აქვე შევნიშნავთ, რომ შუა საუკუნეებში რომაული ქალაქების პერსონიფიკაციებს ემატება სპეციფიკური სახე - ქრისტიანული იერუსალიმი. საერთოდ კი ამ პერიოდში ქალაქების „რეალურ“ გამოსახულებებს აბრევიატურების სახით უპირატესობას ანიჭებდნენ პერსონიფიკაციასთან შედარებით.

რენესანსის შემდგომ პერიოდში ქვეყნების პერსონიფიკაციებს დაუკავშირდა ანტიკურ-რომაულ სამყაროში მიღებული, სახელმწიფოებრივ სიმბოლიკასთან დაკავშირებული პრსონიფიკაციები მშვიდობა, აბუდენცია (სიუხვის რქით), ფამა (საყვირით) და ა. შ.

### **პერსონიფიკაციები ქართულ ხელოვნებაში და XX ს-ის დასაწყისის ნიმუშები**

ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებისთვის არ არის უცხო პერსონიფიკაციები. მაგალითად, „ნათლისლების“ ზოგიერთ სცენაში ვხვდებით მდინარე იორდანეს პერსონიფიკაციებს. ასევე ატენის სიონის მოხატულობაში, გუმბათის ძირში, ტრომპებში სამოთხის მდინარეების შიშველი ჰაბუკების სახით გამოხატვას ვხდავთ. ქართულ შუა საუკუნეების მოხატულობებშიც და რელიეფებშიც გვხვდება მზისა და მთვარის, მიწის და ზეცის, აგრეთვე ზეციური იერუსალიმის პერსონიფიკაციები. იბადება კითხვა, თუ ქართული ხელოვნებისთვის ტრადიციულადა დამახასიათებელი პერსონიფიკაციები, რატომ უნდა მივიჩნიოთ XX ს-ის დასაწყისის პერსონიფიკაცირებული ქანდაკებები სიახლედ?

საქმე ისაა, რომ შეა საუკუნეების ქართულმა ხელოვნებამ არ იცის ქვეყნის, ერის და საერო ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციების პერსონიფიკაციები და ამიტომ XX ს-ის დასაწყისში საქართველოს პერსონიფიკაციის გამოჩენას ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტიპის პერსონიფიკაციებულ სახეებს უკვე XIX ს-ის ქართულ ლიტერატურაში ვხვდებით. მხედველობაში მაქეს ქართული დრამატული ნაწარმოები აღ. ორბელიანის „დავით აღმაშენებელი ანუ უკანასკნელი უამი საქართველოსი“<sup>6</sup>, რომელიც 1846 წელსაა შექმნილი. პერსონიფიკაციებული მხატვრული სახეების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ავტორის მიერ დახატული ფინალური სცენა, სადაც დავით აღმაშენებელი მიმართავს თარგამოსს, კავკასიელთა წინაპარს. აქ ავტორი იძლევა საჭირო დეკორაციის ვრცელ აღწერილობას. ის წერს: „ამას რო იტყვის მცხეთის ეკლესის კედლზე დიდი ფარდა გადაიხდება, ანაზად კედლის ფერი და არც ეტყობა ფარდობა, რომლიდგანაც დიდი მხატვრობა გამოჩნდება, თვით თარგამოზ დახატული, გრძელ-თეორ წვერა, თავშიმველი, თეორ-თმიანი, ორი ხელი გამლილი აქეს და იმის ხელის ქვეშა, დაჩოქილნი არიან იმისი რვა შვილი, ოთხი ერთ მხარეს და ოთხი მეორეს მხარეს, ამათ გარშემო ახვევიათ იმათა ჩამომავალობანი, ქალი და კაცი, რომელიცა თარგამოზსა შეჰქერებენ ყველანი. ეს მხატვრობა კარგი უნდა იყოს! თარგამოზის ზევით აწერია: ჩემო სახლის მომავალნო, კურთხულ არს ღმერთი! კურთხულმცა იქმნას ნაყოფიერება თქვენი. იდიდეთ მისგან, იბეჭნიერეთ მისგან, ყოვლად განუყრელნი ერთად!“<sup>7</sup>

ნათელია, რომ აქ საქმე გვაქვს კავკასიის სხვადასხვა ხალხთა პერსონიფიკარებული სახით გადმოცემასთან. აღექსანდრე ორბელიანი დავითსაც თავის სიტყვაში კავკასიელთა ერთოანობაზე აღაპარაკებს, სვეტიც ხოვლის გარშემო კავკასიელთა შემომტკიცებაზე. ნიშანდობლივია, რომ ავტორი დავითის სიტყვებით საუბრობს თავისუფლებზე, როგორც საკაციბრიო ფასულობაზე. ვფიქრობ, რომ სწორედ ეს სულისკვეთება – თავისუფლება და ეროვნული იდენტობა, საკაცობრიო ფასულობებთან კავშირში, რომელიც მთელი შემდგომი პერიოდის ქართული კულტურული ცხოვრებისა და მიზნების ძირითადი კრედი იყო, გამოიხატა XX ს-ის დასაწყისის ჩვენი კვლევისათვის საინტერესო ქანდაკებებში. მნიშვნელოვანი ისაა, რომ მარჯვანიშვილის თეატრის რელიეფიც და „მწუხარე“

საქართველოც“ შინაარსითაც და ფორმითაც აღნიშნული პროცესის გამოხატულებად წარმოგვიდება. მარჯვანიშვილის თეატრის (სახალხო სახლის) რელიეფი ერთდღოულად გამოხატავს საქართველოს ევროპულ კულტურასთან მიმართებას, მასთან ურთიერთობის აღდგენის სურვილს: ევროპული კულტურა ხედება საქართველოს, რომელსაც მასთან თავისი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა მიაქვს. საქართველოს თავისი ატრიბუტი აქვს – ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის სახასიათო დეტალები და ჩუქურთმები, რომლებსაც პერსონიფიკაციების წინ ვხედავთ. სახეზეა ევროპული პერსონიფიკაციის ტრადიციული ელემენტი – ატრიბუტი, მაგრამ მისი სიმბოლიკა ახლადადა დამუშავებული და ანალოგი არ მოეპოვება. ამდენად, შეიქმნა ახალი, მსოფლიო ხელოვნებაში აქამდე უცნობი პერსონიფიკაცია – საქართველოს პერსონიფიკაცია და შემუშავდა სპეციფიკური ატრიბუტიც, რომელიც მის სიმბოლიზებას ახდენდა. ნიშანდობლივია, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ფორმები და ჩუქურთმები ატრიბუტის როლს კისრულობს იღია ჭავჭავაძის საფლავის მონუმენტშიც, რომელშიც შინაარსი უფრო ღრმა სიმბოლურ ელერადობას იძებს: მოსახეამში განვეული ქალი – მწუხარე საქართველო ძელ ქართულ კარიბჭეში დგას – საკრალურ საზღვარზე. ქრისტიანული სიმბოლიკის მიხედვით კარი სიმბოლური ზღურბლია, ის არის საზღვარში გაჭრილი ღიობი როი სამყაროს დაკავშირების საშუალება. უნდა გავავლოთ პარალელი სახალხო სახლის რელიეფითან, სადაც ასევე საქართველო-ევროპის კავშირზეა აქცენტი. მაგრამ რას გამოხატავს იღიას საფლავის მონუმენტი? რას აკავშირებს ერთმანეთთან ეს კარი? შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ საქმე გვაქვს მიწიერი და ზეციერი სამყაროების ზღვართან, საზღვართან, რომელიც იღიამ გადალახა და ზეციერი სამყაროს მკვიდრად გადაიქცა. თუ კარგად დაგაკვირდებით, ეს არ უნდა იყოს სწორი გარაული, რადგან კარში დიდი მამულიშვილი კი არ დგას, არამედ მწუხარე საქართველო... საქართველო, რომელიც თავისი პატარა სამყაროს კარიბჭეშია, კარიბჭეში, რომელიც დიდ სამყაროში, მსოფლიოში, გადის. ნიშანდობლივია, რომ ქალის პოზა არ განასხიერებს მსვლელობას არც შიგნით და არც გარეთ, ქალი დაბუჭული და გარინდებულია. მზერა? სად არის მზერა? თვალები დახუჭულია. საქართველო თავზარდაცემული და თავის თავში წასული წარმოგვიდება. ხელში დაფინის ტოტი უჭირავს, საფიქრებელია, იღიას პოზიის სიმბოლო. დაფინის გვირგვინი

გამარჯვებას განასახიერებდა ანტიკური პერიოდიდანვე, ის გამარჯვებულთა ატრიბუტი იყო. საქართველოს კი უჭირავს დაფნის ტოტი, რომელიც არ არის გვირგვინად შეკრული. საქართველო ზღურბლზე დგას, განსაცდელით თავზარდაცემული და უმოქმედო, მაგრამ ხელში გაფოთლილი ტოტით, რაც იმდენს გამოხატულებას უნდა წარმოადგინდეს. ვეფიქრობთ, ასეთი განცდა ტრიალებდა მაშინ საზოგადოებაში, მისი გამომსხატველიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გახდნენ ილიას საფლავის მონუმენტის ავტორები. როგორც ცნობილია, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ცხარე კამათი მიღიოდა ქანდაკებისა და მისი გარემომცველი არქიტექტურის სახეზე, მიღიოდა განხილვები, გამომსვლელები გამოხატავდნენ თავიანთ წარმოდგენებს და სურვილებს მონუმენტის თაობაზე, აქტიურობდა ივ. ჯავახიშვილი. ამდენად, მონუმენტის შექმნაში თვით ოსტატებთან ერთად მაშინდელი მოწინავე საზოგადოება იღებდა მოაწილეობას. რადგან ძეგლის დღეს არსებული ვარიანტი იქნა მოწონებული, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის საზოგადოების განცდებისა და წარმოდგენების გამოხატულება იყო. ამის გამო, მისი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მხოლოდ ისტორიული ღირებულებით, არამედ იმითაც, რომ ის ერთ ნაწარმოებად კრავს ქართულ საზოგადოებაში მაშინ არსებულ განცდას. ეს არის თვითაღქმის თავისებური გამოხატულება, თავის თავისა და თავის ქვეყნის არსებული მდგომარეობის გააზრება, ქვეყნისათვის გადამწყვეტი ზღურბლთან დგომის საოცარი შეგრძნების ამსახველი მხატვრულად განზოგადებული სურათი.



1. მონუმენტი ილია ჭავჭავაძის საფლავზე „მწუხარე საქართველო“. მოქ. – ი. ნიკოლაძე, არქ. – პ. მამაძე. 1908-1913.



2. მარჯანიშვილის თეატრის რელიეფი „საქართველო და ევროპა“. 1907 წ.



3. რომაული მონეტა ეგვიპტის პერიოდიკაციით.
4. რომაული მონეტა აბუნდანტიას პერიოდიკაციით.

1 საფასადო ქნდაკება თბილისში. XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი. თბ. 2008;

2 მოქანდაკის ვინაობა უცნობია;

3 ცა ფონდი – 481, საქმე 1078, ფ 38. მოწოდების ტექსტი მოყვანილა: ლ. შანიძე, ქართული, საბჭოთა ქნდაკება, თბ. 1975, სქოლით 3, გვ.138;


4 G. Hermerén, Representation and Meaning in the Visual Arts. London. 1969; O. Seel antike und frühchristliche Allegorik. B. 1964; L. Popović. Personifikations in Paleologan Painting. 1261-1453. Diss. masch. Ann. Arbor 1963;

5 LCI, 3, Rom- Freiburg-Basel-Wien, 2004, S. 394;

6 დრამა გამოქვენებულა წიგნში: ქართული დრამატურგია, ტ. I, თბ. 1992.

7 იქვე, გვ. 264-265.

# კულტურის მეცნამენტი



ნინო სანადირაძე

მეცნამენტი ქართულ ფრადიციულ  
სანახაობით კულტურაში  
სახალხო დღესასწაულების მაგალითზე

ნებისმიერი საზოგადოებრივი მეცნიერების, კერძოდ კი მენეჯმენტის პარადიგმა ემყარება წარმოდგენებს რეალობაზე. თავად ეს წარმოდგენები ზეგავლენას ახდენს იმაზე, რაც ამ კონკრეტულ დარგში რეალობად ითვლება, უფრო სწორედ, რაც რეალობად მიაჩნიათ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები გარემომცველი სამყაროს ობიექტების ქცევას სწავლის, ხოლო ისეთი საზოგადოებრივი მეცნიერების შესწავლის სფეროდ, როგორიც მენეჯმენტია, ადამიანისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ქცევის შესწავლა გველინება. კულტურის სფეროს მენეჯმენტის სპეციფიკას, როგორც წესი, „სულიერი წარმოების“ თავისებურებებს უკავშირებენ. კულტურაში წარმოების შედეგად მიღებული „პროდუქტები“ არა იმდენად საგნობრივი ხასიათისაა, რამდენადაც აზროვნების ფენომენებს (აღქმას, გაგებას, განცდას და სხვ.) უკავშირდება და უშუალო დათვლას, შეჯამებას არ ექვემდებარება. ხშირად, მათი წარმოება მათ გამოყენებას ემთხვევა (სპექტაკლის, კინოფილმის ჩვენება, კონცერტზე დასწრება, წიგნის კითხვა). უფრო მეტიც, მატერიალური წარმოების პროდუქტებისგან განსხვავებით, რომლებიც გამოყენების პროცესში ცვდება, კულტურული ფასეულობები გამოყენებისას სულ უფრო მეტ ღირებულებას იძენს (მაგ: რაც უფრო მეტმა ადამიანმა წაიკითხა ესა თუ ის წიგნი, უყურა სპექტაკლს, ფილმს, მოუსმინა კონცერტს - მთ უფრო მაღალია მათი სოციალური მნიშვნელობა).

მენეჯმენტის პროცესების დინამიკა და სტრუქტურების ჩამოყალიბება საინტერესოდაა ასახული ქართულ სანახაობით კულტურის მეცნიერებით, სადაც ნაჩვენებია მენეჯმენტის ჩამოყალიბებისა და კრიტერიუმების გააზრების ეტაპები. რამდენადაც ცნობილია, კულტურაში მიმდინარე პროცესები შინაგანი კანონზომიერებითა და სხვა კულტურებთან კონტაქტით არის განპირობებული. ქართულმა სანახაობითმა ხელოვნებამ პრიმიტიული ფორმებიდან თანამედროვე თეატრამდე მრავალსაუკუნოვანი გზა გაიარა. სანახაობითი კულტურის დიდ ტრადიციას ადასტურებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი თეატრალური ნაგებობები თუ სხვადასხვა დანიშნულების

ნივთები. მათზე გამოსახულია საწესო-სანახაობითი სცენები, რომლებიც იმდროინდელ ქართველ ხალხში გავრცელებულ სანახაობათა კულტურის არსებობაზე მეტყველებს. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული მასობრივ სანახაობათა დღესასწაულების ანალიზი კულტურის მენეჯმენტთან მიმართებაში. კვლევა ითვალისწინებს ქართული სანახაობითი კულტურის ძირითადი ტრადიციების შესწავლისა და ანალიზის მცდელობას კულტურის მენეჯმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. სანახაობითი კულტურა წარმოადგენდა ეპოქის „პლასტიკურ სახეს“, რომლებშიც ტრადიციულად იკვეთება შემდგვი ჯგუფები: 1. ციკლური ან სეზონური – დაკავშირებული წელიწადის დროების ცვლასთან (განსაკუთრებით გაზაფხულის მოსვლასთან); 2. სასოფლო დღესასწაულები – დაკავშირებული სამეურნეო სამუშაოებთან (ხვნა-თესვა, თიბგა, მგა, მოსავლის აღება) 3. კალენდარული დღესასწაულები (რელიგიური და სამოქალაქო ხალხური – დაკავშირებული გარკვეულ თარიღებთან).

საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა საქმიანობა, რელიგიური შეხედულებები, რწმენა-წარმოდგენები და ღირებულებები გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. ქართულ წარმართულ სახალხო (ხალხურ) დღესასწაულებში წარმოდგენილია ქართველთა უძველესი მსოფლმხედველობა; რიტუალში ერთიანდება განაყოფიერების, მოსავლისა და საქონლის გამრავლების დასაბეჭებული ხერხები და რწმენა-წარმოდგენები.<sup>1</sup> დღესასწაულები და სახალხო რიტუალები, რომლებსაც ტრადიციული სანახაობითი კულტურის პროდუქტების მაგალითზე განვითარება განვითარება ხილავთა კალენდარული თანმიმდევრობით სრულდებოდა ანუ დროის მენეჯმენტის თვალსაზრისით ნაწილდებოდა სეზონისა თუ პერიოდების მიხედვით. დღესასწაული ბერიკაბაყენისა, სხვადასხვა სახესხვაობით საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება საქართველოს რეგიონების მიხედვით: ზემო და ქვემო სვანეთში, ქართლ-კახეთში, ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, მესხეთ-ჯავახეთში და სხვ. ბერიკაბის სათავედ ბუნების განახლებისა და განაყოფიერების საკულტო წეს-ჩვეულება არის მიჩნეული, ამიტომ ის საქართველოს ყველა კუთხეში გაზაფხულის დღესასწაულს უკავშირდებოდა. უმეტესწილად, ბერიკაბა სოფლის მოვლით, კარდაგრ ჩამოვლით, ეზოში ან სახლის წინ სრულდებოდა, თუმცა მაყურებელი ხშირად საგანგებოდ მოწყობილ მოედნებსა და სათამაშო ადგილებზეც იყრიდა თავს. ბერიკაბაში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ.

ბერიკებს თავისი მეთაური – ბერიკათწინამდევარი ჰყავდა. ბერიკათა გუნდს დასი ან დასტა ეწოდებოდა. დასტი შედიოდა ტახის, დათვის, თხის, მგლის, მეფის, მოსამართლის, ქმითის, მლვდლის, ბაზონის, ვაკრისა და სხვათა ნიღბები. აკრეფილი გასამრჯელოს შესაგროვებლად დასს ჰყავდა მებარგულები, რომლებიც სახედრებით, ცხნებით, ურმებით დაჰყევებოდნენ უკან. საკრავებიდან ბერიკები იყენებდნენ სტეირს, ზურნას, ჩონგურს, დაირას. სასიმღერო რეპერტუარს კი ბერიკაული ეწოდებოდა. ბერიკაობა – ყენობის დღესასწაულის დამახასიათებელი ელემენტებია: ცხოველებისა და ადმინისტრაციული ნიღბები და ტანსაცმელი, მეომარი და მოთარეშე ბერიკები. დაუსრულებელი შერკონებები, საწესჩვეულებო ცეკვები, ეროტიული სცენები, მთავარ მოქმედ გმირთა სასყვარული ისტორიები, ქორწინება, დროებითი სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, ბუნების განახლება გაცოცხლების სიმბოლოდ და ძველ აღმოსავლური მისტერიების ანალოგად მოიაზრება.

დღესასწაულში მონაწილეთა ნიღბებსა და კოსტიუმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნიღბების საკითხი კვლევის სხვა მიმართულებას წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, მხოლოდ დღესასწაულის მოქმედ პირთა ატრიბუტის მნიშვნელობით განვიხილავთ. საქართველოში ნიღბების გამოყენებასა და არსებობას არაერთი ისტორიული თუ არქეოლოგიური მასალა ადასტურებს; თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის სასმისზე გამოხატულ კომპოზიციაზე გამოსახულია 23 ფიგურა, რომელთაც უკეთიათ ცხოველის გამოსახულებიანი ნიღბები, ასევე საფურადლებოა ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დიონისეს ტერაკოტული ნიღბები და საქართველოს სხვადასხვა ადგილას აღმოჩენილი არქეოლოგიური მონაპოვრები. ბერიკაბა-ყენობის სვანურ სახესხვაობაში, მურყვამობა-კვირიაობის დროს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა დროშას ან რომელიმე სხვადასხვა ნივთს, რომელსაც თავის მხრივ საკრარული მნიშვნელობით გამოირჩევა.<sup>2</sup>

მენეჯმენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ანალიზის მცდელობისას, შეგჩერდებით სხვადასხვა ქართული დღესასწაულების სხვადასხვა ელემენტზე, რომლებიც ნათლად გამოხატავს სანახაობითი კულტურის მენეჯმენტის ცოდნას, სადაც შემოქმედებითი და საორგანიზაციო ჯგუფი (ამ შემთხვევაში მონაწილე სოფლები თუ თემები) ღონისძიების მოსამზადებლად გადიოდა მენეჯმენტის სხვადასხვა ეტაპს, დაგვმვიდან – შეფასებამდე. სხვადასხვა ეპოქასა

თუ საზოგადოებაში თითოეული საზოგადოება, ჯგუფი თუ ინდივიდი იღენტობის საკუთარ რეპერტუარს ფლობს, რომლის მიხედვითაც, კულტურის პროდუქტები იქმნება. მათი ცვალებადობა ისტორიული რეალობით, პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული ფაქტორებითა განპირობებული, თუმცა პროდუქტის დაგეგმვა და განხორციელების გზები ყველა საზოგადოებასა თუ სოციალურ ჯგუფში ეტაპობრივად მიმდინარეობს და თანამედროვეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

ქართული ღონისძიებათა ანალიზისას მნიშვნელოვანია ასევე სოციალური აქტივობების გათვალისწინებაც, – როგორც სოციალური პასუხისმგებლობის გაზიარების თვალსაზრისით. მაგალითად, ყეწობის დღესასწაული იყო დღი საკარნავალო სანახობა, რომელიც სიმბოლურად ასახავდა ქართველი ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ყეწობაში მონაწილეობას უმრავი ადამიანი იღებდა და ჩართული იყნენ ღონისძიების მთლიან პროცესში. მაყურებლებს გასამრჯელო ყენისთვის უნდა მიეცათ, რომლის შეგროვების შემდეგაც ხდებოდა ღონისძიების მომზადებისას გაწეული ხარჯების დაფარვა და ღონისძიების შემდგომი წვეულების მოწყობა. დარჩენილი თანხით კი ეხმარებოდნენ უძლურებაში მყოფებს, გაჭირვებულებსა და უმზითვო ქალებს.


ღონისძიების მომზადების პროცესი გადიოდა მართვის პროცესის სხვადასხვა ეტაპს, პირველ რიგში, კი ხდებოდა გადაწყვეტილების მიღება გასაკეთებელი საქმის თაობაზე და ხალხის ორგანიზება ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად. დაგეგმვის პროცესი ხორციელდებოდა ორგანიზაციისა თუ ღონისძიების ცალკეული მმართველების ხელთ არსებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების საუკეთესოდ გამოყენების მეშვეობით. თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, მართვის პროცესი ზოგადად იყოფა რამოდგრიმე ცალკეულ საფეხურად, რომლებიც მიზნის მისაღწევად საჭირო ქმედებებია და განაპირობებენ წესრიგს, სისტემურობასა და ღოვიაკურობას. მართვის პროცესის შემაღენელი ნაწილებია: ა) დაგეგმვა – მიზნის დასახვა და საჭირო მოქმედებების მიმართულების განსაზღვრა სასურველი შედეგების მისაღწევად. ბ) ორგანიზება – მიზნების მისაღწევად საჭირო ორგანიზაციისა თუ საორგანიზაციო ჯგუფის შექმნა და პერსონალის შერჩევა. გ) მოტივირება - პერსონალის ერთ გუნდად მუშაობისათვის საჭირო ატმოსფეროს შექმნა. კონტროლირება – ჩატარებული სამუშაოს

შეფასება და გაანალიზება, ანუ შედეგების შედარება დაგეგმვილ მიზნებთან და საჭიროების შემთხვევაში მაკორექტირებელი ზომების მიღება. ყველა ზემოთ განხილული საკითხების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ყველა ქართულ დღესასწაულთა სტრუქტურა და თანმიმდევრობა სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარია, თუმცა შინაარსი და სიმბოლოთა დანიშნულება არ იცვლება. დღესასწაულში მონაწილეობდა საზოგადოების ყველა წევრი და ყველას ჰქონდა დაკისრებული თავისი ფუნქცია და როლი. დღესასწაულის დაწყების თარიღი, როგორც აღვნიშნეთ, წინასწარ იყო ცნობილი, სოფელს კი სანახაობის დაწყებას საგანგებოდ შერჩეული მომღერალთა ან მუსიკოსთა ჯგუფი ატყობინებდა. დღესასწაულის მონაწილეთა ფუნქციათა გადანაწილება წინა დღეებში ხდებოდა. სოციუმის ყველა წევრს დაკისრებული ჰქონდა თავისი ფუნქცია და როლი. ტრადიციულ საზოგადოებას გააჩნდა გონიერი მენჯემენტი - შრომა, ბრძოლა, ლოცვა და სანახაობა ისე წაცვლებოდა ერთმანეთს, დისპარმონია არ იქმნებოდა.

1. ჯულიეტა რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა-ყევნობა), თბ. 2000, გვ.149;
2. იქვე: გვ. 132.

- ჯულიეტა რუხაძე, ქართული ხალხური დღესასწაული (ბერიკაობა-ყევნობა), თბ., 1966;
- ლ. გვარამაძე – ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957;
- ი. სურგულაძე – მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003;
- რ. გუჯევიანი – ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბ 2008;
- James Heilbrun - The Economics of Art and culture. 2007;
- Iain Robertson - understanding international art markets and management 2005;
- Derrick Chong - Art management 2006;
- Armstrong Gary – marketing and art management 2007;
- Phillip Kotler – marketing – introduction 2007.

# გუსიკის მცოდნეობა



შოკავის ლილიკულ-კანტილენური ეტიუდების  
ინტერპრეტაციის ზოგიერთი საკითხი  
(თხზ.10 №3 E-dur, №6 es-moll და თხზ.25 №7cis-moll)

თხზულება 10 №3, №6 და თხზულება 25 №7 ეტიუდები გამორჩეული პიესებია შოკენის ეტიუდების ციკლში. ისინი თავისი ხასიათით კარდინალურად განსხვავდებიან არა მარტო ამ უანრის ტრადიციული, წინარომანტიკული პერიოდის წმინდა ინსტრუქციული ბუნებისაგან, არამედ რომანტიკული პერიოდის მაღალმხატვრული ვირტუოზული ეტიუდის კონცეფციისაგანაც. ისინი წარმოადგენ პოეტის სულის აღსარებას და მოული საფორტეპიანო ლიტერატურის უღრმეს შედევრებს; ამასთანავე ეს გენიალური თხზულებები ჭეშმარიტი მაგალითია იმისა, თუ რამდენად სიღრმისულად აღიქვამდა შოკენი ეტიუდს, როგორც უანრის და რა მრავალმხრივად ესმოდა მისი გამომსახველობის, შინაარსობრივი დატვირთვის და ტექნიკურ საშუალებათა შერწყმის პერსაკეტივები. მათი გადმოცემისას, გარდა საშემსრულებლო ნიჭიერებისა, აუცილებელია განვითარებული ინტელექტი, სულიერი სიმწიფე და პირადი ცხოვრებისეული გამოცდილება, რათა ამ საოცარი პიესების მიღმა დავინახოთ გენიალური ხელოვანი თავის განცდათა სიღრმითა და მრავალფეროვნებით, არისტოკრატულობითა და ზომიერებით.

თავისი ნაწრმოებების შესრულებისას შოკენი, ლისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟღავნებდა „გულისისიღრმისულ გრძნობებს“, რაც მის მშობლიურ ენაზე ერთადერთი სიტყვით გამოიხატება – „Zal“. შესაბამისი გამოთქმა სხვა ენაში არ მოიპოვება, შოკენი ასე აღწერს მას თავის დღიურში, – „რა კარგად ვარ... ნაღვლიანად! ნაღვლიანად და კარგად! რა გრძნობაა ეს? – კარგად და ნაღვლიანად, მაგრამ როცა ნაღვლიანი ხარ, ხომ არ შეიძლება კარგად იყო?! მე კი მსიამოვნებს ეს! უცნაური მდგომარეობაა“: პოლარულ ემოციურ მდგომარეობათა ურთიერთყავშირი კანონზომიერია. ეს თავს იჩენს კომპოზიტორის უმრავლეს თხზულებებში. ყველაფრისმომცველ შოკენის „Zal“-ში იგრძნობოდა „პოლონური სული, აღსავსე ძალით, რაინდობით, გმირობით, დრამატულობით, სინაზით, სამშობლოზე დარდითა და სევდით, ღრმა მელანქოლიით“.<sup>1</sup> ამგვარი გრძნობებითაა აღბეჭდილი ეს ეტიუდები, ისინი შოკენის ლირიკის სხვადასხვა

წახნაგებს წარმოაჩენენ, ნათელ-იდილიურ (E-dur), სევდიან-მელანქოლიურ (es-moll) და ტრაგიკულ-დეკლამაციურ (cis-moll) სახეთა გახსნა შემსრულებლებისაგან შესაბამის ემოციურ და ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებას მოითხოვს.

ამ ეტიუდებში წარმოდგენილია ტიპური რომანტიკული ფაქტურა: სამი პლანი, ანუ სამი მოქმედი პირი – მელოდია, შიგთავსი და ბანი (თხზ. 25 №7 ეტიუდში ბანი თავად წარმოდგენს მირითად მელოდიას). აქ შემსრულებელი განსაკუთრებულად უნდა გრძნობდეს ფაქტურას, მის სამგამზომილებიანობას: პორიზონტალურს – მელოდიისა და თანხლების განვითარება-განვითარებას დროში, ვერტიკალურს – ქვედა, შეუადა ზედა პლასტების შეთავსებას პარმონიულად და სიღრმისუელს – რელიეფური, წინა, ახლო პლანის გარჩევას ფონისაგან, უკანა პლანისაგან (რისი რეალიზებაც შესრულებისას დინამიკის საშუალებით ხდება). „შოპენი მუსიკას განსაკუთრებულ მაღალ სოციალურ მნიშვნელობას ანიჭებდა, ის მასში და კერძოდ მუსიკალურ ინტერპრეტაციაში „საკუთარი აზრების ბგერებით გაღმოცემის ხელოვნებას“ ხედავდა. მისი აზრით ის რაც შეუძლებელია სიტყვებით გადმოიცეს, შესანიშნავად გადმოიცემა მუსიკით, – ბგერა განუსაზღვრელი სიტყვაა ადამიანისა, ანუ რაღაც ისეთი, რითაც ადამიანის ყველაზე ინტიმური და ღრმა არის გამოიხატება. შესაბამისად ამისა შოპენს აუცილებლობად მიაჩნდა პირველ რიგში ნაწარმოების ძირითადი აზრის, პოეტური ხასიათის, შესრულების შინაგანი ღერძის შეგრძნება და განსაზღვრა. შოპენი ამბობდა – „არ არსებობს ჭეშმარიტი მუსიკა ფარული ჩანაფიქრის გარეშე“<sup>2</sup> – ეს ფრთიანი ფრაზა შესანიშნავად ხსნის მის პოზიციას.

### ეტიუდი № 3 მი მაჟორი

ნებისმიერი კომპოზიტორის შემოქმედებაში არ სებობს მწვერვალები, რომლებიც განსაკუთრებული ელვარებით გამოირჩევიან. შოპენის გენიალურ მელოდიებს შორის მესამე ეტიუდის მელოდია ერთ-ერთი გამორჩეულია. ცნობილია, რომ თვით შოპენი ამ თემას თავის საუკეთესო მელოდიად მიიჩნევდა. კრემლიოვს მოყვანილი აქვს რიმსკი-კორსაკვის შემოქმედების მკვლევრის იასტრებცევის ცნობა იმის შესახებ, რომ რიმსკი-კორსაკოვს ამ ეტიუდის მუსიკა ყველაზე საუკეთესო, იდალურ და სრულყოფილ მელოდიად მიაჩნდა არსებულ მელოდიათა შორის.<sup>3</sup> მუსიკის მოყვარულთა ფართო წრეშიც ეს ეტიუდი იდენტიფიცირებულია შოპენის სახესთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მესამე ეტიუდში ტექნიკური თვალსაზრისით პირველ ადგილზე დგას ბგერათწარმოქმნის პრობლემა (შუა ნაწილში ვხვდებით წმინდა ტექნიკურ პრობლემებსაც – საკმაოდ სწრაფ ტემპში – *stretto, con bravura* – ორმაგი კვარტები, კვინტები, სექსტები), – ინტონაციურად მდიდარი, მღერადი ბგერის ფლობა, მელოდიის დეკლამაციური შესრულება, პოლიფონიური მომენტები, ფართო სუნთქვა, დახვეწილი პედალი – აი ეს ძირითადი სიმღეღები, რომლებიც უნდა გადაიჭრას შოპენის მესამე ეტიუდის შესრულებისას.

ამ ეტიუდში კიდურა ნაწილები ვოკალური ხასიათისაა, შუა ნაწილი კი – ინსტრუმენტული. შოპენი განსაკუთრებულად ისწრაფვოდა მღერადი, პლასტიკური, მუსიკალური მეტყველებისაკენ. ამ მიზნით იგი მოწაფებს ურჩევდა, რაც შეიძლება ხშირად ესმინათ ბელკანტოს ოსტატებისათვის, უფრო ხშირად ვიდრე პიანისტებისათვის. ხანდახან მოუწოდებდა კიდეც, რომ თვითონაც ესწავლათ სიმღერა. „თქვენ უნდა იმღეროთ, თუ გინდათ, რომ ისწავლოთ დაკვრა“<sup>4</sup> – ამბობდა იგი. სიმღერის კანონზომიერების ცოდნა მისთვის გააზრებული, ბუნებრივი ფრაზირებისა და შინაარსობრივად მრავალფეროვანი წარმოთქმის წინაპირობა იყო. ძირითადი სირთულე აქ ისაა, რომ მარჯვენა ხელი ერთდღოულად ასრულებს როგორც მელოდიას, ისე მეთექვსმეტედების თანხლებას. იმისათვის, რომ პიანისტმა შეძლოს მელოდიისა და თანხლების გამიჯვნა, მათ შორის ბალანსის დაცვა, ძალიან სასარგებლოა შემდეგი ცნობილი ხერხი: მარჯვენა ხელის პარტიას ვუკრავთ ორი ხელით. ამით ჩვენს შინაგან სმენაში მართლაცდა ორი ხმა ფიქსირდება და როდესაც მხოლოდ მარჯვენა ხელით დავუკრავთ, ჩვენდა უნბერუად თითოეულ ხმას თავისი შეფერილობა მიენიჭება (გავიხსენთ ნეიპაუზის სიტყვები: ყველა უკრავს ისე, როგორც ესმის). ხელის სიმბიმე გადატანილი იქნება თითებზე, რომლებიც მელოდიას უკრავენ. მათ შორის ხომ ხშირად არის სუსტი თითები, ხოლო ძლიერი თითები, რომლებიც თანხლებას ასრულებენ, შემსუბუქდებიან.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო საგარეჯიშო აქვს მოყვანილი კორტოს. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მელოდიისა და ბანის დუეტი. ამიტომ პიანისტმა ცალკე უნდა დაუკრას მელოდია და ბანის ხაზი. მხოლოდ ის არ არის საკმარისი, რომ ბანის ნოტები უღერდნენ, ისინი მთლიან ხაზს უნდა ქმნიდნენ. აუცილებელია შემსრულებელმა შეიგრძნოს და ზუსტად გადმოსცეს ბანში მოცემული პუნქტირული რიტმი და მისი სინკოპური ხასიათი, ვინაიდან

მას თავისი მოძრაობით შინაგანი იმპულსი შეაქვს ეტიუდის ფაქტურის მშვიდ, გაწონასწორებულ დინებაში.

ამ ეტიუდში შოპენი იყენებს ჰარმონიული ელიფსის მეთოდს. ელიფსი შოპენის მუსიკაში ისევე, როგორც სხვა კომპოზიტორებთან, ჩერულებრივი მოვლენაა, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა მსატერიულ-შინაარსობრივ, ემოციურ, მუსიკალურ-დრამატულ, კომპოზიციურ ასპექტებში. იგი გამოყენებულია ეტიუდის შუა, განვითარებად ნაწილში, კულმინაციის წინა ზონაში. ელიფსის გამოყენება ამ პირობებში ნაკრაპევია მისი, როგორც კონკრეტული ჰარმონიული ხერხის თავისებურებით: „მერყევი, დისონირებული აკორდის განტვირთვა (გადაწყვეტა) ხდება არა მოსალოდნელ მყარ ტონიკაში, არამედ ნებისმიერ სხვა აკორდში, რომელიც, როგორც წესი, მერყევია და ხშირად წარმოადგენს დისონას, ანუ იქმნება მოულოდნელობის უფექტი, დაგეგმილი განვითარების კალაპოტის უცარი შეცვლა“.<sup>5</sup> უპირველესად, — არ არის იოლი ნაწარმოების მთავარი და დამხმარე ტონალობების ემოციური შეფერილობის გადმოცემა, არ არის იოლი ცალკეული აკორდების ემოციური შეფერილობის გახსნა, თითოეული აკორდის ძალის ღოზირება, განსაკუთრებით დისონირებულისა, მათი ადგილის და ემოციური ფუნქციის მიხედვით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოღულაციებში. ხშირად ისინი საჭიროებენ გარკვეულ გადახრას ძირითადი ტემპიდან, მაგრამ როგორს — პასუხი შემსრულებლის მუსიკალურ ალლოზეა დამოკიდებული. არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, რაზეც დამოკიდებულია შესრულების დამაჯერებლობა, ყოველი ახალი ტონალობის ბუნებრივ მოშხადებაშია.

ეტიუდის შუა ნაწილიდან იწყება მუსიკალური მასალის დრამატიზება — მოძრაობა სხვადასხვა ინტერვალებით, ნახტომები, ფაქტურის თანდათანობით გართულება, მოღულაციები, დინამიზაცია. ყველაფერ ამას მიყვავართ დიდ კულმინაციასთან *con bravura, stretto*. ინტერვალების ეპიზოდების ტექნიკურ დაძლევაში მივმართავთ ძველ, ნაცნობ ხერხს: ზედა ხმები, ისევე როგორც ქვედა ხმები, უნდა ვიმეცადინოთ ცალ-ცალკე, აპლიკატურის მკაცრი დაცვით. შესაძლებელია მარჯვენა ხელის ზედა და მარცხენა ხელის ქვედა ხაზების ერთად დაკვრაც. ეს არა მარტო გაამახვილებს სმენას, არამედ გაავარჯიშებს საჭირო კუნთებს. უნდა გავიხსენოთ სამუელ ფაინბერგის რჩევა: დაყოთ დიდი სიძნელე მცირე სიძნელეებად და ცალ-ცალკე დაგძლიოთ ისინი. არსებობს მეორე აპრობირებული

ხერხიც: სიძნელის კიდევ უფრო გამბაფრება. ამ ხერხის მიხედვით ლიგბის შეერთებით ორ-ორი ინტერვალი უნდა დავუკრათ გაორმაგებით, გასამაგებით, მხოლოდ ისე რომ ხელი არ დაგვებაბოს.

მიუხედავად შუა ნაწილის ასეთი მასშტაბური განვითარებისა, იგი არ უნდა იყოს ამოვარდნილი კიდურა ნაწილების ლირიკულ-იდილიური ხასიათიდან. მის ბოლო რვა ტაქტში უნდა მოხდეს იმ ნაზი, მშვიდი ხასიათისა და ჟღერადობის შემზადება, რომელიც რეპრიზაშია გამეფეხული. აქ მუსიკა უღრეს უფრო მიღმურად. დიდი კულმინაციისა და დრამატული განვითარების შემდეგ, იგი თითქოს უფრო მოგონებაა, ვიდრე რეალური სურათი.

## ეტიუდი №6 მი ბემოლ მინორი

ეს მუსიკა თითქოს ფისქოლოგიური პორტრეტია მარტოსული ადამიანისა, შინაგანი მონოლოგი, აღსარება, რომელიც თავისი გამოშვასელობით, მხატვრული ზემოქმედების ძალით შეიძლება შოპენის გენიალური პრელუდიების გვერდით დავაყენოთ. ანტონ რუბინშტეინის შედარება — „მუსიკაში აუღერებული სული“ — ალბათ ყველაზე უკეთ გამოხატავს ამ პიესის შინაარსს.

ეტიუდი პოლიფონიურია. ფაქტურაში მკვეთრად არის გამოვლენილი სამი შრე (მელოდია თავისი დამხმარე ხმით, ბანის მელოდიური ხაზი და ორნამენტულად მელოდიზირებული ფიგურაცია შუა შრეში), რომელიც ქმნის პოლიფონიურ სიღრმესა და დენადობას. სწორედ მათ დიფერენციასა და ლოგიკურ დინამიკურ განლაგებაშია ამ ეტიუდის ძირითადი სირთულე. მისი ყოველი ხმა საგულდაგულოდ უნდა იქნას დამუშავებული და შესწავლილი. შშვიდი შელოდია, რომელიც თითქოს ყრდნობა დამხმარე ხმას სისადავით გამოიჩევა. ყოველგვარ ეფექტებს მოკლებული თითქოს ჩაძირული, ჩაკეტილია თავის თავში. ამ შეგრძნებას ამბაფრებს ტონალობა მი ბემოლ მინორი, რომელიც მთელი ექსპოზიციის მანძილზე არ იცვლება. კიდურა ნაწილებში მელოდია და დამხმარე ხმა ქმნიან კონტრაპუნქტს, რაც შესრულებისას ნათლად უნდა იქნას გამოვლენილი. მარცხენა ხელში ბანთან ერთად მოცემულია მელოდიური ფიგურაციები. აუცილებელია მათი ფუნქციის გამიჯვნა, ჟღერადობის მხრივ მათი დინამიკის დიფერენციაცია. „ორჯერ ექსპოზიციურ პერიოდში და მესამედ რეპრიზაში ჟღერს თემა, სადაც ოქტავური ნახტომით მიღებული მელოდიური მწვერვალი მოთავსებულია წინადადების მოსალოდნელ დასასრულამდე ერთი ტაქტით ადრე. D<sup>7</sup>-VI

გადაწყვეტას მოსდევს ორტაქტიანი გაფართოება. ეს ერთი მხრივ მასშტაბურად აწონასწორებს კულმინაციის ადგილმდებარეობას თემის კიდევრა წერტილების მიმართ, მეორე მხრივ კი მიჰყავს განვითარება კვადრატულ პროპორციამდე. რეპრიზაში, რომელიც იმეორებს ექსპოზიციის მეორე წინადადებას, მოცემულია ხუთტაქტიანი გაფართოება, რაც მიღწეულია შეწყვეტილი კადანსური ბრუნვის II<sup>6</sup>-D სამჯერადი გამეორებით. კადენციური პარმონიების ეს გაფართოება წარმოადგენს თხზულების მოახლოებული დასასრულის სიგნალის კომუნიკაციურ ფუნქციას“.<sup>6</sup>

იბადება კითხვა: რატომ გაიმეორა შოპენმა რეპრიზაში მხოლოდ ერთი წინადადება. ჩვენი ვარაუდით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თავიდან აეცილებინა თემის ჭარბი გამეორება. იმავდროულად თემის ერთ გატარებას შეიძლება მოჰყოლოდა რეპრიზის მასშტაბის ორმაგი შემცირება, რაც გამოიწვევდა ნაადრევი დასასრულის შეგრძებას. შოპენი ირჩევს ოპტიმალურ ვარიანტს: იგი იმეორებს თემას მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მასშტაბურად აფართოებს მას, რაზეც ზემოთაც იყო საუბარი. ყოველივე ზემოთქმული ფაქტობრივად ეხება ეტიუდის აღქმის მუსიკალურ-დრამატურგიულ საკითხს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია შემსრულებლისათვის.

თანხლება თითქოს მონოტონურია თავისი მოძრაობით, მაგრამ ინტონაციურად ძალზე გამომსახველია, სავსე ქრომატული ხვეულებით. სწორედ ის თავისი მელოდიით ქმნის, ქსოვს ხასიათის შუქ-ჩრდილებს. მსგავსი ტიპის მელოდიზირებული თანხლება ხშირად გვხვდება რომანტიკოსებთან, იგი თითქოს ხატავს, გადმოსცემს იმ გარემოს, ვითარებას, სადაც წარმოიშობა და ვითარდება მელოდია.

კრემლიოვი წერს: ჩვენ წინაშეა შიდატონალური მოდულაციების, თამაში პარმონიების, ორნამენტიკის თავისებური უნიკუმი. იგი ახალი ბრწყინვალე მაგალითია (მე-2 ეტიუდის შემდეგ) ჭარბი ქრომატიზმით დატვირთული პარმონიული ქსოვილის ოსტატური ფლობისას, რაც ესოდენ დამახასიათებელია შოპენის აზროვნებისათვის.<sup>7</sup> თანხლებაზე მუშაობისას აუცილებელია მოძრაობის უწყვეტობის, სითანაბრის, ლეგატოს მიღწევა. პირველ ეტაპზე იგი უნდა დამუშავდეს უპედლოდ, რათა არ გამოვეპაროს უმცირესი ხარვეზები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ არააკორდულ ბერებს, მათ დისნირებულ უდერადობას, შეფერილობას მთლიან კონტექსტში. რაც შეეხება პედალს, – იგი ვიბრირებს,

უაღრესად მობილურია. აյ არ არსებობს მზა რეცეპტი. ყური და ორივე პედალი მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოს და რეაგირებდეს უმცირეს ცვლილებებზე, რათა ფაქტურის სისუფთავე, გამჭვირვალობა შენარჩუნდეს ჭარბი ქრომატიზმის პირობებში.

მიღმტებინი წერს: არავინ ყოფილა უხეში, ხისტი დაკვრის ისეთი მოწინააღმდეგე, როგორც შოპენი იყო. მისი აზრით, თითები კი არ უნდა ურტყამდნენ კლავიშებს, არამედ რბილად უნდა ეხებოლნენ ბალიშებით და მოქნილად გადადიოდნენ ერთიდან მეორეზე. მტევანი უნდა იყოს მოქნილი თავისუფალი, მაგრამ უნდა „ყანყალებდეს“, თითები ოდნავ მოხრილი, თითის წვერები – მსუბუქად ფიქსირებული და რაც შეიძლება, კლავიშებთან ახლოს. მათი ძირითადი ფუნქციაა მაქსიმალურად შეიგრძობდნენ კლავიშის ფსერს. ისინი თითქოს „ძერწავენ“ ბერას.<sup>8</sup>

### ეტიუდი №19 დო დიეზ მინორი

ეტიუდ შეიძლება შევადაროთ ინსტრუმენტულ დუეტს, აյ ორივე ხმა ინდივიდუალიზებულია, მაგრამ ისინი ვითარდებიან პარმონიულ ერთობლიობაში. ერთ ხმაში წარმოშობილ და განვითარებულ ემოციურ ტალღას ხაზს უსვამს და ამძაფრებს რეპლიკა ან გამომსახველი ინტონაცია, მეორე ხმაში. ეს აზრობრივი გადაჯაჭვულობა მთლიანობას, უწყვეტობას ანიჭებს მუსიკას.

შემსრულებელს კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, ხმათა ტემბრალური შეფერილობიდან გამომდინარე, მათი დინამიკური განვითარების ამპლიტუდა, რათა სათანადო გადმოსცეს დინების ლოგიკურობა, ამაში მას დაეხმარება მერვედების განუწყვეტელი პულსაცია ფაქტურის შუა შრეში, სწორედ აქ მოცემულ ინტერგალთა გამომსახველი, გაბმული მოძრაობა დაგვიცავს გადაჭარბებული რუბატოსა და აზრის დანაწევრებისაგან. მსგავსი ტიპის პულსაცია ხშირად გვხვდება ბერიკოვნის სონატების მეორე ნაწილებში, რომელიც გარინდების, ზედროულობის შეგრძებას ბადებს და ამასთანავე მუსიკალური დინების მაორგანიზებელ მუხტს წარმოადგენს, ასევეა შოპენის პრელუდებში h-moll, Des-dur, ზოგიერთი მკელევარის აზრით ეს მოძრაობა წვიმის, ცრემლის წვეთების ასოციაციას იწვევს. „შოპენის ერთ-ერთი ყველაზე გამომსახველი მელოდია, „მუსიკალური მუტყველების“, მელოდიური რეზიტატივის უნიკუმი, რომლის თითოეული ინტონაცია „ლაპარაკობს“, მეტყველებს და იმავდროულად მელოდიურია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მელოსის ხაზი ცალკეულ

ფრაგმენტებად კი არ იყოფა, არამედ მრავალი ტაქტის მანძილზე უწყვეტად მიედინება და თავისი განუყოფელი ლირიკული ტალღით შლის საზღვრებს მათ შორის“.<sup>9</sup>

შესავალი იმპროვიზაციული ხასიათისაა. აქ კომპოზიტორი შემსრულებელს გარკვეულ თავისუფლებას აძლევს, ვინაიდან ეს სამი ტაქტი არაა შებოჭილი მერვედთა გაბმული ჰულსაცით, მაგრამ შემსრულებელი აუცილებლად უნდა გრძნობდეს შინაგან მაორგანიზებელ მუხტს, რაც განწყობისა და დროის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი ლოგიკურობისთვისაა აუცილებელი. „დამკაიდრებულმა აზრმა, რომ ესაა ეტიუდი მარცხენა ხელისათვის დროთა განმავლობაში გამოიწვია მისი შინაარსისა და გამოშესახვლობის ცალმხრივი გაგება და იმდენად შეცვალა მისი დანიშნულება პედაგოგიურ პრაქტიკაში, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩინა გამოვიდეთ ამ ეტიუდის ტრადიციული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ. ამით დავხმარებით შემსრულებელს თავი შეიკავოს ნაწარმოების ზერელე გაგებისაგან, ექსპანსიურობისა და ბგერის ზედმეტი სიმკეთრისაგან, რაც უპირატესობას ანიჭებს ბანს, მარჯვენა ხელის პარტიას კი მხოლოდ აკომპანიმენტის ფუნქციას უტოვებს. ამ ეტიუდის პოეტური ჩანაფიქრი და ჭეშმარიტი ღირებულება სწორედ ორივე პარტიის ზუსტ ბგერით თანაფარდობაზეა დაფუძნებული“<sup>10</sup>. აქ არ არის საკმარისი, მხოლოდ პიანისტურად კომფორტული შესრულება. ამ ეტიუდის შესრულებისას ხშირად ითვარღლებიან ელეგიურ-მელანქოლიური ხასიათით, რაც იწვევს ინტერპრეტაციის ერთფეროვნებას და შინაარსის გაუბრალობებას. შემსრულებელმა დამაჯერებლად უნდა გადმოსცეს მუსიკის ტრაგიკულ-დეკლამაციური ბუნება, დრამატული კულმინაციის თანაბაზობითი მომზადება, რასაც ხაზს უსგამს მარცხენა ხელის მგზნებარე პასაჟები და მარჯვენას ღრმა, შთაბეჭდავი უღერადობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პედალიზების თავისებურება ამ ეტიუდში, რაც გამოწვეულია ორი მელოდიის ერთდროული განვითარებით. აქ პედალი მხოლოდ პარმოზულ ცვლილებებზე კი არაა ორიენტირებული, არამედ მელოდიურ ხაზთა მოღიანობასა და ლეგატოზე, იგი უნდა იყოს რაც შეიძლება მობილური რათა გამოირიცხოს ზედმეტ ობერტონთა დაგროვების სიხშირე.

„შოპენი შედარებით იშვიათად მიმართავს კონტრაპუნქტის იმიტაციურ ხერხებს, მიუხედავად ცალკეული მაგალითებისა მაზურკებსა და მინორულ ბალადაში. შოპენის პოლიფონიური სტილის შესანიშნავი

მიღწევაა ეტიუდი ღო ღიეზ მინორი თხზ.25, ღრმა, დაძაბული ჩაფიქრება, სადაც მეორე ხმა ამდიდრებს, კონტრასტულად ავსებს პირველი ხმით გამოხატულ აზრს. ეს ნაწარმოები მარად იცოცხლებს, როგორც დასტური ადამიანური ტანჯვისა და ფიქრისა. ამგვარად, შოპენის შედარებით მრავალ, მცირე ფორმის ნაწარმოებებს განცდების სიღრმითა და ზემოქმედების ძალით შეუძლიათ გაეჯიბრონ ნებისმიერ ვრცელ, მრავალნაწილიან ნაწარმოებს“.<sup>11</sup>

უმნიშვნელოვანესია პედალიზაციის საკითხი საერთოდ საფორტეპიანო ხელოვნებაში და კერძოდ შოპენთან, კონკრეტულად კი ამ ეტიუდებთან მიმართებაში. შოპენი აღიარებულია როგორც ფორტეპიანოს პოეტი, პედალის პოეტი. მან პედალის მანამდე უცნობი ასალი შესაძლებლობების აღმოჩენით არაჩეულებრივად გაამდიდრა საფორტეპიანო უღერადობის პალიტრა. ის ცნობილი იყო თავისი ჯალისხური პედალიზაციით ისევე, როგორც შემდგომში სკრიაბინი.

ძირითადი ელემენტები, რასაც ეფუძნება პედალიზაცია შოპენის ნაწარმოებებში არის პარმონია და განსაკუთრებით ბანები, ესაა მისი მუსიკის არსებითი სასიცოცხლო ბაზა; მათი მელოდიური და რიტმული შერწყმა და ბოლოს – უღერადი ატმოსფეროს მრავალფეროვნება, რაც მუსიკას გამომსახველობით ხასიათს აძლევს.<sup>12</sup>

ერთ-ერთი ძირებული სირთულე ამ ეტიუდების შესრულებისას (როგორც ზოგადად შოპენის მუსიკალური ენისათვის დამახასიათებელი სირთულე) არის რუბატოს პრობლემა. შოპენის მოსწავლე მიკული შემდეგნაირად აღწერს მისი შესრულების სტილს, – „ხელი, რომელიც ასრულებს თანხლების როლს, უნდა უკრავდეს მკაცრად, ზუსტად ტაქტში, ხოლო მეორე, რომელსაც მიჰყავს მელოდიური ხაზი, – რიტმულად თავისეუფლად“<sup>13</sup>. სწორედ ეს არის შოპენისათვის დამახასიათებელი tempo rubato. ეს პროპორცია უნდა დაიცვას შემსრულებელმა, რათა მელოდია არ გამოვიდეს ცოცხალ სუნთქვას, ინტონირებას მოკლებული, ან მეორეს მხრივ – ეგზალტირებულ-სალონური.

1. Николаев В., «Шопен – исполнитель и педагог». в збор: *Как исполнять Шопена. ред. Засимова А.* Москва., 2009г., Классика - XXI., გვ. 77-7;

2. Мильштейн Я., «Советы Шопена пианистам», М., 1967г., გვ.15;

3. Кремлёв Ю., «Фредерик Шопен», Л.-М., 1949г., გვ. 389;

4. Мильштейн Я., «Советы Шопена пианистам», М., 1967г., გვ. 31;

5. ეს საკითხი განხილულია: Арутюнов Д., «О роли эллипса в музыке Шопена Ф.»; сб.ж.«Венок Шопену», М., 1989г., гл. 200-233;
6. ეს საკითხი განხილულია: Арутюнов Д., «О роли эллипса в музыке Шопена Ф.»; сб.ж.«Венок Шопену», М., 1989г., гл. 213;
7. Кремлев Ю., «Фредерик Шопен», Л.-М., 1949г., гл.394;
8. Мильштейн Я., «Советы Шопена пианистам», М., 1967г., гл. 32-33;
9. Корто А., «О Фортепианном искусстве», М., 1965г., гл. 277;
10. Кремлев Ю., «Фредерик Шопен», Л.-М., 1949г., гл.434;
11. Файнберг С., Шопен каким мы его слышим – Составление вступительная статья и примечания Хентовой С.М., изд. «Музыка», Москва, 1970г., гл.253;
12. Голубовская Н., «О музыкальном исполнительстве», Л., 1985г. гл.118;
13. Мильштейн Я., «Советы Шопена пианистам».; М., 1989г., гл.21.

**ახალი ქართული პოლიტიკური მუსიკის  
ფანატიზმის რომანტიკულ  
თეოდეციასთან და ქართული პოეზის  
ვერსიზიკაციასთან მიმართებაში**

ეროვნული საერო საკომპოზიტორო სკოლა საქართველოში ჩამოყალიბდა რომანტიკულ-სახეობრივი სისტემის ფარგლებში და უპირველესად დაუფუძნა ევროპული მუსიკალური რომანტიზმის პირველი პერიოდისთვის მნიშვნელოვან სასიმღერო (რომანს) და საოპერო ქანრს. ეროვნული საერო პროფესიული მუსიკის ტრადიციების უქონლობის პირობებში, ქართული მუსიკისმცოდნებისთვის მეტად მნიშვნელოვანია შეისწავლოს, თუ რომელი სტილურ-ინტონაციური ნაკადები უმრავდება მას საფუძვლს. ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის გენეზისის დადგენისას თავად მუსიკალური ხელოვნების სფეროში მნიშვნელოვან სირთულეებს ვწყდებით. გარკვეულ ეტაპამდე ჩვენთვის პრაქტიკულად უცნობია მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა სტილურ-ინტონაციური ნაკადების რეალური ხმოვანება. სამეფო კარის მუსიცირების შესახებ კი მოგვეპოვება მხოლოდ მწირი ლიტერატურულ-ისტორიული ცნობები. ყოველივე ეს გვაძლევბს „შემოვლითი“ გზის ძიებას და ხელოვნების სხვა დარგის, კერძოდ, ქართული მხატვრული ლიტერატურის დახმარებით, მუსიკალურ სფეროში მიმდინარე სავარაუდო პროცესის რეკონსტრუირებას. აპრილი ითქმის, რომ ეროვნული ცნობიერების წყალობით შემზადდა რომანტიკული ტენდენციების შემცველი სტილური ნაკადები, რომელთაც მე-19 საუკუნის ქართული საერო მუსიკის თავისებურებები განსაზღვრეს. თვით XIX საუკუნის ქართულ კულტურაში განვითარებული მხატვრულ-ესთეტიკური პროცესების გასაღებიც ცნობიერებაში მოიძიება. ამდენად, უპრიანია კვლევისას ცნობიერების თავისებურებებს შევეხოთ, რადგანაც მათზე ორიენტირება ხელოვნების სფეროში მიმდინარე მოვლენების გამოლიანებულ აღქმას უწყობს ხელს. ქართული მსოფლალქმისა და ცნობიერებისთვის ტიპურია რომანტიკული ტენდენციები – რომანტიკულ-ლირიკული საწყისისკენ ლტოლვა, რასაც ლირიკული სახიერებისა და ტრაგიზმის ფენომენიც უკავშირდება. ამგვარი ცნობიერება მხატვრულ

შემოქმედებაში შესაბამის რომანტიკულ მუსიკალურ-ინტონაციური ნაკადებს აყალიბებს.

მუსიკალური ხაზის რეკონსტრუირებისას მივმართავთ ქართულ პოეზიას შემდეგი ფაქტორების გამო: 1. რომანტიკული მსოფლაღქმა ყველაზე სრულყოფილად ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ პოეზიაში ვლინდება. 2. ეროვნული სული ყველაზე მეტად აღმოჩნდა დაცული ქართულ პოეტურ ლირიკაში, იგი ნაკლებად განიცდიდა უცხო მწერლობის გავლენას. 3. იმდენად რამდენადაც პოეზიას ყველაზე უფრო მჭიდრო კონტაქტი აქვს მუსიკასთან, ეროვნული პოეზია მნიშვნელოვანწილად დაგვეხმარება მუსიკალურ-ინტონაციური პროცესების რეკონსტრუირებაში. 4. ეროვნული მწერლობის განვითარების ხაზი საქართველოში არ შეწყვეტილა და მუდაშ გამოკვეთილია რომანტიკულის, პიროვნულის, ლირიკული სახიერების პრიორიტეტი. ეს უწყვეტობაც გვიწყოს ხელს პროცესების კვლევაში. 5. უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი უკავშირდება საქართველოში ლექსის გამღერების ტრადიციას; პოეზია ხომ შექმნისთანავე ფუნქციონირებდა, როგორც სინკრეტული ხელოვნება. სავარაუდოდ, პოეზიაში გამოვლენილი რომანტიკული ტენდენციები სწორედ მუსიკის ლირიკულ ინტონაციურობაში უნდა გარდატეხილიყო.

როდესაც მუსიკალური ხელოვნების პროცესების რეკონსტრუირებისას ხელოვნების სხვა დარგებს (ამ შემთხვევაში პოეზიას) ვეყრდნობით, ვხელმძღვანელობთ მარტივი და ლოგიკური პრინციპით. ცნობიერება ერთს ფენომენის ის ნაწილია, რომელიც ხელოვნების ყველა დარგში ვლინდება და მსგავს პროცესებს უდებს სათავეს. გეორგ ვილჰელმ ჰეგელის აზრით, ხელოვნების სხვადასხვა სფერო, მათ შორის არსებული საერთო ნიშნების გამო, ერთ იდეალში იყრის თავს – „ხელოვნების თითოეულ დარგს ჩამოყალიბების ის თავისებურებანი გააჩნია, რომლებიც აბსტრაქტულად ყველას აერთიანებს“!<sup>1</sup> ამ კუთხით ხელოვნების დარგები შეიძლება შევადაროთ მსოფლიოს ენებსაც, რადგან, როგორც თეორიული ლინგვისტიკის ფურმლებელი – ვილჰელმ ფონ ჰებბოლდტი წერს: – „განსხვავებული ენები სულაც არ არის ერთი და იმავე საგნის სხვადასხვაგვარი ხედვა“.<sup>2</sup> პოეზიის განვითარების ისტორიული პროცესის ანალიგით და მუსიკასთან გადაკვეთის წერტილების წყალობით, ნაწილობრივ მაინც არის შესაძლებელი მუსიკალურ-ინტონაციურ მხარეში არეკლილი პროცესების აღდგენა, ეროვნული ცნობიერების საშუალებით

ასალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდღრები რომანტიკულ ტენდენციასთან და ქართული პოეზიის ეფუძნებასთან მიმართებაში

კი მათი გამთლიანების საშუალება გვეძლევა. ამ ორ დარგს შორის ინტონაციური ზეგავლენის მექანიზმი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს. პოეზიისა და მუსიკის შეხების წერტილი ინტონაციურობაზე მოდის (ამ სიტყვის ფართო გაგებით). როგორც ვ. ვარინა-გროსმანი წერს: – „გარდა ხელოვნების ამ ორი დარგის სახეობრივი კავშირისა, ყველა ვიკალურ ნაწარმოებში არსებობს მუსიკალური და პოეტური კომპოზიციის, სამეტყველო და მუსიკალური ინტონაციის, მუსიკალური და პოეტური რიტმის ურთიერთგავლენა“.<sup>3</sup> პოეტური ნიმუშების გამოყრების დროს ლექსის ფონება მუსიკაზე ზემოქმედებს სახეობრივ-ემოციურად, ვერსიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით კი წმინდა ინტონაციურადაც. რაც შეეხება ტერმინს – ვერსიფიკაცია, იგი დამკვიდრა გრიგოლ რობაქიძემ, მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით ეს ტერმინი პრატიკულად არავის გამოყენებია.<sup>4</sup> თუ კიდევ უფრო ჩავუდრმავდებით საკითხს და პოეზიის თეორიის კუთხიდან გავანალიზებთ ამ კავშირს პოეზიასა და მუსიკას შორის, აღმოვაჩნთ, რომ ისინი ეფუძნებიან ერთმანეთთან ადვილად შეფარდებად კატეგორიებსა და პარამეტრებს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მივმართოთ პოეზიის თეორიის თუნდაც მეცნიერ ნიკოლაი გუმილიოვისეულ კლასიფიკაციას, რომლის თანახმად – 1. ფონეტიკა იკვლევს ლექსის ბერით მხარეს, რიტმს, ე. ი. ხმის აწევისა და დაწევის მონაცემებას, ინსტრუმენტებას, ანუ სხვადასხვა ბერის ხარისხსა და ურთიერთს შორის კავშირს, ბერითი თვალსაზრისით ლექსის დასრულების მეცნიერებას და მეცნიერებას რითმების შესახებ; 2. სტილისტიკა განიხილავს შთაბეჭდილებას, რომელსაც სიტყვა ახდენს. ამ შთაბეჭდილებას განსაზღვრავს სიტყვის წარმომავლობა, ასაკი, ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიისთვის კუთვნილება, ადგილი ფრაზაში და აგრეთვე, სიტყვათა კრებული, რომელიც თითქოს ერთ მთლიანობას ქმნის; 3. კომპოზიცია სწავლობს ლექსში ჩადებულ აზრთა, გრძნობათა და სახეთა ინტენსივობასა და ცვლას; 4. ეთოლოლოგია აჯამებს პოეზიის თემებს და პოეტის ამ თემებთან შესაძლო დამოკიდებულებებს.<sup>5</sup> წინამდებარე მსჯელობა ფაქტობრივად აგებულია მუსიკალური ხელოვნების კატეგორიებსა და ტერმინებზე. ამ დარგების ზოგი თეორიული საკითხის ანალიზი მართლაც საერთო ტერმინებსა და კატეგორიებს ეფუძნება, საანალიზო საკითხების თვისობრივი მსგავსებაც სახეზეა. ამდენად, დასმული პრობლემის

კვლევისას, ქართული პოეზია ჩვენთვის ამოსავალი წერტილია. სტატიის და საწყისში ზოგადად შევხეთ ეროვნული ცნობიერების როლს საერო საკომიტეტორო სკოლის ჩამოყალიბებაში, ამჯერად კონკრეტულად მივუთითებთ, თუ როგორ ვლინდება ქართული ხელოვნების უპირველეს დარგში ლიტერატურაში ეროვნული ცნობიერების უმნიშვნელოვანესი თავისებურებები - პიროვნული საწყისისკენ ლტოლვა, ლირიკულ-რომანტიკული ტენდენციები, ტრაგიზმის ფენომენი, შემდეგ კი განვიხილოთ ქართული პოეზის ისტორიული გზა საერო პროფესიული მუსიკალური ხელოვნების რეკონსტრუირების კუთხით.

ქართული ლიტერატურის პირველივე ნიმუშებში ვლინდება სუბიექტური საწყისის სილრმე, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა შრეებსაც კი გადასწვდება. ამ მხრივ უნიკალურია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომელშიც გმირის სულიერი მდგომარეობის ფსიქოლოგიური ქვეტესტი ბუნების სურათების გადმოცემისას იხსნება, რაც უპრეცედენტოა შუასაუკუნეების საქრისტიანოს მწერლობისთვის. მკვლევარი რევაზ ბარამიძე ხაზს უსვამს ამ ნაწარმოების პერსონაჟთა აღწერისას ფსიქოლოგიური ნიუანსებისა და საერო ნაკადის სიჭარბეს.<sup>6</sup> ლეონტი მროველის კრებულის („ცხოვრება ფარნავაზისა“) ერთ-ერთ მონაკვეთს კი შემდეგნაირად აფასებს: - „ასეთი ფსიქოლოგიური პასაჟები სრულიად უცხოა 12 საუკუნით დაცილებული მემატიანის წმინდა ინფორმაციული ხასიათის სტილისთვის, რომლისთვისაც ნიშანდობლივია მხოლოდ ფაქტების ფიქსირება და მათი ანალიზი, ხოლო პიროვნების შინაგან სამყაროზე, მის სუბიექტურ განცდებზე, 12 საუკუნით დაცილებული მემატიანები ნაკლებად გვესაუბრებიან“.<sup>7</sup> „სული წმიდის“ შთაგონებით მოქმედი მწერალი თუ უამთააღმწერი ამბავს სუბიექტურ პრიზმაში გარდატეხს, რაც ყოვლად გამორიცხულია უანრის კანონიკიდან გამომდინარე. ეს ფაქტი გვიმყარებს აზრს, რომ შუა საუკუნეების ეპოქალურ სივრცეში - პიროვნული საწყისისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომანტიკულობა, საერო ცნობიერების ნაკადის დომინირება ეროვნული შხატვრული ცნობიერების თავისებურებაა. შემთხვევით არ მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი შუა საუკუნეების ქართულ მწერლობასთან მიმართებაში: - „აღმოსავლეთის არც ერთ ქრისტიან ერს, გარდა ქართველებისა, არც ასურელებს, არც სომხებს, არც თვით ბიზანტიულ

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდლერები რომანტიკულ ტენდენციასთან და ქართული პოეზიის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში

ბერძნებს საერო მწერლობა არ გააჩნიათ<sup>8</sup>: პიროვნული საწყისისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება, რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული უკეთ რაციონალიზმის, ევროპუნიტრიზმის და რაც მთავარია, ანთროპოცენტრიზმის დამკვიდრებასაც უწყობს ხელს. მხატვრული მსოფლალება ამ პერიოდში ისედაც ინდივიდუალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი და პიროვნების პრობლემის ირგვლივ კონკრეტრირდება. საქართველოში ეს გამოვლინდა რენესანსული რაინდობის ინსტიტუტის (საქართველოში „პარგუმობის“ სახელით), ქალის კულტის დამკვიდრების, მმაღნაფიცობის და სტუმარ-მასპინძლობის ადათის ჩამოყალიბების, გმირობის ღირებულებრივი კატეგორიის წინ წამოწევის ფორმით, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პიროვნული „მეს“ განმტკიცებას. რუსთაველის პოემაში თავს იჩენს პიროვნებასთან დაკავშირებული რომანტიკული ტენდენციები: იდეალურისკენ სწრაფვა, ამაღლებული სიყვარულისა და სევდის მოტივები, პიროვნების გუნება-განწყობის ბუნების სურათებთან დაკავშირება და სხვა.

XVII-XVIII საუკუნეებში მკვიდრდება სოფლის სამდურავისა და კაუშანის თემაც, რაც კვლავ პიროვნების პრობლემას უკავშირდება და უშუალოდ ამზადებს ქართულ რომანტიზმს. მე-19 საუკუნეში კი კონკრეტული მიმართულების - რომანტიზმის მხატვრულ-სააზროვნო სისტემის ფარგლებში თავს იყრის პიროვნების სუბიექტურ მსოფლალემასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა. როგორც წინამდებარე ანალიზმა ცხადყო, ეროვნული კულტურა მუდამ მგრძნობიარე იყო პიროვნული სადმი, ლირიკული სადმი, რომანტიკული სადმი, რადგან ეს ცნობიერების დონეზე გვახასიათებს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ საგმირო ეპოზე ადრე საქართველოში ლირიკული ხალხური ეპოზი წარმოიშვა, ლირიკული უღერადობა ახასიათებდა მუსიკალური გლეხური ფოლკლორის უანრებს: ურმულებს, ნანებს, სატრიფიალო ცალფა სიმღერებს. ეროვნული პროფესიული საერო სკოლის ჩამოყალიბებაც ხომ სწორედ რომანტიკული ნიშნითაა აღბეჭდილი; პირველ ქართულ რომანსებსა და ოპერებშიც წინა პლანზეა წამოწეული პიროვნული „მე“, რომანტიკულობა, ლირიკული სახიერება.

ახლა კი საერო მუსიკის ისტორიული გზის რეკონსტრუქტურებისთვის მოგაწყოთ მცირე ექსკურსი ქართული პოეზიის ისტორიაში და მიუვთითოთ პოეტური ვერსიფიკაციის მუსიკალურ ინტონაციურობაზე ზემოქმედების შესახებ.

თავდაპირველად ზოგადად განვსაზღვროთ ქართული ლექსის ფენომენი. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ლექსწყობის მოცემულ სისტემას განსაზღვრავს ამ ერთს ენის პროსოდიული მონაცემი, უფრო კონკრეტულად – პროსოდიული სისტემის ზესეგმენტური ფუნქციონალური ფონემა. ნაშრომში დასმული პრობლემის ჭრილში ძალზე საგულისხმოა ფილოლოგ აპოლონ სილაგაძის მოსაზრება ქართული ლექსწყობის შესახებ. იგი მეტრიკულ ტიპოლოგიაში ლექსწყობათა ოთხი ძირითად ტიპს გამოყოფს: 1. სილაბური, 2. აქცენტური (დინამიკური, კვალიტატური, სილაბურ-აქცენტური), 3. მეტრიკული (დურაციული, კანტიტატური), 4. ტონური. ლექსწყობის მის მიერ ჩამოყალიბებული კლასიფიკაციის მიხედვით, რომელშიც ოთხი ტიპი ორ კლასად ერთიანდება (1. სილაბური ლექსტყობა, 2. სილაბურ-პროსოდიული ლექსწყობა: დურაციული, დინამიკური, ტონური) ქართულ ლექსის განაკუთხებს მეოთხე ტიპს – ტონურს და მეორე კლასს.<sup>9</sup> ლექსწყობის სისტემათა შორის ტონური ლექსი ყველაზე თავისუფალია, რადგან მის ტაქტებში მარცვალთა ნებისმიერი რაოდენობაა დასაშვები, ცეზურა მოძრავია, სტროფული დანაწევრება არათანმიმდევრული, აღინიშნება კავშირი პროზაულ მეტყველებასთან.

სხვადასხვა ეპოქაში ქართული პოეტური სტილის მრავალფეროვნება ნამდვილად შესაბამის ზემოქმედებას ახდენდა მუსიკის ინტონაციურობაზე. პირველ რიგში შევეხოთ პოემას „ვეფხისტყაოსანი“. გარდა უზარმაზარი გავლენისა ქართულ მხატვრულ ცნობიერებაზე, სავარაუდოა ამ ნაწარმოების მუსიკალურ ინტონაციურობაზე ზემოქმედების ფაქტიც. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსანი“ ჰქონებდა სათანადო მუსიკალურ შესრულებას თუ რუსთაველის მიერ არა, თამარ მეფის კარის მუსიკოსების მხრივ მაინც. გარდა ამისა, საქართველოში არსებობს პოემის ცალკეულ სიტყვებზე აგებული ხალხური სიმღერები. თავად პოემაც გვაწოდებს ფასდაუდებელ ინფორმაციას სასახლის კარზე მუსიკის უზარმაზარი როლის შესახებ, საგულისხმოა, რომ თვით შოთა რუსთაველი მიუთითებს მუსიკის პოეზიასთან კავშირზე; პოემის მიხედვით, მელექსეობის მესამე „კარგი არის სანადიმოდ, სამღერელად“. გვხვდება მრავალი ტერმინიც, რომელებიც მუსიკისა და პოეზის სიახლოებზე მიუთითებს. ასე მაგ: „მგოსანი“ (გოს – სპარსულად ჩანგს ნიშნავს) – ჩანგზე დამკვრელი იმპროვიზატორი იყო. „მგოსნის“ შესატყვის სიტყვად, პავლე ინგოროვას „სიმღერათმწერალი“ მიაჩნია

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდღვრები რომანტიკულ ტერენტიასთან და ქართული პოეზის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში

(აქვე გავიხსენოთ ქართულ რეალობაში დამკვიდრებული ტერმინიც „მგოსანი გლოვისანი“). პოემაში გვხვდება ტერმინი „მუტრიბიც“, რომელიც არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს მუსიკოსს, მოცეკვავეს, ასევე სიტყვები – „აქებდეს, ამკობდეს, ენამუსიკობს“, რომელებიც მინიშნებაა გამდერებით წარმოთქმულ სახოტბო პოეზიაზე. გამდერებისას პოემის ვერსიფიკაციას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა ეროვნული მუსიკის ინტონაციურ ბუნებაზე. ცნობილია, რომ „კითხვა“ ძველ ქართულში, „ხმით შესრულებას“ ნიშნავდა. პოემის აღქმისას ესთეტიკური განცდა იძალება ტექსტის აზრობრივი შინაარსის და ვერსიფიკაციის შინაგანი მუსიკალობის აღქმით. ლიტერატორი მოსე გოგიბერიძის ყურადღების ცენტრში მოექცა პოემის შინაგანი მუსიკალობა, რომელსაც ექვება უფრო სიღრმისულ შრეებში, ხოლო ლექსწყობის გამოყენებული ფორმები, მეტრული და რითმული სტრუქტურები, ვეფონის ხერხები, მისი აზრით, მხოლოდ ამ შინაგანი მუსიკალური არსის გადმოცემის საშუალებებია. პირობითად მკვლევარი მას „ლექსის კონტრაპუნქტს“ უწოდებს და წერს: „მომაჯადოვებელია ამ ბევრათა კონტრაპუნქტული სხმა“<sup>10</sup> მართებულია დაკვირვება – „სიტყვის მოსმენა შეუძლებელი ხდება და მხოლოდ ჰარმონიული განცდალა რჩება ყურისთვის“<sup>11</sup> მკვლევრისთვის ეს „ლექსით მღერა“, როდესაც „მუსიკოსობს ხმიანი თუ უხმო ბევრების იშვიათი ჰარმონია“<sup>12</sup> თვით მაჯამების ხშირი გამოყენებაც „მუსიკალურ სრულდიორგებულია“. ყოველივე ამას მ. გოგიბერიძემ „რუსთაველის ვერსიფიკაციის „ტონაცია“ უწოდა.<sup>13</sup> როგორც მკვლევარი ელგუჯა ხინთიბიძე მიუთითებს, რუსთაველმა საბოლოოდ დააძვიდრა თექსმეტ-მარცვლოვანი მეტრი, რომელიც „ლირიკული გადასვლებისათვისაა მოსახერხებელი“, „ევფონია გაამდიდრა შიდარითების უმრავი „მოდელებით“, „რითმის მუსიკალობას ერთვის ბევრათა ჰარმონიული უდერადობა“, რომელიც გამოიხატა ალიტერაციების და ასონანსების დამკვიდრებაში, ასევე დაამკვიდრა ფისტიკაური ფორმა თავისი ბოლორითმულობითა და შიდაურითმობით<sup>14</sup> მიუხედავად იმისა, რომ პოემაში გვხვდებით აღმოსავლური პოეზიის მოტივებს, თავად ვერსიფიკაცია ქართული ლირიკული პოეზიის თავისებურებებს ეყრდნობა, რომელებიც არსებობდა საერო პოეზიის სხვა ნიმუშებსა და ხალხურ ლირიკულ პოეზიაში, თვით ქართულ სასულიერო იამბიკურ პოეზიაშიც.<sup>15</sup> რუსთაველის პოემასთან ერთად მნიშვნელოვანია ლირიკული სახოტბო პოეზიის

ნიმუშებიც – შავთელის „აბდულმესიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ნიმუშების ვერსიფიკაციის მრავალფეროვნებას, სავარაუდოა, რომ მუსიკალურ ინტონაციაში იგი მეტად საინტერესო რიტმო-ინტონაციურ მოდელებს ჩამოაყალიბდება. პოეზიის გამღერების ტრადიცია შემდგომ საუკუნეებშიც შენარჩუნდა. ამ შხრივ საინტერესო შე-17-18 საუკუნეებია, როდესაც თამარის და დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგ პროცესი აღდგა მეფე-პოლეტების ტრადიცია საქართველოში, რომლის მსგავსი მსოფლიოს სხვა ერებს, შესაძლოა, არც კი ჰქონდეთ. ეს ერთი არგუმენტია ქართველი ერის რომანტიკული ცნობიერების დასამტკიცებლად. საგულისხმოა, რომ საქართველოს ისტორიის ამ ძნელებლის უამს მეფე-პოლეტების თხზულებებში ვლინდება ის ტენდენციები, რაც ევროპაში რომანტიზმის ხელოვნებამ მოიტანა. საკუთარი ქვეყნის ბედით დათრგუნული მეფეები პიროვნულ კაეშანს ავლენენ სოფლის სამდურავის და სოფლის ამაობის თემებში. ეპოქალური და ქროვნული ტკიფილები, მასთან დაკავშირებული ახალი სახეობრივი ოქატიკა რუსთაველის მიერ დამკვიდრებულ ლექსწყობის ფორმებში პპოვებს გამოხატულებას; თუმცა სავსებით ბუნებრივია, რომ 16 და 20 მარცვლოვანი სალექსო ფორმა გარკვეულ გადახალისებას განიცდის. ამ ლექსების გამღერებისას, კაუშანის, სევდის მოტივი, შესაბამის სევდან ინტონაციურობას დაუდებდა სათავეს მუსიკალურ ინტონირებაში. ვერსიფიკაციის პრობლემის ჭრილში საინტერესოა თეიმურაზ I-ის და არჩილის, ვახტანგ VI-ის შემოქმედება. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება ქართული ლირიკული პოეზიის უანრის – ელევის დამკვიდრება თავისი პალინდრომული ფორმებით (წაღმა-უკუღმა ერთნაირად წარმოთქმადი), რაც გამღერების შემთხვევებში, სავარაუდოდ, განსაკუთრებულ მუსიკალურ ინტონაციურობას დაუდებდა საფუძველს. დასტური პრობლემის ჭრილში განსაკუთრებული ინტერესის საგანია დავით გურამიშვილის შემოქმედება. მისი ლექსების მუსიკალურ ინტონაციაზე ზემოქმედების საკითხი დაიღესტირება პლანში უნდა განვიხილოთ. ერთი მხრივ, ქართული, მასთან ერთად უკრაინული მუსიკალური ფოლკლორის პლასტებით პროფესიული დაინტერესება ზემოქმედების ახდენდა მის ლექსებზე. მეორე მხრივ კი, მისი ლექსები სპეციალურად საიმღერო კოლოზე გადასატანად იწერებოდა. გურამიშვილის პოეზიაში ხდება რუსთაველის პოემის ვერსიფიკაციის კანონიკიდან

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდღვრები რომანტიკულ ქართვისათან და ქართული პოეზიის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში

თანდათან გამონთავისუფლება. რუსთაველის 16 მარცვლიან და ჩახრუხაძისულ 20 მარცვლიან ლექსთან ერთად იგი იყენებს 5, 6, 7, 11, 12, 14 მარცვლიან ლექსს, ქმნის აკროსტიქულ ლექსს.<sup>16</sup> მთლიანიობაში 87 სალექსო ფორმაში 57 საზომს მიმართავს (რომელთაგან 40 მან დაამკვიდრა). ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობის მქონეა ის ფაქტი, რომ მწერლის სახელს ლირიკული უანრის დინამიკური განვითარება უკავშირდება. მუსიკალურ ინტონაციურობაში გარდატეხილი ლირიკული სახიერება, ასეთი გამრავალფეროვნებული ვერსიფიკაცია უთუოდ მოახდენდა გავლენას მუსიკაზე და ძლიერ ლირიკულ-რომანტიკულ ნაკადს დაუდებდა სათავეს. საგულისხმოა, რომ დ. გურამიშვილის პოეზია შედარებით გვინდ შემოვიდა საქართველოში და „გადაურჩა“ ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიის გავლენას, რის გამოც „სიმსუბუქე“ შეინარჩუნა. „დავითიანი“ რომანტიკოსების ლექსების პარალელურად დამკვიდრდა. პრაქტიკულად თანაარსებიბდა ლირიკული ლექსწყობის პრინციპულად განსხვავებული ფორმები, რაც რომანტიზმის ეპოქის პოეზიის ვერსიფიკაციის მრავალფეროვნებას განაპირობებდა. ქართული საერო მუსიკალურ-პოეტური ხელოვნების განვითარების საინტერესო პერიოდი უკავშირდება ერეკლე II-ის ეპოქას, როდესაც სასახლის კარზე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი პოეტები, მომღერლები და „დამკვრელები“ – ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), საიათონვა, მაჩაბელი. ბესიკის ლირიკულ-რომანტიკული სახიერების მქონე პოეზიაც სასიმღეროდ იყო განკუთვნილი და მის პანგს „ციურ მღერად“ მოიხსენიებდნენ. „აშულური ხმოვანების“ გამო ბესიკმა „მელექსეთბაშის“ სახელიც კი დაიმკიდრა.<sup>17</sup> ბესიკის ლექსის შინაგანი მუსიკალობა განაირობებული იყო მრავალფეროვანი სალექსო ფორმებით, ჰეტეროსილაბური საზომების სიმრავლით, „ბესიკურის“ სახელით დამკვიდრებული „ტანო ტატანის“ მეტრით (5/4/5), რომელსაც წინაცეზურულ რითმას უწოდებენ. ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აღმოსავლური ლექსწყობის გავრცელებულ ფორმებს პლეტმა ეროვნული იქრი მიანიჭა. ამდღნად ქართული ლირიკული პოეზიის ხაზი, მისოვის დამახასიათებელი სუბიექტური საწყისის გამახვილებით, არც ამჯერად დაკარგულა. გარდა პროფესიული მწერლობისა, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ხაზის რეკონსტრუირებაში გვეხმარება, მნიშვნელოვანია ქართული პოეტური თუ მუსიკალური ფოლკლორი (მხატვრულ-სახეობრივი

და ინტონაციური პლასტების დონეზე), სამეფო კარის ხელოვნება, აშუღური პოეზია, სადაც ასევე მყაფიოდ ვლინდება რომანტიკული ცნობიერება. აშუღების ვოკალურ-ინსტრუმენტული ფანრები – დასთანი, ბაიათი, მუხამბაზი გამოიჩინდა უხვი მელიზმებით, განვითარებული მელოდიკით, ისინი მართავდნენ პოეტურ პაექრობას, რომელიც ერთგვარად ქართულ შაირობა-კაფიობას და შემღერებას ჰგავდა. ბესიკის თანამდებოვე, აშუღური პოეზიის წარმომადგენლის საიათოვას ლირიკული ლექსის ფონემაც სპეციფიკურ რიტმო-ინტონაციურ ნაკადში პაოვებდა გარდატეხას. დასმული პრობლემის ჭრილში აშუღური კულტურა შესაძლოა ნაკლებ აქტუალურია, მაგრამ სინკრეტული ხელოვნების ეს ტრადიცია იმ პოეტური ტრადიციის ფარგლებში მიიაზრება, რომელმაც სუბიექტურ-პაროვნული განცდის სიღრმე გამოავლინა და ერთ-ერთი სტილური ნაკადის სახით მონაწილეობდა საერო ქართული მუსიკის იერსახის ჩამოყალიბებაში;

მე-19 საუკუნემდე მიმდინარე პროცესების ანალიზისას პრაქტიკულად მხოლოდ კარის სამუსიკო სინკრეტული ფორმების და ლირიკული პოეზიის სტილურ ნაკადებს შევეხეთ, რომლებმაც მნიშვნელოვანი სახეობრივი და ინტონაციური საფუძველი მოუმზადეს საერო სამუსიკო ხელოვნების განვითარებას. რაც შევეხება რომანტიზმის ეპოქას, მუსიკისმცოდნეობისთვის პრობლემა შედარებით მარტივდება, რადგან პრაქტიკულად ყველა პროცესის სახოტო მასალაში ასახვა ხდება. ეროვნული კულტურა მეტად მგრძნობიარე აღმოჩნდა მასში გრძეტიკურად ჩადებული რომანტიკული საწყისისადმი. მზაობა ევროპული რომანტიზმის მხატვრულ-საზროვნო სისტემის ათვისებისათვის ეროვნული ცნობიერების დონეზე არსებობდა, რამაც მყარი ნიადაგი შექმნა ამ მიმართულების ჩამოყალიბებისთვის და ქართული კულტურა ევროპული კულტურის განვითარების ერთიან მაგისტრალურ ხაზს კანონზომიერად დაუბრუნდა. სხვა შემთხვევაში, მხოლოდ ევროპული რომანტიზმის მექანიკური გავლენა ვერ უზრუნველყოფდა ეროვნული რომანტიკული პოეზიის თავისთავადობას და გენიალობას.

საერო მუსიკის შემდგომი განვითარებაც მთლიანად რომანტიზმის მუსიკალურ-სააზროვნო სისტემის ორბიტაში მოექცა. მეტად საინტერესოა ახალი სალიტერატურო ენის ნორმების და ევროპული ფუნქციონალური სისტემის დამკვიდრების ერთდროულობა. ეროვნული პროფესიული საკომპოზიტორო სტილი ჩამოყალიბდა ევროპული

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდღვრები რომანტიკულ ქართულციასთან და ქართული პოეზიის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში

ფუნქციონალური სამუსიკო სისტემის ეროვნულ კილოურ აზროვნებასთან შეჯერების გზით. ამ პერიოდისთვის ეროვნულ ნიადაგზე არსებული ინტონაციური ნაკადები მუსიცირების წიაღში უმთავრესად რომანსის უანრში ჰპოვებს გადაწყვეტას. თუმცა აქტუალობას კვლავ ინარჩუნებს პოეზიის ნაკადის როდი. მუსიკალურ ინტონირებაზე მისი ზემოქმედების პროცესი უკვე სანოტო სისტემაში ფიქსირდება. რომანტიკოსთა თოთხმეტ მარცვლიანი ჯვარედინა რითმების მქონე სალექსი ზომა, უდავოდ შეიცავდა მუსიკალური ალერების პოტენციურ შესაძლებლობას. ასე, მაგ.: ალექსანდრე ჭავჭავაძის ბევრი ლექსი ქართულ და რუსულ ენგბზეც კი იმღრებოდა. რომანტიზმის პერიოდში წარმომადინო სალონებში პოეტის ლექსების მუსიკალობა გასილ ბარნოვს აღუძრავდა მთი ნოტებითურთ გამოცემის სურვილს. განსაკუთრებული განხილვის საგანია ქართული ვერსიფიკაციული აზროვნების ერთ-ერთი მწვერვალი – ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია. „როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის სალექსო რეფორმის, სულხან – საბა ორბელიანის ვერსიფიკაციულ სიახლეთა დამკვიდრების მეობებით, ქართული ლექსი XIX საუკუნეში, გარგვეულწილად, უძვე განახლებული შევდა 6. ბარათაშვილის სალექსო რეფორმას“.<sup>18</sup> ქართველი რომანტიკოსებიდან პირველმა სწორედ მან გაიკვლია გზა მუსიკალური სალონებისაკენ. ზოგ ლექსე ივი გამიზნულად მუსიკალური ალერებისთვის წერდა, თარგმნიდა რუსულ სასიმღერო ტექსტებსაც, რუსთაველის მსგავსად, მის პოეზიაში ვწვდებით პოეტური და მუსიკალური სახიერების მომცველ სიტყვათა შეთანხმებას („ესხივმფინარება“, „მგოსნის ყარიბ გულს“, „ხმით მშვენიერით“ ნამღრი, „ტყბილი სიმღერა“). 6. ბარათაშვილის პოეზიაში გარდა ათმარცვლედის (5/5-ს სახით) საზომისა, რომელიც ძალზე მოსახერხებელია მუსიკაში აუღერებისთვის, გვხვდება თოთხმეტმარცვლიანი (5/4/5), თექვსმეტმარცვლიანი (53/53) და ოცმარცვლიანი (55/55) საზომები, რომლებიც შედარებით ნაკლებად დაექვემდებარებოდა მუსიკალური ფრაზის იმანენტურ კანონებს. იმდენად რამდენადც ბარათაშვილის პოეზია არ იძლევა „მოქნილი“ მელოდიური მუსიკალური ფრაზის აგების საშუალებას (ვერსიფიკაციის თავისებურებების გამო), სალონური მუსიცირების პირობებში ადგილი ჰქონდა ლექსების „მექანიკურ“ გამღრებას, როდესაც პოეზია განსაზღვრავს მუსიკალური ფრაზის სტრუქტურას. ამ სახით გამღრებული პოეზიის პოპულარობაზე მეტყველებს პოეტის ლექსებზე

დაწერილი კ. მახარაძის, ი. კარგარეთელის, ნ. გუდიაშვილის, გ. საყვარელიძის, ი. მირიანაშვილის, ლ. ფალიაშვილის რომანები და საგუნდო სიმღერები.

ცალკე საკითხად შევეხოთ ქართული ლექსის საზომთა შორის ერთ-ერთ, ყველაზე გავრცელებულ მეტრს – ათმარცვლებს, რომელმაც გარკვეული ზემოქმედება მრავდინა ქართული მუსიკის ინტონაციურ ბუნებაზე. ფილოლოგ თამარ ბარბაქაძის აზრით, მისი ერთ-ერთი სახე – 5/5 გვხვდება აღორძინების პერიოდის ხანიდან დღემდე, 4/4/2 დამკიდრებულია ასევე აღორძინების ეპოქაში და აღდგენილია XX საუკუნეში, ქართული რიტმიკისათვის ძლიერ ხელოვნური სახე 3/4/3 ერთი სტრიქონით არის წარმოდგენილი პირველად აღვერებული ჭავჭავაძის ლექსში „ედმეს რგულსა“ („ლალ-ბროლსა შერევნია შეთხზულად“) და 3/3/3/1, რომელიც XVIII–XIX საუკუნეების ქართულ პოეზიაში თითქმის არ გვხვდება<sup>19</sup>. ხაზგასმით აღვნიშნავთ რომ შინაგანი მუსიკალობის მხრივ გამორჩეულია ათმარცვლიანი საზომის 4/4/2 (მათ შორის „მუხრანული“), რომელიც XVIII–XIX საუკუნეებში მეტნაკლები ინტენსივობით გვხვდება მამუკა ბარათაშვილის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, განსაკუთრებული ინტენსივობით კი მას XX საუკუნის პოეტები მიმართავენ. როგორც თამარ ბარბაქაძე წერს – „მაღალი შაირის რიტმულ სქემასთან სიახლოვე მელოდიურობას მატებს ამ საზომს, რომელიც დაღმავალი კადენცითა და მიმართვის რევრენულობით გამოირჩევა“.<sup>20</sup>

ამგვარად, ქართული საერო საკომპოზიტორო სკოლა ჩამოყალიბდა საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე პოეტური და სხვა ლირიკული თვისიბრიობის სტილულ-ინტონაციური ნაკადების შერწყმის გზით, რაც ინტენსიფიცირებული იყო ეროვნული რომანტიკული ცნობიერებით. შემთხვევითი არ არის, რომ XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე საკომპოზიტორო სკოლის ფორმირება ახალი ქართული პროფესიული მუსიკის უპირველეს უანრ - რომანს დაუკავშირდა, რომელშიც ლირიკულმა ინტონაციურმა ნაკადებმა მოიყრა თავი. რომანსი, ლირიკული ინტონაციურობის განვითარების პირველ ეტაპზე მიუთითებს. თუკი ქართულ რომანსს ლირიკული ინტონაციურიობის განვითარების პირველ ეტაპად მივიჩნევთ, ეროვნულ აბერაში სტილური პლასტის სახით შედგეული რომანსულობა, ლირიკული ინტონაციურობის განვითარების მეორე ეტაპზე მიგვანიშნებს.

ახალი ქართული პროფესიული მუსიკის წანამდღრები რომანტიკულ ტენდენციასთან და ქართული პოეზიის ვერსიფიკაციასთან მიმართებაში

რომანსულობის, როგორც სტილური კატეგორიის ხვედრითი წილი ქართული კლასიკური პერიოდის ოპერაშიც იმდენად დიდია, რომ გარკვეულწილად თვით გმირულ-დრამატულ ხაზსაც ჩრდილავს. ამიტომ არის, რომ ოპერების უანრული სპეციფიკის განსაზღვრისას, სიტყვა „ლირიკული“ უცილობლად ფიგურირებს (ლირიკული ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, ლირიკულ-ეპიკური „აბესალომ და ეთერი“, ლირიკულ-დრამატული „დაისი“, ლირიკულ-კომიკური „ქეთო და კოტე“).


ამგვარად, რომანტიზმის ეპოქა საქართველოში უშუალო ბიძგი აღმოჩნდა მუსიკალური სკოლის ჩამოყალიბებისთვის, თუმცა მტკიცე საფუძველი ეროვნულ ნიადაგზე არსებობდა.

1. Гегель Г. Эстетика, т. 3, М., 1971, стр. 8;
2. წურწუმა რ. აღვესთ მაჭავარიანის ლირიკული საზიერების ბუნებისათვის, თსკ. შორმების კრებული, 1994, გვ. 260-270;
3. Вассина-Гроссман В. А. «Музыка и поэтическое слово», Т 1, М., 1972, с.5;
4. [http://www.lib.ge/body\\_text.php?5787](http://www.lib.ge/body_text.php?5787);
5. [http://www.lib.ge/body\\_text.php?4290](http://www.lib.ge/body_text.php?4290);
6. ბარამიძე რ. ქართული პროზის საკითხები, თბ., „განათლება“, 1996, გვ.
7. იქვე, გვ. 7;
8. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია, ტ. 2, თბ., 1967. გვ. 665;
9. <http://www.litinstituti.ge/II%20a5.pdf>;
10. მოსე გოგიაძე „რუსთაველი – ბეტრიწი. პრელუდიება“, თბილისი, 1961 წ., გვ. 73;
11. იქვე, გვ. 75;
12. იქვე გვ. 74;
13. იქვე, გვ. 71;
14. ზინთიძე ა. „ქართული ლექსთმცოდნეობა“, თბ., თსუ-ს გამომცემლობა, 1997, გვ. 13-15;
15. იქვე, გვ. 13;
16. <http://www.qim.ge/davit%20guramishvili.html>;
17. <http://www.qim.ge/besiki.html>;
18. იხ.: იქვე;
19. იხ.: იქვე;
20. იხ.: იქვე;

---

---

## უნივერსიტეტის საღოქთოო პროგრამა



---

---

## დრამისა და თეატრის თეორია

ნაშრომები იბეჭდება პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაცით  
სტატიის სტილი დაცულია  
პროგრამის ხელმძღვანელი – პროფ. მიხეილ კალანდარიშვილი

შუა საუკუნეების ეპოქის  
სათეატრო აზრის მიმოხილვა  
(ღირსი მაქსიმე აღმსარებლის მიხედვით)

შუა საუკუნეების სათეატრო კულტურა, როგორც ცნობილია, სამ სახეობად ჩამოყალიბდა:

1. საეკლესიო სანახაობები;
2. სამოედნო თეატრი;
3. საკარო თეატრი.

აღნიშნულ პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა საეკლესიო სანახაობანი. ისტორია გვამცნობს, რომ შუა საუკუნეების პირველსავე ეტაპზე ქრისტიანული რელიგია განმტკიცდა ისე, რომ არა თუ ხელოვნება, ფილოსოფია, მორალი და სამართალი მოაქცია მისი გავლენის ქვეშ, არამედ იგი ფეოდალური კლასის იდეოლოგიად იქცა.

ევროპაში ეპოქის სინამდვილეს წარმოადგენდა კათოლიკური ეკლესის თანდათან, პოლიტიკურ ძალად გარდაქმნა, რომელიც სახელმწიფოებრივი მოდელის მსგავსად, იქრარქულ ხასიათს ატარებდა. მის სათავეში ამქვეყნად ქრისტეს მოსაყდრედ გამოცხადებული რომის პაპი იდგა, ხოლო რჯულის მოძღვრების წყაროდ აღიარებული იყო საღმრთო თქმულებები და ბიბლია. ქრისტიანული რელიგია ადამიანს არწმუნებდა საქაო ცხოვრების ამაობაში და ქადაგებდა საიქიო ცხოვრების ჯოვანეთის საშინელებასა და სამოთხის მშვენიერებას. ჭეშმარიტების შემცნების კრიტერიუმად ეკლესიმ აღიარა გრძნობა, ღმერთის რწმენა, ხოლო რეალური ფაქტები გამოაცხადა ილუზიად. ასევე, რადგანაც მასებზე დიდი ზეგავლენის მქონე თეატრი იყო, ეკლესიამ შექმნა საკრალური ანუ „წმინდა თეატრი“ და შუა საუკუნეების სანახაობითი კულტურის მნიშვნელოვანი ნაკადი აღმოჩნდა საეკლესიო სახილველი. ერთი მხრივ, ქრისტიანულმა რელიგიამ მოგვიანებით მიიღო და გამოიყენა კიდეც ძველ ბერძნთა ფილოსოფიური წარმოდგენები. მეორე მხრივ კი, თუ ანტიკურ ეპოქაში წარმოდგენები იმართებოდა ღია ცის ქვეშ და ეს იყო პირდაპირ ვიზუალურ-ვერბალური აქტის განხორციელება ღმერთისადმი, შუა საუკუნეების საეკლესიო თეატრმა რიტუალი

შენობაში შემოიტანა, თითქოს და ადამიანი შებოჭა, ტაძრის გარეთ ცხოვრება არარაობად წარმოაჩინა. თავად რიტუალი ხომ, რელიგიით ან ტრადიციით დაწესებული მოქმედებაა და რაკი რელიგიასთან მართლაც მჭიდრო კავშირშია, ხშირად მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო მისაწვდომი მისი ნამდვილი არსი. იგულისხმება ვიწრო წრე განსწავლული და განდობილი ადამიანებისა, ხოლო გარეგანი შხარე საყოველთაოდ იყო გამოტანილი და სახალხოდ სამზერი. „ქრისტიანული რელიგიიდან გამომდინარე – გაუფასურება გრძნობიერებითი სინამდვილისა – თეატრს არ მიეკა საშუალება, უფრო მეტი ყოფილიყო, ვიდრე იღუსტრაცია, ქადაგების საშუალება.<sup>4</sup>

მრევლზე გაბატონების მიზნით შეიქმნა არა მხოლოდ თეატრალური სანახაობანი, არამედ მისი „ესკიზი“ – ლიტურგიული (ლიტურგია – ბერძ. liturgia – მთავარი ქრისტიანული მღვდელომსახურება: უამის წირვა) დრამა, რომელიც ბიბლიურ სიუსეტებს ეყრდნობოდა.

როგორც მაქსიმე აღმსარებელი<sup>2</sup> წერს: „ლიტურგია ქრისტიანული დრამა. ის არის სულის გადასვლა პოტენციის მდგომარეობიდან მოქმედებისაკენ და მიმართულია ეკლესის, როგორც საბოლოო მიზნის, ტელოსის სრული განხორციელებისაკენ – მთლი, ხილული და უხილავი სამყაროს ქრისტეს განსხვეულებისაკენ. ხოლო მითოსი, შეგვიძლია ვთქვათ, სცენარი ქრისტეს შესახებ, არის წმინდა წერილი“<sup>3</sup>, რომელიც, მაქსიმეს მიხედვით, ასევე ღმერთსიტევეს სხეულია. წმინდა მამასთვის ლიტურგიაში ამოქმედებული წმინდა წერილი, ქრისტეს ტანი მიემართება თავისი მიზნისაკენ ქრისტეს სხეულად საბოლოო, „ესქატოლოგიური“<sup>4</sup> წმინდა განწყობით მოიცავს ჩვენს მაცხონებელ მისტერიებს (საიდუმლოებებს)<sup>5</sup>.

ქრისტე არის „სიტყვა მეტყველთა და ნამეტყველებთა; და სიცოცხლე ცოცხალთა და მათი, ვისაც აცოცხლებენ (ცოცხლებულთა) და ყოველივეში მყოფი და ხდომადი.“<sup>6</sup> ქრისტე მყოფობს ყველაში და რიტუალის გზით ხდება, ანუ იმოქმედება, ხზრგიად „იქმება“ ყველაში: „მათი საშუალებით, სიმბოლოების რიტუალური ამოქმედებით, თითოეულ ჩვენგანში, როდესაც, რა თქმა უნდა, იგი, თითოეული ჩვენგანი, ქრისტეს პირველსახის თანახმად საკუთარი უნარის შესაბამისად კეთილად ცხოვრობს, ეკლესია ნათლობის (ნათლობა მაქსიმესთან შეესაბამება არისტოტელეს კათარზისს. ანუ, ნათლობის დრამა კათარზისის პროცესს იწყებს მონაწილეში და ლიტურგიის დრამა, როგორც

„მისტერიათა მისტერია“, განასრულებს კათარზისის დაწყებულ ამ პროცესს.) რიტუალით მოქმედებს, რათა სულიწმიდაში მოცემული ძებილობის – შვილობილობის საჩუქარი ცხადი გახდეს, როგორც ქრისტეს მსგავსად (ხატად) ამოქმედებული (პილიტეუმენი) კიდევ ერთი ძველებრძნული ტერმინია, რომელიც შეეხებოდა მოქალაქის პოლისში „კეთილად“, სათანადოდ ცხოვრებას. ცხოვრებით/მოქალაქებით წარმოქნილი).<sup>7</sup>

მაქსიმესათვისაც რიტუალი „დახატავს“ ადამიანს ქრისტეს ხატად და ადამიანთა ჯგუფს კი მეტაფიზიკური რეალობის, ღმერთის სამეფო „ქალაქის“, ანუ წმინდა სამების „მოქალაქებად“ წარმოაჩენს (რა თქმა უნდა, მადლითად და არა ბუნებითად). ხოლო ამას იგი აკეთებს იამბლიქოს თეურგიის მსგავსად „მაგიურად“, ანუ, მაშინაც კი, როდესაც რიტუალის მონაწილეს ბოლომდე გაცნობიერებულიც კი არა აქვს რიტუალის ყოველი სიმბოლოს თავისთავადი არის (ეს ხდება, რადგან თითოეული რიტუალიზირებული სავანი არის საღვთო გამონათების ერთგვარი ჭურჭელი. ხოლო სიმბოლიზირებული მოქმედება კი აწესრიგებს და ჰარმონიად „გააწყოს“ ამ გამონათებების განსაკრებულ ნაირგვარობას). თეურგიული რიტუალი „ჩაითრევს“ მონაწილეს იმ რეალობაში, რომლისაკენაც იგი არის მიმართული. პირველ ეტაპზე მონაწილისათვის საკმარისია რწმენა, ანუ მითოსისადმი ელემენტარული ნდობა: „სულიწმიდის მადლი უხილავად მარად მყოფიბს, თავისებურად და უმეტესად კი წმინდა სინაქსისის (ლიტურგიის) დროს. იგი თითოეულ დამსწრეს (მონაწილეს) საკუთარი უნარის შესაბამისად გარდაქმნის და გარდასახავს, ჭაშმარიტად უსაღვთოესად შესცვლის და მიჰყავს ამოქმედებული (რიტუალიზირებული) მისტერიების მიერ გამოხატულისაკენ. თუნდაც რომ იგი (მონაწილე), რადგან ჯერ კიდევ ქრისტეში ყრმა არის, ვერ გრძნობდეს (ამას) და მოქმედებულის სიღრმის ხედვის უძლური იყოს, და (ასევე ვერ გრძნობდეს) საღვთო სიმბოლოთაგან გამოხატული ცხონების თითოეული ამოქმედებული (თელისმენი) მადლის მასში მოქმედებას, მაინც ჰარმონიული მორგების და შეწყობილობის მიერ უახლოესთავან (იგულისხმება დროში მახლობელი მოვლენები – თ. ც.) ყოველივეს (საგნების და მოვლენების) დასასრულისაკენ მიჰყავს“.<sup>8</sup> მაშასადამე, რიტუალი თეურგიულად „მომართავს“ („ჰარმონიული მორგების და შეწყობილობის...“) მონაწილის სულს, ჩახატავს მასში საღვთო (თუ მითიურ) რეალობას და, ამგვარად, მას აქცევს პიროვნებად და ღვთაებრივი პოლისის მოქალაქედ, რადგან

ამ საღვთო პოლისს ხდის მიწიერ რეალობადაც. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ რიტუალი, როგორც თეურგიული აქტის რეალობაში განხორციელება, ერთგვარად ავტომატურია, მაინც აუცილებელია მითის თუ სარწმუნოების ჭეშმარიტების ელემენტარული ცოდნა. (*De mysteriis*, II 11: „და ეს არც აზროვნებაა (მსჯელობაა, ცნება), რომელიც თეურგებს ღმერთებთან აკავშირებს. რადგან რა შეუშლიდა თეორეტიკოს ფილოსოფოსებს იმაში, რომ პქონოდათ ღმერთებთან თეურგიული კავშირი? მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: თეურგიული ერთობის მიმნიჭებელი არის გამოუთქმელ და ყოველგვარ გაგონებაზე (აზროვნება) ამაღლებულ საქმეთა ღვთისმოსავად (ღვთისშესაფერისად) აღსრულება, აგრეთვე მხოლოდ ღმერთებისათვის საცნაურ უხმო სიმბოლოთა ძალა. ამიტომ ამგვარ ქმდებას გაგონებით (აზროვნებით) ვერ გამოვიწვევთ; ასეთ შემთხვევაში მათი მოქმედება (ენერგია, ქმედითობა) გონისმიერი იქნებოდა და ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული. ... თავად ნიშნები ხომ ჩვენი აზროვნების გარეშეც აკეთებენ თავის საქმეს, ისინი ღმერთებისაკენ არიან მიმართული, ხოლო ღმერთების გამოუთქმელი ძალა თავისთავად შეიცნობს საკუთარ გამოხატულებეს (ხატებს), ისე, რომ ჩვენი გაგონების მიერ გამოღვიძებას არ საჭიროებს... მაგრამ ქმდითი ერთანობა არც შემეცნების გარეშე წარმოიქმნება, თუმცა იგივებრივი მაინც არ არის“.<sup>9</sup> ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისტაგოგიაში მაქსიმე რამდენჯერმე უბრუნდება ღოგმატურად ფუნდამენტური ჭეშმარიტების საკმაოდ დაწვრილებით გადმოცემას. (*De mysteriis*, II 11: „და ეს არც აზროვნებაა (მსჯელობაა, ცნება), რომელიც თეურგებს ღმერთებთან აკავშირებს. რადგან რა შეუშლიდა თეორეტიკოს ფილოსოფოსებს იმაში, რომ პქონოდათ ღმერთებთან თეურგიული კავშირი? მაგრამ სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: თეურგიული ერთობის მიმნიჭებელი არის გამოუთქმელ და ყოველგვარ გაგონებაზე (აზროვნება – თ. ც.) ამაღლებულ საქმეთა ღვთისმოსავად (ღვთისშესაფერისად – თ. ც.) აღსრულება, აგრეთვე მხოლოდ ღმერთებისათვის საცნაურ უხმო სიმბოლოთა ძალა. ამიტომ ამგვარ ქმდებას გაგონებით (აზროვნებით) ვერ გამოვიწვევთ; ასეთ შემთხვევაში მათი მოქმედება (ენერგია, ქმედითობა)

გონისმიერი იქნებოდა და ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული. თავად ნიშნები ხომ ჩვენი აზროვნების გარეშეც აკეთებენ თავის საქმეს, ისინი ღმერთებისაკენ არიან მიმართული, ხოლო ღმერთების გამოუთქმელი ძალა თავისთავად შეიცნობს საკუთარ გამოხატულებებს (ხატებს), ისე, რომ ჩვენი გაგონების მიერ გამოლვიძებას არ საჭიროებს... მაგრამ ქმედითი ერთიანობა არც შემეცნების გარეშე წარმოიქმნება, თუმცა იგივეობრივი მაინც არ არის<sup>10</sup> ანუ, ფაბულა, წმინდა წერილი და დოგმატებია ის ორიენტირები, რომლისაკენც უნდა იყოს მიმართული რიტუალის, ღიატურგიული დრამის მონაწილის გონება და იგი არ უნდა ჩერდებოდეს მხოლოდ გარეგნულ ფორმებზე. ეს კი ნიშნავს, რომ არა სიმბოლოების ფორმებია თვითმიზანი, არამედ ამ სიმბოლოებში გამოხატული საღვთო/მითიური რეალობა. ამასვე უკავშირდება მეორე საკითხიც. არისტოტელე ამბობს, რომ ტრაგედია კითხვით, ანუ მოძრაობისა და ინსცენირების გარეშეც აღწევს მიზანს, რომელიც არის კათარზისი და ყოველთვის არ არის აუცილებელი მისი სცენაზე გათამაშება.<sup>11</sup>

ხოლო მაქსიმე, თავის მხრივ, მისტაგოგის დასასრულში, ანუ შეჯამებისას ამბობს: „გვწამს, რომ სულიწმიდისეულ საჩუქრებს, რომლებიც მივიღეთ აქ, ამ სიცოცხლეში რწმენისმიერი მადლით, მომავალ საუკუნეში (სიცოცხლეში) ჭეშმარიტად შეგვამოვნებულად (ჰიპოსტასირებულად) მივიღეთ ნამდვილი სახით ჩვენი რწმენისეული მტკიცე იმედისა და მისი შეურყეველი და უტყუარი აღთქმის მიხედვით, ვინც ამას შეგვირდა. რადგან შეძლებისდაგვარად ვიცავთ მცნებებს და გვწამს, რომ მივაღწევთ (გადავალო რა რწმენითი მადლიდან მისი სახის ხედვის მადლამდე,<sup>12</sup> ვინც შეგვცვლის თავის თავისკენ, ანუ ღმერთი და ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ჩვენში არსებული წახდენილობის სახეების გარშემოძარცვას და აქაური გრძნობადი სიმბოლოების წიაღ მიღებული საიდუმლოებების არქეტიპებს (პირველსახეებს) მოვალეობებს ქრისტე (აღვნიშნავთ, რომ მაქსიმესათვის მომავალში არსებულები კი არ მიიტოვებიან, არამედ თავიანთი ნამდვილი სახით წარმოჩნდებიან და იქნებიან შეგვამოვნებული, ანუ ნამდვილად ჰიპოსტასირებული – ანუ არსებული. და ასევე, ეს ყველაფერი მოხდება არა „ლიტონ“ ღოგოსში, არამედ – „ტანიან“ ქრისტეში). მაშასადამე, არა რიტუალის ესა თუ ის ფორმაა თვითმიზანი, არამედ რიტუალი ადამიანს აკავშირებს უფრო

ფართო სფეროსთან, რომლისაკენაც იგი გონებით უნდა იყოს მიმართული.\* რომლისთვისაც საჭიროა სიმბოლური ენაც. სწორედ ამ სიმბოლური ენის ნაყოფია ქრისტიანული დოგმატები და, ამრიგად, მათში ყოველთვის არის რაღაც მითიური, რიტუალურად აქტუალიზირებული, რომელსაც ადამიანი გადაჰყავდა სინამდვილის უფრო ფართო გაგებამდე – კათარზისამდე, რომელსაც მაქსიმე შემდეგნაირად ხსნის: „სანამ სულიერი კანონით არ შთაინთქმება ბუნების კანონი... და სანამ არ გამოჩნდება ცხადად დაუსაბამო სამეფოს ხატი“.

ამრიგად, მაქსიმესათვის ღიატურგიული დრამა არის: а) რიტუალი, საღვთო სიმბოლოთა „გაწყობილი“ რეალობა, რომელიც ნამდვილად არსებულს – ღმერთს აკავშირებს ქრისტეს ღვთაებრივ პიროვნებაში ადამიანს-ეკლესიას-სამყაროს; б) დრამა, რომლის ფაბულაცაა წმინდა წერილი, როგორც ქრისტეს ტანი და რომ სწორედ ამ დრამაში წმინდა წერილი, როგორც პოტენცია-ტანი, იქცევა ქრისტეს ესქატოლოგიურ სხეულად; გ) ასევე თეურგიული მოქმედება, რომლის მიზანია ადამიანის განღმრთობა. მაქსიმეს თეოლოგიის მიხედვით კი: а) სიმბოლოებს აქვს წარმავალი, შუალედური მნიშვნელობა და საბოლოო მიზანი, ტელოს არის ქრისტეს პირისპირ ხედვა; ბ) ქრისტეს ტანი არის საბოლოო სიმბოლო ღვთაებრივი სამეფოსი; გ) ეკლესია, როგორც ქრისტეს სხეული, ხდება „ამ ქვეყანაში“ მოქმედი „ზეცური რეალობა“; დ) „ზეციურის“ ჩანაცვლება ქვეყნიური რამე სიმბოლოთი იწვევს მიწიერის აბსოლუტად გადაქცევას, ანუ იგი იჰერს „ზეციურს“ ადგილს და ამით ქრისტიანობის არსეს.

ამგვარად ჩაისახა საკლესით სანახაობანი კლესია-მონასტრებში (ეკროპაში - ლათინურ ენაზე) და განკუთვნილი იყო სასულიერო პირებისა და განათლებული დილეტანტების მცირერიცხოვანი წრისთვის. ამ კულტურის მთავარი მიზანი კი გახლდათ მრევლის – მაყურებლის – მკითხველთა რელიგიური განსწავლა და განმტკიცება ქრისტიანული სარწმუნოებაში.

1. კარლო ინასარიძე, თეატრისმეტყველება, მოუნხენი, 1995;
2. ღირსი მაქსიმე აღმსარებელი დაიბადა 580 წელს კონსტანტინოპოლიში, ქრისტიანთა ოჯახში. სიყმაწვილეში მან მრავალმხრივი განათლება მიიღო: სწავლობდა ფილოსოფიას, გრამატიკას, რიტორიკას, საღვთისმეტყველო დიალექტიკას. სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი მაქსიმე თავისი განსწავლისათვის და კოთახსინდისირების წყალობით, იმპერატორ პერაკლეს

(610-641) პირველი ძღვიანი გახდა, მაგრამ სამეფო კარის ცხოვრება ამბობებდა მას, ამიტომ ქრისტოლისის სავანებს (ბოსფორის ნაპირზე) მიაშურა და მონაზენად აღიკვეცა. წმიდანმა სამოს გულწრფელი სიყარული დაიმსაზურა და მაღლე მონასტრის წინამძღვარი გახდა. 633 წელს – იერუსალიმელი პატრიარქის, სოფრონის (ზს. 11 მარტს) ოხოვნით მაქსიმე აღექსანდრიაში გაეტვ ზავრა. ამ ხანგბში წმიდა სოფრონმა სახელი გაითქვა მონოთელიტთა ერესის წინამძღვე შეურიგებელი ბრძოლით. მას შეძლებ, რაც IV მსოფლიო კრებამ (451 წ.) დაგმი მონოფიზიტობა, ორმელიც ისრა ქრისტეში მხოლოდ ერთ (ღვთაებრივ) ბუნებას აღიარებდა, მონოთელიტებმა შემოიტანეს სწავლება ერთი ღვთაებრივი წებისა და ერთი (ღვთაებრივი) ქმედების შესახებ, რასაც უარყოფილი მონოფიზიტური ცვრუსწავლების აღიარებამდე მიკვავდით. მართლმადიდებლობის ბრძოლას მწვალებლურ სწავლებებთან ამნელებდა ის გარემობა, რომ აღმოსავლეთის სამი საპატრიარქო ტახტი მონოფიზიტთა ხელში აღმიჩნდა: კონსტანტინოპოლის კლუსისას სურვი განაცემდა, ანტიოქიასას – ათანასე, აღვესსანდრიასას კი – კვიროსი. კონსტანტინიპოლიდან აღექსანდრიაში მიმავალ ღირს მაქსიმეს გზად კრეტაზე უნდა გაევლო. სწორედ აქ დაიწყო მისი შეაღავებლური მოღვაწეობა. აღექსანდრიაში და მის მახლობლად ღირსმა მამამ ეკვსი წელი დაჭრო. მაქსიმე აღმსარებელი მხურვალე იცავდა მართლმადიდებლობას და მის ქადაგებებს დაღი წარმატება ჰქონდა სხვადასხვა წოდებისა და ფენის ადამიანებს შორის. 638 წელს გარდაიცვალა პატრიარქი სერგი, 641 წელს კი – იმპერატორი ჰერაკლე. ქვეყანაში გამეფდა მრისხანე და სასტიკი კარსტანციუს II (642-648), მონოთელიტთა მომხრე. ღირსმა მაქსიმემ კართაგენს მაშურა და ქალაქსა და მის შემოგარენში კიდევ ხუთი წელი იქდავა. 647 წელს მაქსიმე აფრიკაში დაბრუნდა. 649 წლის ოქტომბერში შედგა კრება, რომელსაც ას ორმოცდათი დასავლელი ეპისკოპოსი და მართლმადიდებლური აღმოსავლეთის ოცდაჩიდეტი წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის – მაქსიმე აღმსარებელიც. კრებამ დაგმი მონოთელიტობა. როცა კონსტანციუს II კრების დადგენილებას გაეცნო, ბრძანა, შეეპრიო პაპი მარტინე და ღირსი მაქსიმე. ღირს მაქსიმეს საქმიანოს დაღასტში დასდეს ბრალი და სამყრობლები ჩააგდეს. 656 წელს მაქსიმე თორპაიში გადაასახლეს, შეძლებ კი კონსტანტინოპოლში გადაიცვანეს. ღირსი მამა საშინალად აწამეს თავის თა მოწაფესთან ერთად: სამიცეს ენა ამოაჭრეს, მარკვენა ხელი მოკვეთეს და დასაცელო საქართველოში გადაასახლეს. აქ სახწული აღისრულა: მოწამეებს ლაპარაკისა და წერის უნარი დაუბრუნდათ. წმიდა მაქსიმემ იწნასწარმეტყველება თავისი აღსასრული და შევიდობით მიიცვალა 662 წლის 13 აგვისტოს. წმიდანი ქალაქ ცაგერში დაკრძალეს, მის საფლავზე დამდამობით სამი ლამბარი ინიუბიდა და მრავალი კურნება აღესრულებოდა. მოწამე ანასტასი მაქსიმე აღმსარებლის მოწაფე იყო და მასთან ერთად იღევნებოდა მონოთელიტთაგან. მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება წმიდა ანასტასიმ შემოგვინახა. იგი გარდაიცვალა 662 წელს;

## 3. მისტაგოგია, ბოლოსიტყვა. 90,700;

4. ბერძ.: schatos უკანასკნელი; ლოგოს – მოძღვრება, ან სწავლება, მსოფლმშედველობას და ღვთისმტკველების ნაწილი; მოძღვრება კაცობრითობის უკანასწელ მოკლენებზე, ცვილიზაციის დასასრულ ზე. მისტიკურ მოძღვრებები ესქატოლოგია აზნიშნავს ორიდანლური რეალობის (დროის, ქამის) დასასრულს და ღმერთთან შეერთებას. ტრადიციულ რელიგიურ სისტემათა ესქატოლოგიაში განხილულია მომავლის უკანასკნელი მოვლენები, რომლებიც ნაწინასწარმეტყველებია წმიდა წერილებში და საკრალურ ტექსტებში: მესის მოსკოვა, სამსჯავრო, ჯოვანეთი და სამოთხე. ბერძნულის სიტყვა ნაეონ აღნიშნავს ეპოქას, ან გარკვეულ ისტორიულ ჰერიოდს. ამდენად „სამყაროს აღსასრულის“ ნაცვლად შეიძლება ითარგმნოს „უამის“, „დღეთა“, ან „წუთისოფლის აღსასრული“. ესქატოლოგია – მსოფლიოს კვლეა ცივილიზაციის რელიგიური სისტემათა განუყოფელი ნაწილია. კვლეა რელიგიაში იღიობანი არსებობდა ერთმანეთის მსგავსი მოძღვრება უკანასკნელ მოვლენებზე, რაც აშკარად მოუთითებს ერთ პრიუსტორიულ წყაროზე) განხორციელებისაკენ და ამ პროცესში – ისევე, როვორც არისტოტელესული და ზოგჯოდ ძელებრწონული დრამა – „ჩაორუეს“ აღმანებს, მთს საზოგადოებს (პოლისს/ეკლესიას) და სამყაროს მთლიანად. (სხვადასხვა სიძლილის... 22, PG 91, 1129 CD: „ჩვენებრ, ჩვენ გამო, ჩვენთვის ქმნილისთვის მიერ და [სიტყვის] მარცვლებში და ასოებში შეზრქდლა გრძნობებისათვის (ვრძნიბის ორგანობისათვის, საგრძნობელოთათვის). მაქსიმე ამობს: „კვლეასას საღვთო სიძლილოების აღსრულებისას (τελიουμένων) (საინტერესოა, რომ ასალბერძულად მარგმნელი სიტყვა თელიουμένων-ს კონტექსტიდან გამომდინარე თარგმნის, როვორც გაცოცებულებს (ცორავენითა). ხოლო სიტყვა თელეთή ნიშავს ასევე რიტუალს. ასე რომ, ეს წინადაღება შეგვეძლო გვთავარგმნა: რიტუალში სიძლილოების გაწყობით და გაციცხლებით... ანუ ციცხალ ორგანიზმად გადაქცეთ;

## 5. მისტაგოგია, ბოლოსიტყვა, 90, 712;

## 6. მისტაგოგია, შესავალი, 90, 664;

## 7. მისტაგოგია, ბოლოსიტყვა, 90, 712;

## 8. მისტაგოგია 24 PG90, 704;

9. ლელა აღექსიმის თარგმანი. იხ. ლ. აღექსიმე, ნეოპლატონური ფილოსოფია. პლოტინი და ამბლიქისი. ტექსტები, თარგმანი, განმარტებები, გამომც. ლოგოსი, თბილისი 2009, 153-154.

10. იხ. ლ. აღექსიმე, ნეოპლატონური ფილოსოფია. პლოტინი და ამბლიქისი. ტექსტები, თარგმანი, განმარტებები, გამომც. ლოგოსი, თბილისი 2009, 153-154. ლელა აღექსიმის თარგმანი;

11. პოეტიკა §26, 1462; თბილისი 1980წ. გამომცემლობა „ნაკადული“;

12. მისტაგოგია 2კორ. 5,7.

### „რიგოლეტო მანეუაში“ – ახალი ზარის პილევ მრთი ნიმუში

## მსოფლიო პინოს ისტორია

ნაშრომები იქნება პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაცით  
სტატიის სტილი დაცულია  
პროგრამის ხელმძღვანელი – პროფ. ზვიად ლოლიძე

2010 წლის 4, 5 და 6 სექტემბერს ქალაქ მანტუაში უჩვეულო საოპერო სპექტაკლი შედგა. იტალიის სატელევიზიო არხმა RAI 1 – და პროდიუსერმა ანდრეა ანდერმანმა წარმოადგინეს ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტო“. საოპერო სპექტაკლი გათამაშდა იმ ისტორიულ გარემოში, რომელშიც ლიბრეტისტმა ფრანჩესკო პიავემ გადმოიტანა ვიქტორ პიუგოს მიერ საფრანგეთის მეფის ფრანცის I-ის თავაშვებული ცხოვრების ერთი მონაკვეთის შესახებ 1832 წელს დაწერილი და საფრანგეთში აკრძალული (როგორც მეფის ხელისუფლების აკტორიტეტის შემდანავი) დრამა. ოვით პიესა „მეფე ერთობა“ („მეფე თავს ირთობს“) - ნახევარი საუკუნის განმავლობაში აკრძალული იყო საფრანგეთში, ხოლო ვერდი და პიავე, აგრეთვე ცენტურის მოთხოვნების შესაბამისად, იძულებული გახდნენ პარის ლიბრეტიში შეუცვალათ მთავარი გმირების სახელები, მოქმედების დრო და ადგილი. საბოლოოდ, ფრანცის I მანტუის ჰერცოგად გადაიქცა, ხოლო მასხარა ტრიბულე – რიგოლეტოდ, ვისი სახელის მიხედვითაც ოპერას მიეცა უფრო ნეიტრალური სახელწოდება.<sup>1</sup>

თვით ის ფაქტი, რომ საოპერო სპექტაკლები ისტორიულ გარემოში იდგმება – ახალი არ არის. ცნობილია, მაგალითად, იგივე ვერდის „აიდას“ ცნობილი დადგმა, რომელიც ეგვიპტეში, პირამიდების ფონზე აგებულ გრანდიოზულ სცენაზე გათამაშდა, რისთვისაც, სცენისა და კოლოსალური დეკორაციების გარდა, გიზაში აიგო მაყურებელთა დარბაზიც (რეკვიზიტებია საჭირო), თუმცა მანტუაში დადგმული „რიგოლეტო“ პრინციპულად განსხვავებული მომენტია.

სატელევიზიო ეთერში პირდაპირი გადაცემისთვის დადგმული ოპერის პროდიუსერია ანდრეა ანდერმანი რეჟისორი – მარკო ბელოკიო, დირიჟორი – ზუბენ მეტა, დამდგმელი ოპერატორი – ვიტორიო სტორარო, პარტიებს ასრულებდნენ ლა-სკალას და მსიფლიოს ცნობილი საოპერო თეატრების წამყვანი სოლისტები, პლაზიდო ლომინგო (რიგოლეტო), ვიტორიო გრიგოლო (ჰერცოგი), იულია

ნოვიკოვა (ჯილდა) და სხვები, მათ შორის – ნინო სურგულაძე, რომელიც მაღალებას პარტიას მღეროდა.

„მანტუის რიგოლეტო“ ტექნიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს ოპერას, მხატვრული კინოს და სატელევიზიო ტრანსლაციის სინთეზს. ამგარი ნაწარმოები ანდრეა ანდერმანმა უკვე ორჯერ წარმოადგინა: პროექტი სახით - „ტოსკა - ტოსკას სივრცესა და დროში“ (*In the Settings And at the Times of Tosca*), რომელიც 1992 წელს განხორციელდა, ხოლო „ტრავიატა პარიზში“ - 2000 წელს.

ორივე ამ წინა პროდუქციაშიც, როგორც „მანტუის რიგოლეტოში“, ორკესტრს დირიჟორობდა ზუბენ მეტა. „ტოსკა – ტოსკას სივრცესა და დროში“ აღინიშნა 3 „ემშით“, აგრეთვე სპეციალურ ნომინაციაში „საუკეთესო მიქსი“ (ხმის რეჟისურა) აღინიშნა 2 ოსტატის ნამუშევარი – კლაუდიო ნერონესა და ნიკოლა კაპონეროსი.

რაც შეეხება ნამუშევარს „ტრავიატა პარიზში“, ჩვენთვის დამატებითი ინტერესის საგანი ისიც შეიძლება იყოს, რომ ვიოლეტას პარტიას ქართველი მომღერალი ეთერ გვაზავა ასრულებდა.

ამ ორმა შესანიშნავმა პროდუქციამ საერთაშორისო გამოხმაურება და მაყურებლისა და კრიტიკის უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს. მანტუაში დადგმული „რიგოლეტო“ უკვე მესამე წარმატებული პროექტია „ქუჩაში გათამაშებული“ სპექტაკლების სერიისა, რომელიც რევოლუციურად ახალი ფორმატია როგორც ტელევიზიის, ისე საოპერო ხელოვნებისათვის.

მანტუის სხვადასხვა კუთხეში განაწილებული გადამდები ჯგუფები მუდმივ კავშირში იყვნენ ერთმანეთთან და ორკესტრთან, რომელიც მაესტრო ზუბინის ხელმძღვანელობით ბიბიუს თეატრში ასრულებდა ვერდის მუსიკას. ყველა ამ ჯგუფის ურთიერთკომუნიკაცია ხორციელდებოდა „რაი-1“ს თანამედროვე და ურთულესი ტექნიკური საშუალებებით. გამოსახულება გადაღებული იქნა HD ფორმატში, ხმის ციფრულ დამუშავებას კი უზრუნველყოფდა „რაი“-ს რადიო განყოფილებამ. ყველაფერთან ერთად გათვალისწინებული იქნა ყრუ-მუნჯთავის ფილმ-ოპერის შინაარსის გაგების შესაძლებლობა, რისთვისაც, „რაი“-ს პრეს-სამსახურის განცხადებით, დამზადდა 777 სუბტიტრის გვერდი. დღისათვის არსებულ არცერთ საოპერო შესრულებაზე არ დახარჯულა ამდენი შრომა, ვიტორიო სტორარის ხელმძღვანელობით მუშაობდა მრავალი კამერა, ხოლო ტელევიზიით გაფიქტურული ინფორმაციით, სპექტაკლის ჩაწერისას დაიხარჯა იმდენი

ელექტრონურია, რაც მთელ იტალიას ორი დღე ეყოფილა გასანათებლად. „მანტუის რიგოლეტო“ ისტორიული შენობების ინტერიერებში სპეციალურად სატელევიზიო ტრანსლირებისათვის გათამაშდა, საჭირო იყო თითოეული ამ ინტერიერის გადასაღებ გარემოდ გადაკეთება, მათში კინოგანათების დამონტაჟება, მსახიობების ხმის (საოპერო სიმღერის) მაღალსარის ხოვნად ჩაწერის ორგანიზება და რიგი სხვა ტექნიკური თუ შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრა.

ტექნიკური დეტალები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სახეზე სცენური ხელოვნების ეკრანული სავსებით ახლაური ფორმა, რომელიც აქამდე მხოლოდ ორჯერ შედგა და რომელიც უკვე დამოუკიდებელი უანრის აშკარად გამოხატულ თვისებებს ატარებს. ამ უანრს ჯერ სახელი არა აქვს, „მანტუის რიგოლეტო“ (*Rigoletto a Mantova*) საინფორმაციო საიტებზე მოიხსენიება „პირდაპირი ეთერის ფილმის“ (*Film in diretta tv*) სახით, რაც გულისხმობს საოპერო სპექტაკლის იმავდროულ „ცოცხალ“ ტრანსლაციას (ე.წ. „LIVE“). ამ ფაქტში არავერი განსაკუთრებული ან ახალი არ იქნებოდა, სპექტაკლი რომ საოპერო თეატრის სცენაზე შემდგარიყო, მაგრამ რამდენადაც საოპერო სპექტაკლისგან განსხვავებით, ოპერის მოქმედება და მუსიკალური თანხლება სხვადასხვა ადგილებში ხორციელდებოდა, ხოლო მათი სინქრონიზირება ტექნიკური საშუალებებით ხდებოდა, გვაფიქრებინებს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი იქნება ისეთი თეატრალური ხელოვნების ისეთი ეკრანული ფორმების შექმნა, რომელშიც თვით ძირითადი მოქმედი პირები დედამიწის სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილებში იქნებიან, ხოლო მაყურებელი მათ ერთიან სამოქმედო სივრცეში აღიქვამს. ეს კი კონკრეტულად სატელევიზიო ციფრული ტექნოლოგიების თეატრალურ ხელოვნებასთან ურთიერთკავშირის ახალი ეტაპის მანიშნებელია..

1) იხილე ლიბრეტოების კრებული „50 ოპერა“, თარგმნილი რუსულიდან ნუნუ კუპულაძის და დორა კეშელავას მიერ, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966, გვ.81-86.

• (<http://www.rai.it/dl/portali/site/news/ContentItem-09bc7dc9-ee3c-405b-9507-733ea962cb63.html>);

• <http://www.flickr.com/photos/sebastiagiralt/226455097/in/photostream/>;

- [http://www.dailymotion.com/video/xe201e\\_rigoletto-diventa-un-film-in-dirett\\_news](http://www.dailymotion.com/video/xe201e_rigoletto-diventa-un-film-in-dirett_news);
- [http://www.youtube.com/watch?v=iJ3BYNr\\_mZc&feature=more\\_related](http://www.youtube.com/watch?v=iJ3BYNr_mZc&feature=more_related);
- <http://www.youtube.com/watch?v=Lx-hIWxxTKw&feature=related>;
- <http://www.imdb.com/title/tt0105625/>;
- [http://articles.sfgate.com/2000-08-25/entertainment/17657045\\_1\\_latraviata-verdi-violetta](http://articles.sfgate.com/2000-08-25/entertainment/17657045_1_latraviata-verdi-violetta).

მაკა დოლიძე  
დოქტორანტურის II კურსი

## რაიცერ ვერცერ ფასძიდერი - სოციალური ფრესკა ფაშისტური მოზაიკი

„თუ შენ აკეთებ შენთვის უმნიშვნელო სამუშაოს, მაშინ შეგიძლია იცხოვოთ ათი-ოცი წლით უფრო დიდხანს, მაგრამ ეს დამწუხრებული წლები იქნება. მე ვთვლი, რომ საჭიროა იცხოვოთ სხვანაირად, უფრო ხანძოკლედ, მაგრამ გაშმაგებულად.“<sup>11</sup>

ეს სიტყვები „უმამო თაობის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ეკუთვნის. რომელსაც „ბავარიელ ხულიგანსაც“ უწოდებდნენ. მას სურდა ყოფილიყო კინოში იგივე, რაც იყო შექსპირი თეატრში, მარქსი – პოლიტიკაში და ფრონიდი – ფსიქოლოგიაში. ეს ამბიციური (კარგი გაგებით) ახალგაზრდა – რაიცერ ვერცერ ფასძიდერი 1945 წლის 31 მაისს მოევლინა ქვეყნას კურორტ ვორისპოვებში.

ზემოხსენებული რეჟისორი საინტერესოა იმდენად, რამდენადც იგი ცდილობდა სკურპულოზურად ეკვლია და განეხილა ნაცისტური ფენომენი სოციალურ ჭრილში. ამ რაკურსით საფურადღებოა მის მიერ 1973 წელს გადაღებული ფილმი „შიში სულს ჭამს.“ ფილმის მთავარი გმირი, მიუნხენის არც თუ ისე რესპექტაბელურ უბანში მცხოვრები შუახნის ქვრივი ემი კაროვსკი, თვალშისაცემი ასაკობრივი და ეროვნული განსხვავების მიუხედავად, ქორწინდება მაროკოელი ემიგრანტების თავშეყრის ადგილას გაცნობილ ალიზე.

ფილმში აისახა სტერეოტიპების გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მაგ: ემისგან მეზობელი ქალები მოითხოვენ, რომ მან სადარბაზო ახლა კვირაში ორჯერ დაალაგოს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მაროკოელის გადმოსვლამ სახლის ორმაგად დაბინძურება გამოიწვია. უბანში მდებარე სურსათის მაღაზიის მეპატრონეც უარყოფითად არის განწყობილი ალისადმი: მიუხედავად იმისა, რომ აღი თავისუფლად საუბრობს გერმანულად, გამყიდველი შეგნებულად ექცევა მას ისე, თითქოს არ ესმის მისი. სიუჟეტის განვითარების მანძილზე ფასძიდერი გვიჩვენებს გერმანული საზოგადოების თითქმის ყველა წარმომადგენლის დამოკიდებულებას ეროვნული, ნაციონალური ფენომენისადმი.

ნათლად ჩანს, რომ გერმანული საზოგადოების ცნობიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია რასისტული იდეაბი, ოლონდ იმ განსხვავებით, რომ მას აღარ აქვს სახელმწიფო პოლიტიკის, იდეოლოგიური დოქტრინის ფორმა. გმირთა სიტყვებში გამოკრთება ნოსტალგია ძველი გერმანული „წესრიგისადმი“, როდესაც პოლიციელები გრძელ თმებს არ ატარებდნენ და, შესაბამისად, მოქალაქეთა შოვინისტური ახირებების მხარდამჭერებად გვევლინებოდნენ. პოლიციელთა გრძელ თმები აქ თავისუფალი, დემოკრატიული აზროვნების სიმბოლოდ უნდა იქნეს გაგებული. ახლო წარსული კვლავ გმირების აქტუალურ სივრცეში მოიაზრება და მათი ცნობიერების გარკვეულ დეტერმინირებას ახდენს.

ირგვლივ არსებული გარემო უცვლელია: ძველი შენობები, ძველი სადარბაზოები, ძველი კიბეები, ძველი შეხედულებები... გარემო ისე უცვლელია: ყოველ წამს ელოდები სადარბაზოს კიბეებზე ჭრაჭუნით მოსიარულე გესტაპოელის, თუ ესესელის ჩექმების გამოჩენას. ყველაფერს ეტყობა წარსულის კვალი, რომელიც გმირების ცხოვრებას წარმართავს. არის ერთი, არც თუ ისე თვალშისაცემი შტრიჩი, რომლითაც ფასტინდერი აშკარად, არც ისე უმნიშვნელოზე, მიგვითითებს: სადარბაზოში მცხოვრები ერთ-ერთი ქალი მუდამ რკინის ცხაურს მიღმა მოჩანს. აშკარაა, რკინის ცხაურით რეჟისორი ამ ქალისა და მისი თანამოაზრების ჩაკეტილ, შეზღუდულ შეხედულებათა სივრცეზე მიანიშნებს. ფასტინდერი შეულამაზებლად, შესაძლოა შოკისმომგვრელი სიმართლით, გვიჩვენებს ალისადმი გერმანული საზოგადოების დამოკიდებულებას. ეპიზოდში, როცა წყვილი რესტორანში ღია ცის ქვეშ ზის, მოშასხურე პერსონალი უსიტყვილ, კუშტად, პირმოკუმული, მტრულად შესცემის მათ. ანალოგიურ რეაქციას ვაწყდებით ქნი კაროვსკის ოჯახურ შეხვედრაზე, სადაც იგი ალის წარუდგნს თავისიანებს. კამერა ახლო ხედით და შესამჩნევად ნელ გვიჩვენებს თითოეული წევრის სახეს. მათი ბრიყვული გამომეტყველებისა და დასადგურებული სიჩუმის სინოზით რეჟისორს სიცილამდე მივყარო. რაინერი ემის ქალიშვილის – კრისტას მეუღლის როლს თამაშობს და სავარაუდოა, რომ იგი ამ ეპიზოდში თავისი გმირის რეაქციასაც დასცინის. ემის ვაჟიშვილი ბრუნო კი, რატომდაც, ტელევიზორისკნ მიმართავს თავის აგრძისას და წინებით ამსხვრევს მას. იქნებ ტელევიზიის საშუალებით შეიქმნა ახალი, მანამდე უცხო ლირებულებებისა და შეხედულებების დამკვიდრების შესაძლებლობა, რამაც, თავის მხრივ, ემისა და ალის ურთიერთობასაც შეუწყო ხელი.

რეჟისორმა ადამიანთა ურთიერთობაში ღრმა წვდომისა და ანალიზის უნარი გამოავლინა. გვიჩვენა მისი თანამედროვე გერმანული საზოგადოების ნიშანდობლივი თვისებები, კერძოდ, ბურჟუაზიული საზოგადოების მერკანტილიზმი. გავინახოთ ვაჟიშვილის დაბრუნების ეპიზოდი, როდესაც ბრუნო ბოლიშს უხდის დედას და დამსხვრეული ტელევიზორის საფასურს იხდის. მაგრამ საბოლოო ჯამში ირკვევა, რომ იგი დახმარების სათხოვნელადა მოსული (ბრუნოსა და მის მეუღლეს ემისთან შვილის დატოვვება სჭირდებათ.) მსგავსად, იქცევიან მეზობელი ქალები სადარბაზოდან. ემის სარდაფის გამოყენების მიზნით, ისინი თანახმანი არიან მიიღონ ალი და აღფრთოვანდნენ მისი აღნაგობით. ფასტინდერი საზოგადოებას აჩვენებს, აფრთხილებს, რომ, ვთოომდა, წარსულს ჩაბარებული რასიზმი, შესაძლოა ნებისმიერ დროს მობრუნდეს.

დღევანდელ ვეროპაში ნეონაციზმი უკვე საქმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ფასტინდერის სოციალური ფრესკები უწინარესად სულიერ დეგრადაციაზეა ორიენტირებული. სწორედ სულიერი კრიზისი, ცნობიერების დესტრუქცია წარმოშობს სოციალურ თუ პოლიტიკურ კრიზისებს.

უცნაურ მეტამორფოზას განიცდის თავად ემი კაროვსკიც. სადარბაზოს დალაგებისას ჩნდება ახალი იუგოსლავიელი თანამშრომელი იოლანტა, რომელიც თავისი წარმომავლობის გამო დანარჩენებზე დაბალ ანაზღაურებას იღებს. და როცა ემასთან შეკრებას გადაწყვეტენ, უცხოელი თანამშრომლის დასწრება-არდასწრების საკითხს ერთი უბრალო ფრაზა წყვეტს: „მას სხვა ანგარიშით უხდიან“. ემი კაროვსკი ალისთან ურთიერთობის გამო, სწორედ, იმავე სიტუაციაში გარიყეს, მაგრამ ემას ეს აშკარად არ ახსოეს. ორივე ეპიზოდს რეჟისორი განგებ ერთნაირად აგებს. გმირები ერთსა და იმავე ადგილზე სხდის. უბრალოდ, განსხვავება იმაშია, რომ ფილმის დასაწყისში სურათის მთავარი გმირი ქალია, დაზარალებული და მიტოვებული, ხოლო მეორე შემთხვევაში მის ადგილს „არაგერმანელი“ თანამშრომელი იკავებს. ამ ორი ეპიზოდის მიზანმიმართული დამსგავსებით ფასტინდერი აშკარად ხაზს უსვამს, რომ მისთვის მიუღებელია ემის რეაქცია. იქნებ ამ სოციალური პრობლემატიკის მიღმა ფასტინდერის მუდმივი ტკიფილის – სიმარტოვის, მიუსაფრობის თემის განჭვრეტაცა შესაძლებელი?!

რაინერს სასაცილოდ გამოჰყავს ემის შვილი კრისტა და მისი მეუღლე. რეჟისორი პირველივე კადრებში გვიჩვენებს ამ წყვილის

ურთიერთსიძულვილსა და უპატივცემულობას. თუმცა მაროკოელი მამინაცვლის დანახვისას, პროტესტის ნიშნად, ხელკავით, შეხმატებილებული წყვილივით ტოვებენ დედის სახლს. სასაცილო კი ის არის, რომ ცოლ-ქარს, რომელიც ერთმანეთს ცემით ემუქრება, ნაცისტური სიძულვილი შეარიგებს და აერთიანებს. ფილმის დასრულებისას ჩნდება აზრი, რომ ქალბატონ კაროესკის სიყვარულსა და ზრუნვას მაროკოელისადმი სტიმულს, ბიძგს აძლევს არა მარტო მისი ფიზიკური და სულიერი მარტოობა, არამედ გერმანის, მამამისისა და საკუთარი ნაცისტური წარსულის პასუხისმგებლობის ტკირთი. ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ სიუჟეტის განვითარებისას, ერთ-ერთ დიალოგში აღისთან ემი ჰყვება მამამისისა და საკუთარი ფაშისტური წარსულის შესახებ. ვფიქრობ, სურათის მთავრი გმირი ქალის ქცევა (ზრუნვა აღიზე), ნაწილობრივ მაინც, წარსული ცოდვების გამოსყიდვის ქვეცნობიერ ცდად შეიძლება იქნეს აღქმული.

ქართულ პერიოდიკაში<sup>2</sup> ფასიზისტების შესახებ ვაწყდებით საინტერესო მოსაზრებას: „რაინერი ფიქრობდა, რომ რაც უფრო დადგმული, გაკეთებული და „ლამაზია“ ფილმი, მთ უფრო თავისუფალი და ნიღაბაზდილია ის. მაყურებელს კი სიმართლის რცხვენა.“ მართალია, რეჟისორის შეფასება, ყოველთვის, მეტად გულწრფელი და მისაღებია, მაგრამ არა ამ ფილმთან მიმართებაში. „შიში სულს ჭამს“, მართლაც, თავისუფალი და ნიღაბაზდილია ისე, რომ მაყურებელს მართლაც შერცხვება იმ სიმართლისა, რასაც ფასიზისტერი ამ სურათში გადმოგვცემს, მაგრამ ფილმი არც „ლამაზია“ და არც „დადგმულის“ შთაბეჭდილებას ტოვებს და სწორედ ამ გარემოების წყალობითაა ალბათ, რომ ამ ისტორიისა ისე გჯერა, თითქოს შენს ან მეზობელ სადარბაზოში მომხდარ ისტორიას თვალს ადევნებდე.

რეჟისორის შემოქმედებაში ამ ფილმის არსებობა გერმანულ კომპლექსთან ბრძოლის დასტურია. მნ ერთ-ერთმა პირველმა, თამამად და აშკარად გამოიტანა სინათლეზე ეს პრობლემა, „იგი ერთდროულად გამოხატავდა პროტესტსაც და ნაციზმის დანაშაულსაც ინანიებდა. დანაშაულს ხალხისა, ვინც ემხრობოდა, მონაწილეობდა და თანაუგრძნობდა იდეას, რომლის საზარელი გამომეტყველების დავიწყებას დასჭირდა ძალიან დიდი დრო.“<sup>3</sup>

არაბული ანდაზა „შიში სულს ჭამს“, რომელსაც ერთ-ერთ დიალოგში ემის აღი ეუბნება, ფილმის სათაურადაა გამოტანილი და ერთგვარ მოწოდების სახესაც იღებს: არ უნდა გეშინოდეს

შეცვალო ბელი შეხედულებები, მოშორონ წარსულის მძიმე ტვირთი და გაბედულად შეხვდე ახალს – მომავალს!

... და შეუძლებელია არ დაეთანხმო კინომცოდნე გოგი გვახარიას, როცა ის წერს: „ფასიზისტები, როგორც ჭეშმარიტ ხელოვანს გააზრებული ჰქონდა, რომ სწორედ ინფანტილიზმა, ბედნიერი მომავალის, „რასის გასუუთავების“ გულუბრყვილო რწმენამ უბიძგა გერმანელ თბივატელს „ეშმაკან გარიგებაზე“, რაც შეძლევ საშინელი ტრაგედით დასრულდა. და ამ მხრივაც თანამედროვე გერმანიის „აავშობის“ ცოდვების ავადმყოფური განცდა, ერთგვარი მაზოხიზმი, თვითგვემა გადამწყვეტი მოტივი გახდა ფასიზისტების შემოქმედებაში. გერმანიის ბედი არ ასვენებს როგორც პატიოსან ხელოვანისა და ჭეშმარიტ პატრიოტს.“<sup>4</sup>

ზემოთქმულის კიდევ ერთი დასტურია რაინერის ერთ-ერთი ბოლო ფილმი, 1982 წელს გადაღებული სურათი – „ვერონიკა ფოსის სევდა“, რომელიც დეტექტივის, მელოდრამისა და ანტიფაშისტური ფილმის საოცარ ნაზავს წარმოადგენს. მოქმედება ე.წ. „ადენაუერის ეპოქაში“ (1955 წ.) ხდება.

